



3. სანეკიძე

150634
3



გეგენახეიგონ
ჟანვითახეიგონ
საქითხეიგონ ✓

კაცზე სახეჩიქე




მევენახეობის განვითარების საკითხები

150634
3

სკეპ-2000
შემოწმებულია



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1973



634.8 (C.922)



634.8 (C41)

634.8 (47.922)

ს 366

- 1) მევე ნახეოდ სჯახიველოძე
- 2) ვახის ჯიშედი სჯახიველოძე.

ნაშრომში განხილულია მევენახეობის აღდგენისა და განვითარების ძირითადი საკითხები იმერეთში და შამშანური წარმოებისათვის საჭირო ჯიშების შერჩევა-გაადგილება.

4-4-5
73 იღვ.

M-607

9422

2012

-145

იმერეთის მევენახეობა რევოლუციამდე


მევენახეობა იმერეთში, ისე როგორც საქართველოში, სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია.

ორმა ძირითადმა ფაქტორმა — ბუნებრივმა და ისტორიულ-ეკონომიურმა პირობებმა განაპირობა მევენახეობის განვითარების ტემპი და, რაც მთავარია, ვაზის ჯიშების სიმრავლე იმერეთში.

მართალია, კულტურული ვაზის წარმოშობის ზუსტი ადგილი და თარიღი ჯერ კიდევ დადგენილი არ არის, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა მის სამშობლოდ წინა აზიას ასახელებს კლიმატური პირობებისა და ამ მხარეში ველური ვაზის დიდი რაოდენობით არსებობის გამო.

კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და სადაურობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის გარდა, იმოგზაურა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში. კულტურული ვაზის სამშობლოდ ვავილოვი სწორედ მცირე აზიას ასახელებს და ასკვნის, რომ მთელი მსოფლიოს მევენახეობა, ძირითადი ასორტიმენტი ვაზისა მიღებულია წინა აზიიდან, სადაც ვაზი ახლაც იზრდება ველურ პირობებში, რომელიც გამოსადეგია კულტურული ჯიშების გამოსაყვანად¹. ვინაიდან საქართველოში, რომელიც წინა აზიას ეკუთვნის, დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ტიპური ველური ვაზი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი კულტურული ვაზის ჩამოყალიბებისა ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო არის.

¹ Н. И. Вавилов, Селекция как наука, Сборник теоретические основы селекций растений, том I, стр. 16.



გამოჩენილი მკვლევარის ა. ჟუკოვსკის აზრით, ვაზის კულტურა რულ მცენარედ ჩამოყალიბებას დაახლოებით 7—9 ათასი წლის ისტორია აქვს, ხოლო პროფესორი ა. ნეგრული დაასკვნის, რომ ვაზის კულტურა ამიერკავკასიაში არსებობდა ჯერ კიდევ 5—7 ათასი წლის წინათ.

პროფესორ ს. ჩოლოყაშვილის აზრით, მსოფლიოს კულტურული მევენახეობის წარმოშობის ძირითადი რაიონი ნამდვილად იმყოფებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში — კოლხეთსა და კახეთში და აგრეთვე მცირე აზიაში, მევენახეობა აქედან შემდგომში განვითარდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში.

ამასთან დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშების ასორტიმენტი გავრცელებული იყო და დღემდეა შემონახული საბერძნეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთში და საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სამხრეთ მხარეში.

„თუ რამდენად პატივს სცემდნენ ძველად ვაზის კულტურას, — წერს პროფესორი კ. მოდებაძე, — იქიდან ჩანს, რომ ღმერთადაც კი აღიარებდნენ იმ პირს, ვინც, ხალხის წარმოდგენით, პირველად ვაზი გააშენა და ადამიანს ვაზის კულტურა შეასწავლა. ასეთი იყო, მაგალითად, ბახუსი საბერძნეთში და ოზირისი ეგვიპტეში².

✓ დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა მევენახეობის შესწავლას საქართველოში, ამ დარგის მთავარ და უძველეს ცენტრად, სადაც მოხდა ველური ვაზის გაკულტურება, საქართველოს ასახელებს. „საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — კახეთი ყოფილა, დასავლეთ საქართველოში კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის“³.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ქართული ვაზის ჯიშების უშუალო გენეტიკური კავშირი ადგილობრივ ველურ ვაზთან. ყველაზე უფრო მტკიცე კავშირი ველური ვაზისა და აბორიგენულ ჯიშებს შორის, მკვლევართა აზრით, დადგენილია დასავლეთ საქართველოში — იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. მკვლევარები იმა-

² კ. მოდებაძე. მეღვინეობა, 1948, გვ. 8.

³ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II,



საც კი აღნიშნავენ, რომ ძველად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად ნახავდით ისეთი სიმსხოს კულტურულ ვაზს, რომელსაც ფიცრებად თლიდნენ. სწორედ ვაზის ასეთი ფიცრისაგან XII საუკუნეში დაუმზადებიათ გელათის მონასტრის კარები. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, დასავლეთ საქართველოში მდინარეებზე ვაზისაგან ხშირად აკეთებდნენ გაბმულ ხიდს. ასეთი ხიდი (ბონდის) ახლაც არის იმერეთში.

ვაზი ისეთ სათაყვანებელ საგანს წარმოადგენდა საქართველოში, რომ სამშობლოსათვის წამებულმა ნინომ ქრისტიანობის ემბლემა ჭვარი ვაზისაგან გააკეთებინა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ეკლესიის კარებს ხშირ შემთხვევაში ვაზის ფიცრისაგან აკეთებდნენ. ვაზისაგან დამზადებული კარები ჰქონდა, მაგალითად, მღვიმევის მონასტერს იმერეთის აღმოსავლეთით და ქორეისუბნის ეკლესიას იმერეთის უკიდურეს დასავლეთში⁴.

მეცნიერთა და მკვლევართა ამ მოსაზრებებს კიდევ უფრო განამტკიცებს და ადასტურებს ქართველ გეოლოგთა ახალი აღმოჩენა, რომლის შესახებაც 1970 წლის 30 სექტემბერს გაზ. „თბილისი“ იუწყებოდა: „ქართველმა გეოლოგებმა შირაქის ველში გათხრების დროს აღმოაჩინეს ქვა, რომელსაც მკაფიოდ ეტყობა ვაზის ფოთლის ანაბეჭდი. ამ ნაპოვნმა ბევრად გააღრმავა მეცნიერთა წარმოდგენა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის აბორიგენული ვაზის შესახებ. გეოლოგებმა ქვა მიაკუთვნეს ეპოქას, რომელიც 5 მილიონ წელს ითვლის“⁵.

ეს აღმოჩენა, ცხადია, მრავლისმეტყველია, და თუ მისი დათარიღება გადაჭარბებული არ არის, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ერთგვარ სიცხადეს შეიტანს კულტურული მევენახეობის ჩასახვა-წამოწყების საკითხში.

ყველა ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მივარდნილ ადგილებში, ბორცვიან სერებზე და მდინარეთა წყალგამყოფ ქედებზე დღესაც შემონახულია ვაზის ველური სახეები.

გარეული ვაზი, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო

4 კ. მოღეზაძე, მეღვინეობა, გვ. 11.

5 გაზ. „თბილისი“, 1970, 30 სექტემბერი.

ზოლში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფილოქსერასა და კოვან დაავადებათა გაჩენამდე ძველ კოლხეთში კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ყოფილა ველური ვაზი. მაგალითად, მოგზაური სტრაბონი წერდა, რომ „სასაზღვრო გორებზე კოლხები იღებენ დიდი რაოდენობით გარეულ ხილს, განსაკუთრებით ყურძენს და სხვას, მათ ადამიანები ტყეში ნახულობენ მთელი წლის განმავლობაში“⁶.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე, გავრცელებულია ტიპური გარეული ვაზი, ხოლო იმერეთში უფრო მეტად გვხვდება შებურვილი ტიპის ვაზი. და სწორედ „მევენახეობას მას შემდეგ ჩაეყარა საფუძველი, რაც ადამიანებმა დაიწყეს ველური ვაზის შეჩრჩევა და გაშენება. მისთვის სასურველი მიმართულებისა და ფორმის მიცემა, ამ დარგში ჩატარებული სათანადო მუშაობის შედეგად ყურძნის წარმოება და გამოყენება“⁷.

იმერეთში ტიპური გარეული ვაზის გვერდით ხშირად გვხვდება გარდამავალი ფორმები და აგრეთვე გაგარეულებული ვაზი.

გარეული ვაზის ასეთი ფორმები ძირითადად გვხვდება მდინარეების ყვირილას, ბუჯის, ძუსის, ძირულას, ხანისწყლისა და კაცხურას ხეობაში.

გეოგრაფიული და ისტორიულ-ეკონომიური პირობების თვალისწინებით იმერეთს ყოფენ ორ ნაწილად: ქვემო იმერეთი და ზემო იმერეთი. ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს შუა იმერეთსაც, რომელიც მოიცავს ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ტყიბულისა და თერჯოლის რაიონებს.

საგულისხმოა, რომ პროფ. ვ. ქანთარია და პროფ. მ. რამიშვილი თავიანთ შრომაში „მევენახეობა“, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა, იმერეთის ტერიტორიას მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით ყოფენ ექვს ძირითად ქვერაიონად, ხოლო გრ. ზარდალიშვილის ბოლო დროს გამოსულ წიგნში „საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება“, თითოეული ეკონომიური რაიონი და

6 ა. ბ. ხ. ჩ. ა. ძ. ე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, გვ. 23.

7 ი. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ი. ძ. ე, მევენახეობის ადგილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, გვ. 27.



ჯგუფებულია თავისი ბუნებრივი პირობებისა და სპეციალიზაციის მიხედვით.

ამ თვალსაზრისით იმერეთი გაყოფილია ორ ნაწილად: ქვემო იმერეთი და ზემო იმერეთი.

ქვემო იმერეთის ეკონომიური რაიონი მოიცავს ქ. ქუთაისს, წყალტუბოს, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონებს.

ზემო იმერეთის ეკონომიურ რაიონში შედის ქალაქები ჭიათურა და ტყიბული სოფლებითურთ და ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის საჩხერის, მაიაკოვსკისა და ვანის რაიონები.

იმერეთის მთელი ტერიტორია სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გარშემორტყმულია მთებით.

იმერეთს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან საზღვრავს მესხეთის ქედი და ახალციხე-იმერეთის მთები, ჩრდილოეთის მხრიდან აკრავს რაჭა-ლეჩხუმის მთა, ხოლო დასავლეთის მხრიდან დიაა და დაქანებულია შავი ზღვისაკენ, რაც ძირითადად განსაზღვრავს იმერეთის რაიონების კლიმატურ პირობებს.

მეცნიერული მონაცემები ადასტურებს, რომ იმერეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ისტორიულად გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის ცალკეული დარგების შექმნისა და განვითარების საქმეში. ამ მხრივ მევენახეობა-მელვინეობა ოდითგანვე წარმოადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს, ღონიერსა და წამყვან დარგს. მევენახეობა უძველესი დროიდანვე აინტერესებდა შრომისმოყვარე იმერელ კაცს და ამიტომ საუკუნეების მანძილზე აუმჯობესებდა და სრულყოფდა ვენახის გაშენების, მოვლა-პატრონობის, ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის დაყენების წესებსა და მეთოდებს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ქართველმა გლეხმა ნგრევისა და ომების ქარცეცხლში გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა ვენახის გაშენებისა და მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენების წესები.

მევენახეობა საქართველოში, თავისი არსებობის მეტად ხანგრძლივ პერიოდში, განვითარების სამ ძირითად საფეხურს მოიცავს შესაბამისი ვაზის ფორმებით. განვითარების პირველ საფეხურზე მხოლოდ ერთი ფორმა — მაღლარი — არსებობდა, მეორე საფეხურზე მაღლარის გვერდით წარმოიშვა და გავრცელდა გარდამავალი ფორმა — ოლიხნარი, მესამე საფეხურზე კი მევენახეობის თითქმის



სამივე ფორმაა გავრცელებული, მაგრამ გაბატონებული ფორმაა მალარია.

საყურადღებოა, რომ დაბლარმა მევენახეობამ წინამორბედი ფორმები — მალარია და ოლიხნარი — საბოლოოდ განდევნა XIX საუკუნის დასასრულს, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ XIX საუკუნის შუა წლებიდან ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მალარია და ოლიხნარის ტიპის ნარგავებში თითქმის შეუძლებელი იყო.

ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ მევენახეობა-მეღვინეობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ქართული ღვინოები ძველთაგანვე გაჰქონდათ საზღვარგარეთ და ამდენად იგი ქართველი გლეხისათვის სიმდიდრეც იყო და სიამაყეც.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფ. პ. გუგუშვილის მონოგრაფიულ შრომას „მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ.“, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა.

ამ ნაშრომში ავტორი გულდასმით იხილავს მევენახეობის განვითარების საერთო მდგომარეობას საქართველოში და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

მევენახეობა-მეღვინეობას, როგორც ცნობილია, მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა უმთავრესად XIX საუკუნეში. აქედან იწყება მისი ისტორიის მეცნიერული შესწავლა-დამუშავება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დაიწყო მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენაც. ამ დროისათვის საქართველოში ვენახების ფართობი, კ. ჩარკვიანის გამოკვლევით, შეადგენდა 62 900 ჰექტარს. აქედან 21 300 ჰექტარზე მეტი, ანუ 32 პროცენტი იმერეთის ვენახებს ეჭირა: 13 400 ჰექტარი დაბლარი იყო, ხოლო 7900 ჰექტარი მალარია.

უნდა ითქვას, რომ ამ დროის საქართველოში ვენახების ფართობის შესახებ მეტად არაზუსტი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებია შემონახული. 900-იან წლებში სტატისტიკური ცნობების ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე შედგენისა და მიწოდების წესის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია 5 გამო-

ჩენილი სპეციალისტის შემადგენლობით, რომელშიც სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტი ივ. ანდრონიკაშვილიც შედიოდა.

კომისიას ევალეზობდა სრულყოფილად შეესწავლა საქართველოს ტერიტორია, რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი, ფლორა, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, განათლება, ცხოვრების ხასიათი, საქმიანობა დარგების მიხედვით და დაკავებული ფართობის აღნიშვნით.

ამ ღონისძიებამ, მართალია, ერთგვარად გააუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ მინიმუმამდე მაინც ვერ შეამცირა სტატისტიკურ ცნობათა უსწორობანი.

ბევრად უფრო სარწმუნო ცნობები შეაგროვეს 90-იანი წლების დასაწყისში ვენახების ფართობის შესახებ ფილოქსერის პარტიებმა. მათი მონაცემებით, ვენახების ფართობი საქართველოში 1895 წლისათვის შეადგენდა 64 528 ჰექტარს. აქედან დაბლარი იყო 48 962 ჰექტარი, ხოლო მალლარი 15 566 ჰექტარი⁸.

აქედან იმერეთის ვენახებს ეკავა 23 585 ჰექტარი, ე. ი. 36%-ზე მეტი, საიდანაც დაბლარი იყო 17 695, ხოლო მალლარი 5890 ჰექტარი.

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ 1875 წლიდან 1895 წლამდე ვენახის საერთო ფართობი საქართველოში გაიზარდა 1628 ჰექტარით, ხოლო იმერეთში 2285 ჰექტარით. გამოდის, რომ ამ ოცი წლის მანძილზე საერთოდ საქართველოში იმერეთის გამოკლებით ვენახის ფართობი ფაქტიურად შემცირებულია 657 ჰექტარით.

რამ შეუწყო ხელი ვენახის ფართობის მნიშვნელოვნად ზრდას იმერეთში? ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა რკინიგზის გაყვანამ.

1872 წელს დამთავრდა ფოთი—თბილისის პირველი რკინიგზის გაყვანა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ გაიხსნა რკინიგზის ხაზი რიონსა და ქუთაისს შორის. 1883 წელს გავიდა რკინიგზის ხაზი სამტრედიასა და ბათუმს, აგრეთვე თბილისსა და ბათუმს შორის. 1894 წელს კი თბილისი რკინიგზის ხაზით ყარსს დაუკავშირდა.

რკინიგზის ყველა ეს ხაზი საშუალებას იძლეოდა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურით საქართველო ეკონომიურად დაკავშირებოდა

⁸ კ. ჩარკვიანი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, 1960, გვ. 11.



როგორც რუსეთის გუბერნიას, ისე საზღვარგარეთის **ზოგადი** სახელმწიფოსაც.

რკინიგზის გაყვანით გაადვილდა ღვინის გადაზიდვა თვით ამიერკავკასიაში.

ამ დროისათვის კახური ღვინო რკინიგზის უქონლობის გამო მოკლებული იყო შორეულ ბაზარს და კახეთის მოსახლეობა მას საჭაპანო ტრანსპორტით ეზიდებოდა უმთავრესად თბილისში. 70—80 იან წლებში კახურ ღვინოებს თბილისის ბაზარზე კონკურენციას უწევდა იმერეთის ღვინო, რომელიც რკინიგზით შემოჰქონდათ და გაცილებით იაფი იყო. ამიტომ ქალაქის მოსახლეობა მას უფრო ეტანებოდა, ვიდრე კახურ ღვინოს. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა, რომ იმერეთში დიდად დაწინაურდა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათის მეღვინეობა, რომელიც, ცხადია, პირველ რიგში მოითხოვდა მევენახეობის შემდგომ განვითარებას, ვენახის ფართობის გადიდებას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმერეთის მოსახლეობას დიდი შრომა სჭირდებოდა 80—90-იან წლებში იმისათვის, რომ საფუძვლიანად შებრძოლებოდა ვაზის ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიც იყო ნაცარი, ჭრაქი და ფილოქსერა, მაშინ ამ საქმის მოთავეების შრომა ვენახის არსებული ფართობის არა მარტო შენარჩუნების, არამედ ყურძნის მოსავლისა და, რაც მთავარია, ფართობის გაზრდისათვის ფასდაუდებელია.

ცნობილი მეცნიერის მ. ბალასის გამოკვლევით, 1877 წლიდან 1885 წლამდე ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობის რაიონებიდან რკინიგზით საშუალოდ ყოველწლიურად იგზავნებოდა 300 ათას დეკალიტრზე მეტი ღვინო, ხოლო ვ. ვაწაძის ცნობით, 1885 წელს მარტო შორაპნის მაზრიდან 412 ათასი დეკალიტრი ღვინო გაუტანიათ.

დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე დიდ რაიონში — შორაპნის მაზრაში 1895 წელს ვენახს ეკავა 14 371 დესეტინა, საიდანაც გლეხებს 11 398 დესეტინა, ანუ 72,3% ეკუთვნოდათ⁹.

რაც შეეხება მდიდარი მემამულეების მიერ მსხვილი კაპიტალისტური წესით ღვინის წარმოებას, როგორც მ. ბალასი შენიშნავს,

⁹ კ. ჩარკვიანი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 21.

ამ საქმის პირველი პიონერი საქართველოში თავადი ზ. ჯორჯაძე იყო, რომელსაც თელავის მაზრაში (სოფელ საბუეში) პირველხარისხოვანი ღვინის ქარხანა მოუწყვია.

1876 წელს ღვინის ასეთივე დიდი სარდაფი 800 კვ. საყენის მოცულობით აუშენებია და კარგადაც მოუწყვია თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის თავის მამულში სოფელ მუხრანში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ანანოვების მოღვაწეობა, რომლებსაც იმერეთის ცენტრში სოფ. ვარციხეში ჰქონდათ კაპიტალისტური ტიპის ღვინის წარმოება. აი რას წერს ამის შესახებ პ. სტეფანიშვილი¹⁰:

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა მეფის მთავრობის გენერალს ა. ი. სვიატოპოლსკ-მირსკის მთავრობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საჩუქრად მისცა ვარციხის სათავადაზნაურო მამული სოფელ სვირიდან სოფელ ვარციხემდე. ამ უკანასკნელს კი რამდენიმე წლის შემდეგ მამული თავდაპირველად სახელმწიფო ხანკაში დაუფირავებია, ფული აუღია, უკან ვეღარ შეუტანია და იძულებული გამხდარა დაგირავებული მამულის საჯარო ვაჭრობა გამოეცხადებინა. ეს მამული საჯარო ვაჭრობის წესით 3 ათას მანეთად შეუძენია რუსეთის იმპერიის მსხვილ კაპიტალისტს სტეფანე ანანოვს. 90-იან წლებში სტეფანე ანანოვი გარდაიცვალა და მამულს, როგორც მემკვიდრე, დაუფლებია სტეფანე ანანოვის შვილი ალექსანდრე ანანოვი.

ალექსანდრე ანანოვს ჰყოლია ორი შვილი — აბგარი და მიხრანი, რომლებსაც უმადლესი აგრონომიული განათლება მიუღიათ საფრანგეთში. უფროსი შვილი აბგარი ხე-ტყის წარმოებას ჩადგომია სათავეში, ხოლო უმცროსი მევენახეობა-მეღვინეობის საქმით ყოფილა გატაცებული.

ანანოვების ისტორიასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი ფაქტი. როგორც ცნობილია, 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელმაც ქ. ბაქო შეუერთა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებს, თავდაპირველი პროექტით რკინიგზის მთავარ მაგისტრალს ქ. ქუთაისზე უნდა გაეგლო, მაგრამ იმის გამო, რომ ალექსანდრე ანანოვს ეს პროექტი არ მიაჩნდა თავის სასარ-

¹⁰ პ. სტეფანიშვილი, მეღვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1967.



გებლოდ, რადგან ამ გზით მას ძალიან გაუძნელდებოდა და ამასთან მნიშვნელოვნად გაუძვირდებოდა ხე-ტყის მასალის გადაზიდვა რკინიგზის სადგურამდე და, ცხადია, მოგებაც ნაკლები დარჩებოდა, ამიტომ ალექსანდრე ანანოვს დიდი თანხის ვალდებით გარკვეული გავლენა მოუხდენია ქუთაისის მაშინდელ გუბერნატორ ლუშკაშოვიზე, რომელსაც მოუხერხებია პეტერბურგში ჩასვლით დამტკიცებული პროექტის შეცვლა და რკინიგზის ხაზი ახალი პროექტით ზესტაფონიდან პირდაპირ აჯამეთის მიმართულებით გასულა (იქ, სადაც ანანოვი ხე-ტყეს ამზადებდა). ამ პროექტით სადგურები აშენებულა აჯამეთში და რიონში, ხოლო ქუთაისი მოქცეულა ჩიხში.

ძველად არსებული პროექტით ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი უნდა ყოფილიყო ბათუმი, სამტრედია, ქუთაისი, სიმონეთი, ზესტაფონი, შემდეგ თბილისი და ბაქო.

ალექსანდრე ანანოვის სიკვდილის შემდეგ მამულების გამგებლობა მის შვილს მიხრან ანანოვს დაუწყია. მიხრანს გასული საუკუნის მიწურულში საფრანგეთიდან შემოუტანია შამპანური ჯიშის ვაზი, რომელიც გაუშენებია თავის მამულში — ვარციხეში. ვაზის ეს ახალი ჯიშები მიხრანს უფასოდ დაურიგებია აგრეთვე ვარციხის მახლობლად მცხოვრები სოფლის გლეხებისათვის. გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავიანთ ნაკვეთებში გაეშენებინათ ეს ახალი ჯიშის ადგილობრივი უნამყენო ვაზის ნაცვლად, საიდანაც მიღებული ყურძენი თავის დროზე უნდა ჩაებარებინათ ანანოვისათვის შესაბამისი ფასის გადახდით.

მ. ანანოვმა 1901 წელს ვარციხის ახლოს გააშენა 50 ჰექტარი ვენახი, აქვე 4 წლის შემდეგ ააშენა კონიაკის ქარხანა, ხოლო 1908 წელს ვარციხეში ააგო პირველი კლასის ევროპული ტიპის ღვინის ქარხანა, სადაც ამზადებდა შამპანურ ღვინოს და ხდიდა კონიაკის სპირტს.

1909 წელს მ. ანანოვმა საკუთარ ქარხანაში გამოუშვა სულ 45 ათასი ბოთლი შამპანური. 1911 წელს კი 70 ათასი ბოთლი. მ. ანანოვის ფირმით გამოშვებულ კონიაკს და შამპანურს რომ საჭირო ავტორიტეტი მოეპოვებინა ბაზარზე, იგი გასაგზავნ ყუთებში ხშირად დებდა ხოლმე ძვირფას საჩუქრებს, რომელსაც უკეთებდა წარწერას თავისი ავტოგრაფით.

მ. ანანოვმა ააშენა აგრეთვე ღვინის ქარხანა ზესტაფონში 1915 წელს.



საერთოდ იმერეთში ღვინის ერთადერთ უძველეს ქარხნად ითვლება ქუთაისის ქარხანა, რომელიც, როგორც ღვინის სარდაფი, 1876 წელს აუგია ფრანგ მეღვინეს შოტეს. 1884 წელს ღვინის ეს სარდაფი შეუსყიდია პრინც კონსტანტინე ოლდენბურგსკის, რომელსაც სარდაფის რეკონსტრუქცია მოუხდენია და დამატებით მიწის ქვეშ აუშენებია 70 ათასი დეკალიტრი ღვინის ტევადობის ახალი სარდაფი. ამ დროისათვის ქუთაისის ქარხანა სულ იძლეოდა 100 ათას ბოთლ ღვინოს. ქარხანას მაღალხარისხოვანი ყურძნით ამარაგებდა მაიაკოვსკის რაიონის ზედა ზონის და ახლანდელი თერჯოლის რაიონის ქვედა ზონის სოფლები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის ქარხანას ყოველწლიურად 2000 ვედრო შამპანური ღვინომასალით ამარაგებდა აგრეთვე ცხინვალში მცხოვრები ვინმე მაჩაბელი.

ასე რომ, იმერეთში გასული საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის ღვინის ქარხანა იყო ყველაზე დიდი, ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი ქარხანა, რომელიც კლასიკური მეთოდით ამზადებდა შამპანური ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოებს¹¹.

იმერეთში მევენახეობის განვითარებას, მიუხედავად რიგი დაბრკოლებისა, გასული საუკუნის დასაწყისიდანვე ფართო პერსპექტივები გადაეშალა. 1850-იან წლებში აქ მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დარგს საერთოდ სოფლის მეურნეობაში¹².

მევენახეობა იმერეთის მთელ ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, ერთნაირად არ იყო განვითარებული. ბუნებრივი პირობების შესაბამისად 90-იან წლებში მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის 80 პროცენტს შეადგენდა მდინარე ყვირილას მარცხენა მხარის და მდინარე ჩხერიმულასა და ძირულას ხეობებში მდებარე სოფლებში: ბაღდაღში, დიმში, ობჩაში, როდინოულში, სვირში, კვალითში, ხარაგოულში, ცხრაწყაროში, ფუთში, ბაზალეთში, უბისაში და სხვ.

11 ა. ს ტ ე ფ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მეღვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1967, გვ 23.

12 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952, გვ. 98.



რაც შეეხება მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლებს: საქარას, ღვანკითს, თერჯოლას, სიმონეთს და მდინარე ძუსის ხეობის სოფლებს: ზორვეთი, საზანო, მუჯირეთი, სკანდა, თუზი და სხვ. მევენახეობა აქ ინტენსიურად იყო განვითარებული, მაგრამ მისგან მიღებული შემოსავალი 1890-იან წლებში შეადგენდა მეურნეობის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50 — 60 პროცენტს.

ქუთაისის გუბერნიის ეკონომიური მდგომარეობის ოფიციალურ მიმოხილვაში, რომელიც 1890 წელსაა შედგენილი, გუბერნიის მეღვინეობის მთავარ ცენტრად ჩათვლილია სოფელი სვირი და მისი მეზობელი სოფლები.

სვირში მევენახეობა-მეღვინეობა ისე ყოფილა განვითარებული, რომ 1888 წელს მთავრობას სოფლის მცხოვრებთა შუამდგომლობით სვირის მახლობლად რკინიგზის სადგურიც კი დაუარსებია, საიდანაც ადგილობრივი ღვინოები იგზავნებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში — ოდესაში, ყირიმში და სხვაგან, აგრეთვე თბილისში.

იმერეთის დანარჩენ სოფლებში მევენახეობა-მეღვინეობა თავისი მნიშვნელობით დაახლოებით მემინდვრეობის დონეზე იდგა და ამდენად ვაჭრობის საგანს არ წარმოადგენდა. რასაკვირველია, ეს არ ეხება საჯავახოს სოფლებს, სადაც წინათ ოიდიუმის გავრცელებამდე მევენახეობა დიდ როლს ასრულებდა, ხოლო შემდეგ ადგილობრივ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. საერთოდ, როგორც ცნობილია, ქვემო იმერეთში საუკეთესო ვენახები სოკოვანმა ავადმყოფობამ მოსპო და დაბლარი ვენახების ადგილი იზაბელამ დაიკავა, რომელიც მდარე ხარისხის ღვინოს იძლეოდა და, ცხადია, ბაზარზე ცუდად საღებოდა.

პროფ. პ. გუგუშვილი თავის გამოკვლევაში „მევენახეობის გეოგრაფიული გაადგილება“ ასკვნის, რომ საერთოდ დასავლეთ საქართველოში „ვენახით დაკავებული ფართობის მატება-შემცირების სურათი თვალნათლივ წარმოადგენს იმ გამანადგურებელ გავლენას, რაც სოკოვან ავადმყოფობათა და მერმე ფილოქსერისაგან განიცადა მევენახეობამ და ამასთანავე, იმ ინტენსიურ ცდებს, რი-



თაც მოსახლეობა კიდევ და კიდევ ცდილობდა გაჩანაგებულ ვენახების აღდგენას¹³.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში მევენახეობის დონისა და დინამიკის შესახებ წარმოადგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი¹⁴.

ცხრილი 1

ვენახის ფართობი დასავლეთ საქართველოში
(დესეტინებში)


	1870—1873		1890	1903	1913	1917
	მლლარი	დაბლარი				
ქუთაისის მაზრა	5000	4000	7726	4950	4130	5865
შორაპნის „	2250	8320	9222	6238	6698	7996
რაჭის „	—	1274	5154	1840	1313	1474
ლოჩხუმის „	800	1000	1461	1639	1641	499
ოზურგეთის „	4000	?	1240	5379	4164	467
ზუგდიდის „	4845	?	2829	1222	88	248
სენაკის „	6155	?	974	167	157	212
სოხუმის ოლქი	720	?	?	3112	3098	3674
ბათუმის ოლქი	?	?	?	1443	1469	?
ს უ ლ	23770	14594	28596	29990	22758	37522
	38 364					

XIX საუკუნის 50 — 60-იან წლებში სოკოვანი დაავადება დიდ ზიანს აყენებდა მლლარს. მართალია, როგორც ცხრილიდან ჩანს, 1870 — 1873 წლებთან შედარებით 1894 წლისათვის ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში მლლარის ფართობი რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ სწორედ ამ დროიდან სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელების შედეგად მლლარი ვენახი თითქმის მწყობრიდან გამოვიდა როგორც სამეგრელოში, ისე განსაკუთრებით იმერეთში.

იმერეთში 1870-იანი წლების დამდეგს დაბლარი ვენახი 12 320 ჰექტარს შეადგენდა და, ცხადია, არცთუ იმდენად იყო გაბატონებული, მლლარს კი 7250 დესეტინა, ანუ მთელი ფართობის 37

13 ბ. გუგუშვილი, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952, გვ. 101.

14 იქვე, გვ. 106.



პროცენტი ეკავა. ეს მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა 20 წლის შემდეგ. 1894 წელს იმერეთში ვენახის მთლიანი ფართობი (21 598 ჰექტარი) მალლარს ეკავა 5394 დესეტინა, ანუ მთელი ფართობის 25 პროცენტი.

900-იანი წლებიდან მნიშვნელობა დაკარგა მალლარმა ვენახმა იმერეთში. სოკოვანმა დაავადებამ დაბლარი ვენახიც ძლიერ დააზიანა, მაგრამ სარკინიგზო მიმოსვლის გაფართოებისა და მევენახეობისადმი სიყვარულის შედეგად დაბლარი ვენახის ფართობი 1870 წელთან შედარებით 1894 წლისათვის 31,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შორაპნის მაზრაში 47,5 პროცენტით.

სწორედ ამ დროიდან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში ფართოდ გავრცელდა ვენახის საშინელი მტერი ფილოქსერა, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა დაბლარ ვენახსაც. ამის გამო იმერეთის ორივე მაზრაში 1894 წელთან შედარებით 1914 წელს დაბლარი ვენახის ფართობი თითქმის განახევრდა, ქუთაისის გუბერნიაში კი 40 პროცენტზე მეტად შემცირდა, ხოლო საერთოდ ვენახის ფართობი 45 773 დესეტინიდან 18 223 დესეტინამდე, ე. ი. 60 პროცენტით შემცირდა. ეს იყო დიდი კატასტროფა.

უცხოელ და ქართველ მკვლევართა გაანგარიშებით ფილოქსერით და სოკოვანი დაავადებით ქუთაისის გუბერნიაში დაიღუპა ვენახების უდიდესი ნაწილი, ხოლო რაც დარჩა, ისე მცირე მოსავალს იძლეოდა, რომ გაწეულ შრომასაც ვერ ანაზღაურებდა.

როგორც ცნობილია, დასავლეთიდან ფილოქსერა გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში, პირველ რიგში ქართლში, შემდეგ კახეთში და დიდი ზიანი მიაყენა ვენახებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფილოქსერით ვენახები ნადგურდებოდა, ხოლო რუსეთს ევროპიდან ყოველწლიურად 500 000 ფუთი ღვინო შემოჰქონდა, რაზედაც 8 მილიონ მანეთს იხდიდა ოქროთი¹⁵.

ალბათ, ამის გამო მეფის მთავრობა იძულებული გახდა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეექმნა სპეციალური კომიტეტი.

მართლაც, 1890 წელს სოფელ საქარაში, ქ. ზესტაფონის მახლობლად, შეიქმნა პირველი სანერგე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა

15 ი. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე, მევენახეობის ადგილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1967, გვ. 334



ცნობილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე აგრონომი ვ. ა. სტაროსელსკი, რომელმაც შედარებით მოკლე დროში სერიოზული მუშაობა გასწია და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოში. სახელმწიფო სანერგეები, გარდა საქარისა, მოეწყო დასავლეთ საქართველოს სხვა სოფლებშიც.

სახელმწიფო და კერძო მამულებში სანერგეების მზარდი ოდენობით მოწყობა საქარის სანერგის დიდი გამარჯვების შედეგი იყო. სანერგეების ამოცანას შეადგენდა: ამერიკულ საძირეებზე ნამყენი ვაზით ვენახების აღდგენა და ამ საქმის უპირატესობაში მოსახლეობის დარწმუნება, ადგილობრივი პირობების მიხედვით საძირე მასალისა და ნერგის შერჩევა, ახალ საწყისებზე ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, ახალი წესების შესაბამისად მევენახეების მომზადება და სხვ.

K 150.631


სახელმწიფო და კერძო მამულებში ფილოქსერაგამძლე საძირეებზე სანერგეების მოწყობამ დიდი როლი შეასრულა ვენახების აღდგენის საქმეში. ამ წესით 1913 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში არსებული 19 916 დესეტინა ვენახიდან ამერიკულ საძირეებზე აღდგენილი ვენახების ფართობი 13 262 დესეტინა იყო. აქედან შორაპნის მაზრაზე მოდიოდა 6775 დესეტინა და ქუთაისის მაზრაზე 5145 დესეტინა.

ეს იყო მკვეთრი გარდატეხა. ამ დიდ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საქარის სანერგემ. ნამყენი ვაზით ვენახების გაშენება იმდენად გავრცელდა და განვითარდა, რომ ამ დროისათვის საკუთარ ძირზე ვენახის გაშენება უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა.

„მეტის მეტი სიბეცე და დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა,— წერდა ს. ჩოლოყაშვილი,— ახალი ვენახის სადმე გაშენება დაუწყნელ ვაზზე“¹⁶.

საქარისა და სხვა სახელმწიფო სანერგეების დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ აქ მომზადებული ახალგაზრდობა არა მარტო ამზადებდა ნამყენი ვაზის ნერგებს, არამედ მთელი მონღოლებით ეხმარებოდა მოსახლეობას სავენახე ნიადაგის შერჩევის, მომზადების და საერთოდ ახალი წესით ვენახის გაშენების საქმეში.

16 ს. ჩოლოყაშვილი, როგორ აღვადგინოთ კახეთში ვენახები, თბ., 1927, გვ. 21.





სანერგეების სპეციალისტთა ნაყოფიერი მუშაობა, მართალია, დიდად უწყობდა ხელს ფილოქსერით დაღუპული ვენახების აღდგენის საქმეს, მაგრამ ყველა ღონისძიების გატარება დიდი მასშტაბით თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, რადგან მოსახლეობისაგან მოითხოვდა დიდ შრომასა და ფულად სახსრებს, რასაც გლეხური მეურნეობები ვერ ახერხებდნენ.

განსაკუთრებით დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული ვენახების ახალ ფართობზე გაშენება. იმერეთში ერთი დესეტინა სავენახე ნიადაგის პლანტაჟი გლეხს უჯდებოდა 300 მანეთიდან 500 მანეთამდე. ერთი ცალი ნამყენი ღირდა 7 კაპიკიდან 12 კაპიკამდე. თუ დესეტინა ვენახის პლანტაჟს საშუალოდ 400 მან., ხოლო ერთ ცალ ნამყენ ნერგს 10 კაპიკს ვიანგარიშებთ და საშუალოდ ერთ დესეტინაზე 5000 ძირ ნამყენს მაინც დავრგავთ, მაშინ ერთი დესეტინა ვენახის გაშენება დაჯდებოდა 900 მანეთი. თუ ამას დაემატებთ ახლად გაშენებულ ვენახში მოვლა-პატრონობის ყველა სახის დანახარჯებს პირველ სამ წელს, მაშინ იმერეთში ერთი დესეტინა ვენახის გაშენება და სამი წლის განმავლობაში მისი მოვლა-პატრონობის ხარჯები 1258 მანეთიდან 1624 მანეთამდე მერყეობდა, რაც გლეხური მეურნეობისათვის უმძიმესი ტვირთი იყო¹⁷.

მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენდა აგრეთვე ვენახის ნარგავებზე დიდი გადასახადები, რომელიც 900-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ორჯერ გაიზარდა და რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა არა მარტო მევენახეობის, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაც.

მიუხედავად იმისა, რომ ვენახის ფართობი იმერეთში 1913 წელს (11 824 ჰა) 1895 წელთან (23 585 ჰა) შედარებით 50 პროცენტით შემცირდა, ყურძნის მოსავალი საქართველოში და მათ შორის იმერეთში გაცილებით მაღალი იყო. ამ ფაქტის დასადაგენად ამხ. კ. ჩარკვიანს თავის წიგნში „მელვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში“ მოჰყავს 5 წლის მონაცემები (1909 — 1913 წწ.) და ადარებს მას 1895 წელთან. საშუალო გამოსავალი ერთ წელიწადში 294 პროცენტით გაზრდილა

17 ი. ჩუბინიძე, მევენახეობის ადგილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1967, გვ. 337.

1895 წელთან შედარებით¹⁸, რაც იმის შედეგი იყო, რომ ვენახების მოვლა-პატრონობა ძირფესვიანად გაუმჯობესდა. სავალდებულო წესად იქცა ვაზის წამლობა ჭრაქის წინააღმდეგ, ნამყენი ნერგით ვენახის გაშენება, ფართოდ დაინერგა აგრეთვე გასხვლის ახალი წესები და საერთოდ ვაზის მოვლის სხვა მოწინავე მეთოდები. ამრიგად, იმერეთში მევენახეობა ინტენსიური გახდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი.

მაგრამ, სამწუხაროდ, მევენახეობა-მეღვინეობის გამოცოცხლებას ზღვარი დაუღო პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ. უცხოეთიდან აღარ შემოდის ვაზის შესაწამლი ქიმიკატები და აპარატურა. მას ზედ დაერთო 1914 წლის აგვისტოში მეფისნაცვლის მიერ შემოღებული სავალდებულო დადგენილება მაგარი სასმელებით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ.

ომის დამლუბველი გავლენა საქართველოს მევენახეობაზე გამოქდავდა 1917 წელს ჩატარებული აღწერით, რომლის მიხედვით 4 წლის მანძილზე (1913—1917 წწ.) ვენახის ფართობი საქართველოში 8489 ჰექტარით, ანუ 18 პროცენტით შემცირდა. ვენახების დიდი დანაკლისი პირველ რიგში განიცადა შიდა კახეთმა, ქართლმა და გარე კახეთმა, ე. ი. იმ რაიონებმა, სადაც ვენახები არ იყო აღდგენილი ფილოქსერაგამძლე საძირეებზე, ხოლო რაც შეეხება იმერეთს, სადაც მოსახლეობამ კარგად აითვისა ვაზის კულტურის მოვლა-პატრონობის ახალი წესები და 90-იანი წლებიდან დაიწყო ვენახების აღდგენა ნამყენი ნერგით, ვენახების ფართობი ამ ხნის მანძილზე 2242 ჰექტარით, ანუ 19 პროცენტით გადიდა¹⁹.

მიუხედავად ამისა, ღვინის წარმოებამ იმერეთში მნიშვნელოვნად იკლო, რაც გამოწვეული იყო ყურძნის მოსავლის შემცირებით, შესაწამლი ნივთიერებისა და აპარატურის უქონლობითა და ვენახების მოვლა-დამუშავების გაუარესებით. „მაგალითად, იმერეთში ღვინის (მაჭრის) პროდუქციამ ყველაზე დიდმოსავლიან 1913 წელს შეადგინა 4042 ათასი ვედრო, ხოლო 1917 წელს 2462 ათასი, ე. ი. შემცირდა 40 პროცენტით. შორაპნის მაზრაში

¹⁸ კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 46.

¹⁹ ი ქ ვ ე.

თითქმის განახევრდა მისი წარმოება, ქუთაისის 30 პროცენტით შემცირდა. მთლიანად საქართველოში წარმოებული ღვინის ოდენობა 10,1 მილიონი ვედროდან შემცირდა 4,7 მილიონ ვედრომდე, ე. ი. 55 პროცენტით²⁰. ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას ვენახების მასობრივი დაავადებით — ფილოქსერიით, რომელმაც ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა კახეთის ვენახებს, რამაც დასცა ყურძნის მოსავლიანობა და ღვინის წარმოება.

უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში. როგორც ცნობილია, ქართველმა მენშევიკებმა საქართველო მთლიანად გააპარტახეს და სახალხო მეურნეობა სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში მშრომელ გლეხობას არც ერთი ჰექტარი ვენახი არ მიუღია მემამულეებისაგან.

იმის გამო, რომ საქართველო მენშევიკებმა სულ ერთიანად მოსწყვიტეს რუსეთს, მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნილება ღვინოზე, ხოლო პურის შემოუტანლობამ არნახულად გააძლია მისი ფასი. შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა ქართველი გლეხი აეჩხეხა ვენახები და მის ადგილას მარცვლეული კულტურები დაეთესა.

ვენახის ფართობის შემცირებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მენშევიკურმა მთავრობამ შემოიღო 20-პროცენტოანი სააქციზო გამოსაღები ღვინოზე, რითაც აუტანელი გახდა ღვინის წვრილი მწარმოებლების მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ვენახის ფართობის, ყურძნის მოსავლისა და ღვინის რაოდენობის ზუსტი დადგენა მეტად ძნელია. ეს მონაცემები იმ დროისათვის არ არსებობდა, რადგან სახალხო მეურნეობის მოშლასთან ერთად მეტად ქაოსურ მდგომარეობაში იყო აღრიცხვიანობის საქმეც.

²⁰ ა. ს ტ ე ფ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მეღვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1967, გვ. 28.

მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი 1921 წლისათვის საქართველოში ვენახის ფართობი უდრიდა 29 500 დესეტინას, ხოლო ღვინის წარმოება 2 750 500 ვედროს²¹.

ამრიგად, ვენახის მთლიანი ფართობი მენშევიკების ბატონობის პერიოდში 11 800 დესეტინით, ანუ 28 პროცენტით, ღვინის წარმოება კი თითქმის სამჯერ შემცირდა. მართალია, დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, იმერეთში ვენახის საერთო ფართობი ამ წლებში მკვეთრად არ შემცირებულა, რაზედაც, ცხადია, გავლენა იქონია ფილოქსერის წინააღმდეგ წარმოებულმა ეფექტურმა ბრძოლამ, მაგრამ ღვინის წარმოება ორჯერ შემცირდა.

მენშევიკების მთავრობამ არა მარტო გააღიდა ძველი გადასახადები, არამედ აიძულა გლეხობა გადაეხადათ მემამულეებისათვის როგორც ღალა, ისე იჯარა, რაც ფაქტიურად სოფლების სრულ განადგურებას იწვევდა.

ი. ბ. სტალინი მენშევიკურ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას 1920 წლისათვის შემდეგნაირად ახასიათებდა: „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა,—ეს საქართველო ამჟამად თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“²².

პოლიტიკურმა უუფლებობამ, მიწის საკითხის გადაუჭრელობამ და მძიმე გადასახადებმა გლეხთა მასობრივი აღშფოთება გამოიწვია: 1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატისა და წითელი არმიის დახმარებით დაამხო მენშევიკური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ამით დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

21 გ. ა ბ ე ს ა ძ ე, მებაღეობა, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე და მათი განვითარების პერსპექტივები, ინსტ. შრომები, ტ. 13, გვ. 4.

22 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 447.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით დაიწყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენა-განვითარება.

ამ დროს მრეწველობა დაცემული იყო, ტრანსპორტი მთლიანად მოშლილი, სოფლის მეურნეობა გაპარტახებული, ხალხი მასობრივად შიმშილობდა.

ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იყო მევენახეობა, რომლის საერთო ფართობი 29 500 ჰექტარს შეადგენდა, ნაცვლად 51 862 ჰექტარისა 1913 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იყო დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც 1921 წლის 6 აპრილს გამოიცა.

ამ დეკრეტით გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება და ყველა მიწა მშრომელი ხალხის კუთვნილებად გამოცხადდა. მიწები, რომელიც ხაზინას, მემამულეებს, ეკლესიებსა და მონასტრებს ეკუთვნოდა, უსასყიდლოდ გადავიდა მშრომელთა სარგებლობაში.

დეკრეტის ძალით მიწის ყველა მუშაკი, უმიწაწყლო თუ მცირემიწიანი გლეხი, სახალხო ფონდიდან მიიღებდა მიწას იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფდა მის ოჯახს.

საქართველოს მშრომელმა გლეხობამ საბჭოთა ხელისუფლები-საგან 1921 — 1929 წლებში მიიღო 870 070 ჰექტარი მიწა, რომელიც წინათ მემამულეების, ბურჟუაზიის, ხაზინისა და სხვათა ხელში იყო.

მიწის ეს დეკრეტი და მისი განხორციელება ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ პარტია და ხელისუფლება არა სიტყვით, არამედ საქმით დგას მშრომელი გლეხობის მხარეზე და იცავს მის ინტერესებს.

ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის, ისე მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მრავალწლიანი ნარგავების, მათ შორის მევენახეობის მდგომარეობის

ერთი ხელის დაკვრით გაუმჯობესება, რადგანაც სახალხო მეურნეობა გაჩინაგებული იყო.

ამ ვითარებაში საჭირო იყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობის სწრაფ აღდგენას. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, იგი უნდა დაგვეწყო სოფლის მეურნეობით, რომელიც დააკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობას პურით და წარმოებას ნედლეულით. უამისოდ შეუძლებელი იყო მრეწველობის აღდგენა და შემდგომი განვითარება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის აღდგენა და განვითარება ამ პერიოდისათვის მთავარი რგოლი იყო. მიუხედავად ამისა, მრავალწლიანი ნარგავების აღდგენა-განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა მრეწველობის განვითარება, რომელიც დაამზადებდა ვაზის შესაწამლ ქიმიკატებს, რასაც რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩვენი მრეწველობა ვერ უზრუნველყოფდა.

ამავე დროს ვაზის სადღეღების დიდ ნაწილს დაღუპვის გამო ნამყენი ვაზი აღარ გამოჰყავდათ და დაღუპულის ნაცვლად ახალი ვენახები თითქმის აღარ ირგებოდა, რის გამო მათი ფართობი საქართველოში და მათ შორის იმერეთში მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, ვაზის ნარგავებს 1923 წლის აღწერით საქართველოში 33 478 ჰექტარი ეკავა. ამ რაოდენობაში, როგორც ამხ. კ. ჩარკვიანი აღნიშნავს, შედიოდა აღწერის დროს აღრიცხული 1866 ათასი ძირი ცალკემდგომი ვაზი შემჭიდროებულ ნარგავებზე გადაყვანით.

1922 წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა მევენახეთა ყრილობა კახეთში, სოფ. გურჯაანში და 1923 წლის აპრილში — იმერეთში ქ. ზესტაფონში. ორივე ყრილობაზე განიხილეს ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხები და დასახეს საჭირო ღონისძიებები.

ასეთივე თათბირები და ყრილობები ჩატარდა მომდევნო წლებშიც. 1924 წლის იანვარში თბილისში შედგა სრულიად საქართველოს მევენახე-მელვინეთა თათბირი, ხოლო ამავე წლის მარტში მიწსახკომის ინიციატივით თბილისში ჩატარდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მევენახეთა ყრილობა, რომელმაც გა-



ნიხილა მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი²³.

„მევენახეობისა და მელვინეობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის ამ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვენახების გადაყვანას ფილოქსერაგამძლე საძირეზე, მაგრამ საჭირო მასალის უქონლობის გამო ბევრი ფიქრობდა, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლებაც ვერ შეძლებდა ამის განხორციელებას, მაშინ ასეთი პესიმიზმისაგან თავისუფალი არ იყვნენ ის მოწინავე სპეციალისტებიც, რომლებიც შემდგომ მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა მთავრობის ღონისძიების გატარებაში მევენახეობისა და მელვინეობის ასაღორძინებლად“²⁴.

უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ამერიკული ვაზის სადედეების საქმე მართლაც ცუდად იყო. თუ ომის წინ საქართველოში ითვლებოდა 100 ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე, 1921 წლისათვის 30 ჰექტარს აღწევდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა - ორგანოებმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამერიკული ვაზის სადედეების გაფართოებას, რის შედეგად 1925 წლისათვის მათმა ფართობმა 349 ჰექტარს მიაღწია და 1921 წლის დონეს 11-ჯერ გადააჭარბა. მიუხედავად ამისა ვენახის ფართობი მაინც არ იზრდებოდა.

ასეთივე მდგომარეობა იყო თითქმის იმერეთშიც. ვენახის ფართობი იმერეთში საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით სტაბილური იყო და 1913 წლის დონესთან შედარებით არ შემცირებულა. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საქარის სანერგეს.

საბჭოთა მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები მიიღო მევენახეობის განვითარების სტიმულირებისათვის. ამ მიზნით 1925 წლისათვის ღვინოზე 80 პროცენტით შემცირდა სააქციზო გადასახადი, შემცირდა აგრეთვე ღვინის გადაზიდვის ტარიფები რკინიგზაზე. გარდა ამისა, მევენახეობის განვითარებისათვის მთავრობა ღარიბ და საშუალო გლეხობას კრედიტს აძლევდა.

23 ა. ს ტ ე ფ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მელვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, გვ. 45.

24 კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, მელვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 59.



მიუხედავად ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა და უფრო მეტად ჩამორჩებოდა სოციალისტური მრეწველობის ზრდის ტემპებს.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ, როცა პარტია მტკიცედ დაადგა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, შესაძლებელი გახდა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება საქართველოში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის.

საუფლისწულო მამულები, რომლებიც კაპიტალისტური წესით იყო მოწყობილი და ვაჭარ-კაპიტალისტების გამდიდრებას ემსახურებოდა, სახელმწიფო ორგანიზაციების და კოლმეურნეობების ხელში გადავიდა და მათ ბაზაზე აღმოცენდნენ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გაერთიანდნენ „სამტრესტში“.

კახეთში ეგრეთ წოდებული სახალხო მამულები — საბჭოთა მეურნეობები — შეიქმნა წინანდალში, ნაფარეულში, მუკუხანში და კარდანახში, ხოლო იმერეთში — ვარციხეში და ვაჭევში.

სახალხო მამულების ტრესტმა მარტო 1925 წელს საფრანგეთიდან მიღებული 1,2 მილიონი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწიდან უმეტესი ნაწილი დაურიგა გლეხებს, ამასთან გლეხებმა ამ ტრესტიდან მიიღეს 50 000 ცალი ერთწლიანი და 236 ათასი ცალი გამოყვანილი ნამყენი²⁵.

30-იან წლებში ჩვენში არსებობდა მთელი რიგი კოოპერაციული მეღვინეობის ორგანიზაციები „კახეთი“, „საერო“, „იმერეთი“, „კავშირთ-კავშირი“, „ხვანჭკარა“, რომლებიც ჯერ გაერთიანდნენ კოოპერაციულ საწარმოო კავშირში „საქართველოს ღვინოში“, ხოლო 1931 წელს ეს კავშირი „სამტრესტს“ შეუერთდა. ამ დროისათვის ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედეები და სანერგეებიც გადავიდა „სამტრესტის“ ხელში, ე. ი. კოლმეურნეობათა სარგავი და შესაწამლი მასალებით მომარაგება „სამტრესტს“ მიენდო.

საქართველოს მევენახეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პირველ ხუთწლეულში. 1932 წელს მიწსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმით ამერიკული ვაზის სადედეს ფართობი უნდა ასულიყო 1200 ჰექტარამდე.

25 კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.


უნდა ითქვას, რომ საქართველოს მევენახეობის განვითარების ისტორიაში მეორე ხუთწლელი — 1933 — 1937 წლები როგორც ამ დარგის მნიშვნელოვანი განვითარების ხუთწლელი.

მეორე ხუთწლედში საქართველოში ვენახების საერთო ფართობი უნდა ასულიყო 100 ათას ჰექტარამდე. ამ დავალების შესრულებისათვის საჭირო იყო ამერიკული ვაზის სადედეების გაფართოება. ამასთან სადედეები ძირითადად უნდა გაშენებულიყო იმერეთში და ქართლში. როგორც პროფ. ნ. იაშვილი აღნიშნავს, სადედეების გაშენებისას მხედველობაში უნდა მიგვეღო ნიადაგური პირობები, მექანიზაციის დანერგვა, კვალიფიციური სპეციალისტები და მუშახელი. ამ პირობებმა თავისთავად განსაზღვრა ამერიკული ვაზის სადედეებისა — და სანერგეების რენტაბელობა. სხვადასხვა კუთხეში გაშენებული სადედეები და სანერგეები განსხვავებული ზომისაა, არც ნამყენის თვითღირებულებაა ერთნაირი, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში სადედეები დაბალი რენტაბელობის გამო ჰექტარზე 30 000 მეტრ ლერწს იძლეოდა, ხოლო იმერეთში საქარის და ქორეის უბნის სანერგე 60 000 მეტრ ლერწს. შედეგად იმერეთში 1926 წ. ვენახის ფართობი 1917 წელთან შედარებით 13 001 ჰექტარამდე, ანუ 3,9% გაიზარდა, 1931 წელს 16 370, ანუ 8%, ხოლო 1938 წელს 16 739, ანუ 33,7%, იმ დროს, როდესაც მევენახეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა კახეთი, ვენახის ფართობი 1938 წლისათვის თითქმის განახევრდა და 12 258 ჰექტარი შეადგინა, ნაცვლად 1913 წელს 23 319 ჰექტარისა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ვენახის ფართობი საერთოდ საქართველოში ამ პერიოდში 33,1 პროცენტით შემცირდა.

იმერეთში ვენახის ფართობის ზრდას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ დროს აქ დაიწყეს პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების გაშენება.

ამრიგად, 1938 წლისათვის იმერეთში ვენახის ფართობი 16 739 ჰექტარს შეადგენდა, ე. ი. საქართველოს ვენახების მთელი ფართობის 40,4 პროცენტს. აქედან კოლმეურნეობებში იყო 2756, საბჭოთა მეურნეობებში 199,06 ჰექტარი, იმ დროს, როდესაც კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების ვენახების ხვედრითი წონა 82,1 პროცენტს შეადგენდა. ამოცანას წარმოადგენდა ვენახების შემდგომი განვითარების ტემპის დაჩქარება, განსაკუთრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.



მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა ფილოქსერისაგან დაღუპული ვენახების მთელი ფართობის თანდათანობით გადაყვანა ფილოქსერაგამძლე საძირეზე. ამიტომ საჭირო იყო ამერიკული ვაზის სადედეების გაშენება. სამწუხაროდ, იმ დროს მეტი ყურადღება ექცეოდა ლერწის შემოტანას საზღვარგარეთიდან, რომელიც სრულიად სამართლიანად აღკვეთილი იქნა 1930 წელს.

ცხრილი 2

იმერეთის რაიონებში ვენახების ფართობი (ჰა)
1938 წლის 1 იანვრისათვის²⁶

რაიონების დასახელება	კოლმეურნეობები	საბჭოთა მეურნეობები	სხვა ორგანიზაციები	კოლმეურნეობები	ერთობრივი მეურნეობები	სულ
ჭიათურის	162,58	—	0,99	2361,80	5095,11	3034,80
ორჯონიკიძის	250,78	—	1,109	1451,49	91,53	1794,89
ზესტაყონის	1327,53	114,69	21,27	1157,13	318,79	3939,41
ჩხარის	384,24	22,74	0,26	1269,76	115,51	1792,51
მაიაკოვსკის	446,97	61,63	1,21	1224,86	407,98	2142,65
ვანის	50,75	—	—	1132,99	264,18	1447,92
ქუთაისის	59,61	—	1,2	1244,21	114,30	1447,92
სამტრედიის	42,73	—	2,21	225,66	5,24	275,84
წულუკიძის	21,73	—	—	292,24	19,24	333,21
ტიბულის	9,22	—	—	381,54	167,94	558,70
სულ	2756,14	199,06	28,23	11741,68	2013,82	16738,93

ამის შედეგად 1935 წლიდან ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი მნიშვნელოვნად იზრდება და 1937 წლისათვის აღწევს 1013 ჰექტარს, ანუ 1930 წელთან შედარებით ერთისამად მეტს.

სადედეების მთელი ფართობის დაახლოებით ერთი მესამედი 319 ჰექტარი იმერეთის რაიონებზე მოდის, აქედან კოლმეურნეობებში იყო 259,9 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში 51 ჰექტარი და სხვა ორგანიზაციებში 8,27 ჰექტარი.

²⁶ ცხრილი ამოღებულია პროფ. ს. ჩოლოყაშვილის და ი. რცხილიძის წიგნიდან, საქართველოს სსრ მევენახეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები.



მევენახეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ზემდგომი ორგანოების დადგენილებას საქართველოს სსრეს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში მეორე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული ვენახების ფართობის გადიდება 100 ათას ჰექტარამდე არარეალური აღმოჩნდა და, ცხადია, არ შესრულებულა.

ამიტომ საკავშირო ხელმძღვანელმა ორგანოებმა გაითვალისწინეს ყველა შესაძლებლობა და ამ დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკას მიზნად დაუსახეს დაბლარი ვენახის გადიდება 1940 წლისათვის 60 ათას ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებში უნდა გაშენებულიყო 28 ათასი ჰექტარი.

დადგენილებით გათვალისწინებული იყო აგრეთვე საქართველოში შამპანური ჯიშის ვენახის გაშენება. მთავრობა კოლმეურნეობებს ვენახის გასაშენებლად აძლევდა გრძელვადიან კრედიტს საღვინე ჯიშის 1 ჰექტარზე 2670 მანეთიდან 2970 მანეთამდე, ხოლო შამპანურ ჯიშებზე 4400 მანეთიდან 4900 მანეთამდე. გადიდდა ყურძნის სახელმწიფო დასამზადებელი ფასებიც.

ცხრილი 3

ვენახების ფართობი საქართველოში 1940 წელს რაიონების მიხედვით (ჰექტარებში)

მევენახეობის რაიონები	დაბლარი	მლლარი	ს უ ლ
შიგა კახეთი	15366	29	15395
ქართლი,	12866	138	13004
სამხ. ოსეთის ა/ო	20471	1219	21090
იმერეთი	3356	1596	4994
რაჭა-ლეჩხუმი	2563	4537	7100
სამეგრელო	839	3095	3934
გურია	1033	3969	5002
აფხაზეთი	68	572	640
აჭარა			
ს უ ლ	56 562	15 154	71716 ²⁷

27 მევენახეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები საქ. სსრ-ში, თბ., 1941.



მართალია, ამ დავალებების მთლიანად შესრულება არ მოხერხდა, მაგრამ მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე საქართველოში მაინც წინ წავიდა. დაბლარი ვენახის ფართობი 1940 წელს, სრულიად საკავშირო აღწერით, რომელიც პირველად ჩატარდა საქართველოს მევენახეობის ისტორიაში, უდრიდა 54 700 ჰექტარს, ხოლო ვენახების საერთო ფართობი მალლარის ჩათვლით 71 700 ჰექტარს.

მე-3 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა ფილოქსერის განადგურება და ვენახების ფართობის არათუ აღდგენა, არამედ 1913 წელთან შედარებით 56 პროცენტით გადიდება. საქართველოში ვენახებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული არასოდეს იმდენი ფართობი არ ეკავა, რამდენიც 1940 წელს.

ეს წარმატება, ცხადია, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების პირდაპირი შედეგი იყო.

იმერეთში, 1940 წლის სრულიად საკავშირო აღწერით, ვენახების ფართობი 21 090 ჰექტარს შეადგენდა, აქედან დაბლარი 20 471, ხოლო მალლარი 1219 ჰექტარს. ყველაზე მეტი რაოდენობის (4881 ჰექტარი) ვენახი გაშენებული იყო ზესტაფონის რაიონში, ჩხარის (ახლანდელი თერჯოლის) რაიონში—2443 ჰექტარი, ორჯონიკიძის რაიონში—2419, მაიაკოვსკის რაიონში 2149 ჰექტარი. საერთოდ კი შუა იმერეთზე მოდიოდა 11 226 ჰექტარი, მნიშვნელოვნად გადიდდა ყურძნის მოსავალიც, მაგრამ პირად მეურნეობებში ვენახების ფართობი უფრო მაღალი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ვენახების მთელი ფართობის მხოლოდ 1,5 პროცენტი მოდიოდა სახელმწიფო მეურნეობებზე, 31,6 პროცენტი კოლმეურნეობებზე, ხოლო 67,4 პროცენტი პირად მეურნეობებზე.

ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მთავრობის დადგენილებით დაისახა ახალი ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმა, რომლითაც ვენახის ფართობი საქართველოში 1944 წლის დამლევისათვის უნდა აყვანილიყო 80 ათას ჰექტარამდე, ხოლო საშუალო მოსავალი ჰექტარზე — 65 ცენტნერამდე.

ამ დავალების შესრულებას ხელი შეუშალა დიდმა სამამულო ომმა, შედეგად 1947 წლისათვის ვენახის ფართობი 46 000 ჰექტარამდე, ხოლო ყურძნის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერამდე შემცირდა.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1947 წლის მაისის პლენუმზე დაწვრილებით განიხილა მევენახეობის საკითხი და დასახა ღონისძიება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცენტრალური კომიტეტის მითითებით მეოთხე ხუთწლიანი (1946—1950) გეგმით საქართველოში უნდა გაშენებულყო 11 000 ჰექტარი ვენახი და მისი საერთო ფართობი უნდა ასულიყო 70 000 ჰექტარამდე. აქედან იმერეთის რაიონებში ვენახის ფართობი უნდა გაზრდილიყო 15 პროცენტით. ახალი ვენახის გაშენების გეგმა მეოთხე ხუთწლედში, მართალია, შესრულდა, მაგრამ გაშენებულმა ვენახებმა ძლივს შეავსო მანამდე არსებული ფართობი. ასე რომ 1950 წელს ვენახის ფართობი საქართველოში 58 200 ჰექტარს შეადგენდა. ვენახის ფართობი არ გაზრდილა აგრეთვე იმერეთშიც. მიუხედავად ამისა, 1950 წლისათვის ყურძნის დამზადება საქართველოში 1945 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, ხოლო იმერეთში ორნახევარჯერ.

1954 წლის საკავშირო აღწერით ვენახების საერთო ფართობი საქართველოში 61 200 ჰექტარს შეადგენდა, ე. ი. 15 100 ჰექტარით მეტს, ვიდრე 1947 წელს. მართალია, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ ხნის მანძილზე ვენახის ფართობი 7551 ჰექტარით გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

ამიტომ სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმით საქართველოში 1956—1960 წლებში ახალი ვენახი უნდა გაშენებულყო 15 000 ჰექტარზე და შესაბამისად გაზრდილიყო აგრეთვე ყურძნის ჩაბარებაც.

1959 წლის 1 იანვრისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, დაბლარი ვენახების ფართობმა საქართველოში 67 000 ჰექტარს მიაღწია. აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა მთელი ფართობის 59,3 პროცენტი. ამ მხრივ, მართალია, შედარებით უარესი მდგომარეობაა იმერეთში (43,5), მაგრამ 1940 წელთან შედარებით ვენახების ფართობი 10,2 პროცენტით გაიზარდა.

1962 წლის მონაცემებით საქართველოში ვენახების ფართობმა 92 258 ჰექტარს მიაღწია, ხოლო იმერეთში 19 171 ჰექტარს. აქედენ საზოგადოებრივ მეურნეობაზე მოდიოდა 6595,7 ჰექტარი, ანუ მთელი ფართობის 34,3 პროცენტი. საგულსხმოა, რომ საზო-



გაღობრივ მეურნეობებში ვენახის ფართობი უფრო სწრაფად იზრდება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში. მაგალითად, 1953 წლიდან 1962 წლამდე ვენახის ფართობი კახეთში 13 936 ჰექტარიდან აყვანილ იქნა 28 391 ჰექტარამდე, ე. ი. გაიზარდა 103,7 პროცენტით. იმერეთში ამ მხრივ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ არაფერი ვთქვათ წინა წლებზე, 1959 წელთან შედარებითაც კი იმერეთში ვენახების ფართობი 1962 წლისათვის შემცირდა 519 ჰექტარით და შეადგენს 6595 ჰექტარს. 1962—1963 წლებში ვენახის ფართობი გაიზარდა 2114 ჰექტარით და შეადგინა 8709 ჰექტარი. საერთოდ კი 1964 წლისათვის იმერეთის რაიონებში ვენახების ფართობი მთლიანად შეადგენდა 21 285 ჰექტარს. აქედან კოლმეურნეობებში იყო 7300 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 1409 ჰექტარი.

1964 წლისათვის რესპუბლიკის მასშტაბით მოსახლეობის კატეგორიების მიხედვით ვენახის ფართობის სამ მესუთედზე მეტი სოციალისტურ სექტორშია თავმოყრილი. მაგალითად, რესპუბლიკის ვენახების საერთო ფართობიდან—90 306 ჰექტარიდან 40,5 პროცენტი უჭირავს კოლმეურნეობებს, 20,2 პროცენტი საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო 39,3 პროცენტი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს. კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობაა ამ მიმართულებით კახეთის რაიონებში, სადაც ვენახის მთლიანი ფართობიდან — 39 921 ჰექტარიდან—საზოგადოებრივ მეურნეობაზე მოდის 28 971 ჰექტარი, ანუ 72,5 პროცენტი. მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ვენახს უჭირავს მხოლოდ 10 951 ჰექტარი, ე. ი. 27,5 პროცენტი.

საქართველოს მევენახეობამ და მათ შორის იმერეთის რაიონების საზოგადოებრივმა მევენახეობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია მერვე ხუთწლეულში.

მართალია, ვენახების ფართობი იმერეთში 1962 წელთან შედარებით დიდად არ გაიზარდა (1962 წლის აღწერით იყო 19 171 ჰექტარი, 1970 წლის აღწერით არის 21 933 ჰექტარი), მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმერეთის რაიონების კოლმეურნეობებში და სახელმწიფო მეურნეობებში ამ ხნის მანძილზე ვენახების ფართობი 1962 წელთან შედარებით 1970 წელს 6595,7 ჰექტარიდან ავიდა 9296 ჰექტარამდე, ანუ 40,9%-ით გაიზარდა. აქედან კოლმეურ-



ნეობებში 5037,3 ჰექტარიდან გადიღდა 7465 ჰექტარამდე და საბჭოთავი სოფლის მეურნეობებში—837,4 ჰექტარიდან 1831 ჰექტარამდე.

მნიშვნელოვნად ამაღლდა აგრეთვე ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავალი და გადიღდა ყურძნის წარმოება. სახელმწიფოს 1970 წელს იმერეთის რაიონების კოლმეურნეობებმა და სახელმწიფო მეურნეობებმა მიჰყიდეს 23 267 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ე. ი. ყველაზე მეტი, რაც კი ჩაბარებულა წინა რომელიმე წელიწადს.

მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები იმერეთში

საქართველოს მევენახეობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია მერვე ხუთწლეულში.

1962 წლის პასპორტიზაციით, იმერეთში ამ დროისათვის ვენახების ფართობი უღრიღა 19 171 ჰექტარს. საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიღდა 6595,7 ჰექტარი, ანუ მთელი ფართობის 34,3 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობებზე 43 პროცენტი.

ცხრილი 4

რაიონების დასახელება	ვენახის ფართობი 1962 წ. (ჰექტ.)				ვენახის ფართობი 1970 წ. (ჰექტ.)			
	კოლმეურნეობები	საბჭოთა მეურნეობები	საგა სახელმწიფო მეურ.	ს უ ლ	კოლმეურნეობები	საბჭოთა მეურნეობები	მოსახლეობაში	ს უ ლ
1	2	3	4	5	6	7	8	9
ზესტაფონის	1281,8	266,0	86,4	1634,3	1617	631	2426	4674
თერჯოლის	882,5	—	29,3	911,8	1368	179	1841	3388
საჩხერის	739,1	393,3	—	1132,5	863	304	1279	2446
მაიაკოვსკის	636,06	91,3	2,4	729,8	1054	423	1293	2770
ორჯონიკიძის	757,8	—	—	857,8	841	26	801	1668
ვენახს	561,06	—	1,1	562,1	840	27	1589	2456
ქ. კიათურის	293,05	—	—	293,05	228	28	1318	1574
წულუკიძის	67,37	—	0,23	67,6	36	—	356	392
წყალტუბოს	212,5	62,5	0,49	275,5	464	99	541	1104
სამტრედიის	88,7	24,3	0,5	113,6	59	113	693	865
ტიბულის	102,28	—	0,14	102,5	95	—	435	531
ს უ ლ	5637,3	837,4	121,0	6595,7	7465	1831	12637	21933



სულ სხვა სურათია 1970 წელს. ვენახების საერთო ფართობი 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 31,0 პროცენტით, ხოლო 1962 წელთან შედარებით 14,4 პროცენტით.

იმერეთის ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებში ვენახების ფართობი ასეთ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 4):

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკოლმეურნეო ვენახების ფართობი უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1970 წ. ვენახების ფართობი საბჭოთა მეურნეობებში 1938 წელთან შედარებით თითქმის თერთმეტჯერ გაიზარდა. ამრიგად, საუკუნეობრივად დამკვიდრებული წვრილი დაქუცმაცებული ვენახების ნაცვლად იმერეთში შეიქმნა და დაინერგა მსხვილი სოციალისტური მეურნეობა, რომელსაც შეუძლია ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებათა მიღწევები, მნიშვნელოვნად აამაღლოს მექანიზაციის დონე, გაადიდოს შრომისნაყოფიერება და შეამციროს წარმოების ხარჯები.

✓იმერეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიული წარსული, ამ დარგების თანამედროვე მდგომარეობა, განვითარებისათვის განსაკუთრებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების ფართო შესაძლებლობანი აუცილებელს ხდის მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ ფართო განვითარებას საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში. ✓

როგორც ცნობილია, ბუნებრივი პირობების მიხედვით საქართველო იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი საქართველო და დასავლეთი საქართველო. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს იმერეთი, რომლის ტერიტორია ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია რაჭა-ლეჩხუმის მთით, აღმოსავლეთიდან — მესხეთის ქედით, სამხრეთიდან — მესხეთის ქედით და ახალციხე-იმერეთის მთებით, დასავლეთის მხრიდან კი გაშლილია და ამიტომ შავი ზღვის გავლენას განიცდის.

იმერეთის ტერიტორია დაქანებულია შავი ზღვისაკენ და დასერილია მთის ქედებითა და ბორცვებით.

იმერეთის საერთო ფართობი დაახლოებით 6070 კვ. კილომეტრია, სადაც ცხოვრობს 726 000 კაცი. ვაკე ადგილებს მხოლოდ 30 პროცენტი უჭირავს. ყველაზე დიდი ვაკე ადგილები მდინარე



რიონისა და ყვირილას დაბლობებშია. დანარჩენი მდინარეები მდინარე ვიწრო ღრმა ხეობებს.

ამჟამად იმერეთის რაიონებში ვენახს უჭირავს 21 933 ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში—7465 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში — 1831 ჰექტარი.

მეცხრე ხუთწლედში იმერეთში ახალი ვენახები გაშენდება 2602 ჰექტარზე. 1975 წლის ბოლოს ვენახების ფართობი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აყვანილი იქნება 11 898, ხოლო მთლიანად საკარმიდამო ვენახების ჩათვლით 24 535 ჰექტარამდე, ე. ი. 1970 წელთან შედარებით 11,8 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 28,0 პროცენტით გაიზრდება.


მევენახეობის განვითარების დონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ვენახების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებაში მყოფი მიწების საერთო ფართობში.

ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმში—18,7%, შემდეგ იმერეთში—17,5%, კახეთის რაიონებში კი 16,9%, დანარჩენ რაიონებში ვენახების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებაში მყოფ მიწებში 3—8%.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში ვენახების ხვედრითი წონა დამუშავებაში მყოფი მიწების მთლიან ფართობში 10 პროცენტზე მეტს არ შეადგენს, მაშინ ცხადი იქნება, რომ იმერეთის მაჩვენებელი ამ მხრივ ბევრად უკეთესია ისეთ დიდ რაიონებთან შედარებით, როგორცაა კახეთი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვენახების ფართობის შედარებით დაბალი ხვედრითი წონა დამუშავებაში მყოფ მიწებში იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული მევენახეობის განვითარების ყველა არსებული შესაძლებლობა და მეტად კარგი პირობები.

როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად იმერეთის რაიონების ხვედრითი წონა ვენახების ფართობის მიხედვით საკმაოდ დიდია, მაგრამ მომავალში, მიუხედავად იმისა, რომ ვენახის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზრდება, იმერეთის რაიონების ხვედრითი წონა რესპუბლიკაში თანდათან შემცირდება, ძირითადად კახეთის და ნაწილობრივ ქართლის რაიონებში ვენახების ფართობის დიდი ზრდის გამო.



ეს ერთხელ კიდევ მოაგონებს იმერეთის რაიონების კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი ვენახების გაშენებისათვის გამოსადეგი მიწები და ამასთან მიიღონ ყველა ზომა ვენახების არსებული ფართობიდან მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად.

იმერეთის რაიონებში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში, ვენახების ფართობის შემდგომი ზრდა, ცხადია, უნდა მოხდეს ძირითადად საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე. ამიტომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მომენტები. პირველ რიგში უნდა დავიწყოთ მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობიდან. განვსაზღვროთ ვენახის გასაშენებლად არსებული შესაფერისი ფართობები, მიწის მასივების ათვისების სიადვილე, როგორც პლანტაჟის, ისე ვენახების შემდგომი დამუშავების სამუშაოთა მექანიზებული წესით წარმოების შესაძლებლობის თვალსაზრისით. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ მაღალმოსავლიანი, საუკეთესო ყურძნის ჯიშების გაშენება და სხვა მრავალი, აგრეთვე მევენახეობის მიზანშეწონილი შეთანაწყობა სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებთან.

მევენახეობის განვითარების დონის დადგენის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი ჩვენში იყო და კვლავ არის სავენახე მიწების რესურსები და ამა თუ იმ რაიონში მევენახეობასთან ერთად სოფლის მეურნეობის სხვა დარგების არსებობის საჭიროება და მათი ურთიერთთან რაციონალურად შეთანაწყობა. რადგან, როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, შრომის, ტექნიკისა და სხვა რესურსების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება შესაძლებელი და უკეთესია კომპლექსური—მრავალდარგიანი მეურნეობის პირობებში, წამყვანი დარგის, ამ შემთხვევაში მევენახეობის უპირატესი განვითარებით.

იმერეთის პირობებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობაში მევენახეობის განვითარებასთან ერთად კარგი პირობები აქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, როგორცაა მეხილეობა, მემინდვრეობა და სხვ. ამისათვის საჭირო იქნება ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-



ნობების გათვალისწინებით განისაზღვროს აგრეთვე დამატებითი დარგების განვითარებაც.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების ამ საშუალო მაჩვენებლებში ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა და ამასთან მევენახეობის ძირითადი რაიონები ძალიან დატვირთულია მრავალწლიანი ნარგავებით. მაგალითად, ვენახებისა და ხეხილის ბაღების (უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის და მიაკოვსკის რაიონებში ხეხილის ბაღებს ძალიან მცირე ფართობი უკავია) ხვედრითი წონა დამუშავებაში მყოფი მიწების მთელ ფართობში შეადგენს: ზესტაფონის რაიონში 62,2, მიაკოვსკის რაიონში 49,7, თერჯოლის რაიონში 47,5, ორჯონიკიძის რაიონში 48,7 პროცენტს.

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ახალ ხუთწლიან გეგმაში ნავარაუდები მაჩვენებლები იმერეთის რაიონებში დაბლარი ვენახების ფართობის 24 535 ჰექტარამდე აყვანის შესახებ შეიძლება ჩაითვალოს მაქსიმალურად. მაგრამ ამასთან ნარგავები უნდა იყოს სრულფასოვანი და ახალი ვენახების გაშენების გარდა ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს მეჩხერი ვენახების შევსება, ამორტიზებული ვენახების ამოძირკვა და ახლით შეცვლა, გარდა ამისა, საჭირო იქნება მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გასაშენებელი ვენახების ჯიშების სწორად დადგენას და მათ განლაგებას ამა თუ იმ ზონის ბუნებრივი და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ მაღალხარისხოვანი და სტანდარტული, უპირატესად მასობრივი საქონლის პროდუქციის — ღვინის — მიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ძირითადად, მაღალხარისხოვანი სამრეწველო ჯიშების გავრცელებას.

ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია მევენახეობისათვის და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებისათვის. ზუსტად ძნელი სათქმელია, თუ ვაზის რამდენი ჯიში უნდა იყოს საქართველოში, რადგან ჩვენს კუთხეში ამჟამად არსებული ვაზის ჯიშები მხოლოდ ერთი ნაწილია ვაზის იმ ჯიშებიდან, რაც ქართველ ხალხს თავისი ხანგრძლივი ისტორიის

მანძილზე შეუქმნია, უფრო დიდ ნაწილს კი ჩვენს დრომდე უღწევია. მიუხედავად ამისა, ვაზის ჯიშთა სიმრავლით საქართველოს მევენახეობას მსოფლიოში არა ჰყავს ბადალი. ✓

საბჭოთა კავშირში აღრიცხული ვაზის 2000-მდე ჯიშიდან 1180 აბორიგენული, ანუ ადგილობრივი ვაზის ჯიშია. აქედან საქართველოზე მოდის 500-მდე ქართული ვაზის ჯიში. ✓

ვაზის ჯიშთა გამოვლინებისა და შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ამპელოგრაფიული სადგურების მუშაობას. ასეთი სადგურები საგანგებოდ აგროვებენ და აშენებენ თავიანთ სამოქმედო ზონაში არსებულ ვაზის ჯიშებს. მაგალითად, საქარის ზონალურ სადგურში — იმერეთში 103-მდე ვაზის ჯიში იცდება. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება მოითხოვს შესაფერ ჯიშებს, მაგრამ მასობრივი გავრცელებისათვის უნდა გამოვიყენოთ რაიონის პირობებთან შეხამებული უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი რამდენიმე ჯიში.

ჩვენი წინაპრების გამოცდილებისა და ვაზის საუკუნეობრივ კულტურის შედეგად საქართველოში გამოყვანილია საყოველთაოდ სახელგანთქმული ყურძნის მრავალი ჯიში. ყოველ კუთხეს საქართველოში გააჩნია ვაზის ჯიშების დიდი ასორტიმენტი, მაგრამ აქედან, როგორც წესი, განსაკუთრებით ძვირფასი და გასავრცელებელია ორი-სამი ჯიში.

ამის შესაბამისად იმერეთის მევენახეობა-მელვინეობა დამყარებულია ძირითადად ორ ჯიშზე — ციცქაზე და ცოლიკაურზე, რომლებსაც თითქმის თანაბარი ფართობი უკავიათ. ციცქა ჭარბობს ზემო იმერეთში და შუა იმერეთის აღმოსავლეთ მხარეს, ცოლიკაური კი ქვემო და ცენტრალურ იმერეთში.

თეთრ ჯიშებს შორის იმერეთში საუკეთესო ჯიშად ითვლება ციცქა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნამდვილი იმერული ღვინის ტიპი პირველ რიგში ციცქასაგან და შემდგომ მისი მონათესავე ცოლიკაურისაგან იქნება მიღებული.

ციცქას ღვინო სიძველეში მეტად სასიამოვნო და ნაზია. როგორც საქარის საცდელი სადგურის დაკვირვებებიდან ჩანს, ღვინო დაახლოებით 20 წლის შემდეგ იწყებს საუკეთესო თვისებების განვითარებას.

ციცქა მაღალმოსავლიან ჯიშად ითვლება და კარგი მოვლის პირობებში ჰექტარიდან 80—90 ცენტნერ ყურძენს იძლევა.

მისი შაქრიანობა შუა იმერეთში ტექნიკური სიმწიფის პერიოდში საშუალოდ 23,5 პროცენტს უდრის, დაბლობ ადგილებში შაქრიანობა შედარებით დაბალია და საშუალოდ 21,2 პროცენტს არ აღემატება.

ციცქას შემდეგ თეთრ ჯიშებში მეორე ადგილზეა ცოლიკაური. იგი განსაკუთრებით გავრცელებულია „ობჩური ცოლიკაურის“ სახელწოდებით, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის და ვანის რაიონებში, და რამდენადმე განსხვავდება „ბაზალეთური ცოლიკაურისაგან“. იგი ციცქაზე ნაკლებ მოსავალს იძლევა. შაქრიანობით ზოგიერთ სოფელში მას აღემატება. ღირსებითაც ციცქას ღვინო უკეთესია.

შუა იმერეთში თეთრ ჯიშებს შორის მეტად საყურადღებო ჯიშია აგრეთვე კრახუნა, რომელმაც ოდითგანვე გაუთქვა სახელი ცნობილ სვირის ღვინოებს, სხეულის სიმდიდრით და სიმაგრით კრახუნას თეთრ ჯიშებს შორის პირველი ადგილი უკავია. მის ნაკლად ითვლება გადაჭარბებული სიმძიმე და სიძვლე. სვირის მიკრორაიონში კრახუნას შაქრიანობა საშუალოდ 25 პროცენტს შეადგენს. ეწერ მიწებზე შედარებით მცირე მოსავალს იძლევა.

იმერეთის ზოგიერთ სოფელში ძალიან ნაკლებად, მაგრამ მაინც არის გავრცელებული ადგილობრივი თეთრი ჯიში დონდლაბი, რომელიც ისე მდარე ხარისხის ღვინოს იძლევა, რომ ერთეული ნარგავების სახით შემორჩენილია მხოლოდ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

შავი ყურძნის ჯიშებიდან აღსანიშნავია ოცხანურის საფერე, რომელსაც თეთრი ღვინის შესაღებადაც ხმარობენ. ადგილობრივ შავ ჯიშებს შორის მას პირველი ადგილი უჭირავს, შედარებით მცირე მოსავალს იძლევა. შაქრიანობამ ტექნიკური სიმწიფის დროს საქარის საცდელი სადგურის ნაკვეთში 22,5 პროცენტი შეადგინა.

გარდა ძირითადი ჯიშებისა, იმერეთში გავრცელებულია აგრეთვე კრახუნა ზესტაფონის და მაიაკოვსკის ადმინისტრაციულ რაიონებში, ოცხანურის (იმერული) საფერე—ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის და ჭიათურის რაიონებში, ქვიშური—ჭიათურის, საჩხერის და ორჯონიკიძის რაიონებში, ძველშავი—მაიაკოვსკის რაიონში. კრახუნა და ოცხანურის საფერე, როგორც ჯიში, იშვიათობად იქცა. კრახუნა მცირე რაოდენობით გვხვდება ზესტაფონის რაიონის



სოფელ სვირში და მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნეთა საკარმიდანო ნაკვეთებზე, უფრო მცირე რაოდენობითაა კოლმეურნეობებში. რაც შეეხება ოცხანურის საფერეს, ამ ჯიშის ვენახის საუკეთესო მომგლელებად ითვლებიან კობახიძეები ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში და ჭანტურიძეები თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში. მათ და ზოგიერთ სხვა სოფლების კოლმეურნეებს ამჟამადაც აქვთ ოცხანურის საფერე, რომლის საერთო რაოდენობა ალბათ სულ რამდენიმე ჰექტარით განისაზღვრება. ეს ჯიში მცირე რაოდენობით არის აგრეთვე საჩხერი-სა და ჭიათურის რაიონებში.

უფრო სავალალო მდგომარეობაშია ვაზის უძველესი ჯიში — მუჭურეთული, რომელიც ძველად დიდი რაოდენობით ყოფილა გაშენებული მიკრორაიონში — სოფ. მუჭირეთში (თერჯოლის რაიონი). ამ ჯიშის ვაზი ამჟამად მხოლოდ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გვხვდება. მისი ცალკეული ნარგავები გვხვდება აგრეთვე რაჭაში.

აი რას წერს ამ ჯიშების შესახებ აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი: „კრახუნსაგან საუკეთესო ღვინო სოფელ სვირში დგება, მაგარია და მადიერის მაგვარი გემო აქვს, სხვა ღვინოებზე უფრო ძვირად ფასობს“.

„მუჭირეთულმა მოგძო, თავწვეტა შავი ფერის მარცვალი იცის, ეს ვაზი საშუალოზე მეტს ისხამს, მისი ყურძენი საჭმელადაც კარგია, მაგრამ არ იმეტებენ, რადგან კარგი ღვინო იცის“²⁸.

აღნიშნული მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ ვენახების გაშენების დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ გეგმის შესრულებას, სამწუხაროდ, არავის აწუხებს ახლად გაშენებული ვენახების ჯიშობრივი შედგენილობა. ამან განაპირობა კრახუნასა და ოცხანურის საფერეს ვენახების ფართობის მინიმუმამდე დაყვანა, მაშინ როცა 1938 წლის აღწერით იმერეთში კრახუნას ჯიშის ვენახი 254,6 ჰექტარი და ოცხანურის საფერე 230 ჰექტარი იყო.

ახალი ვენახების გაშენების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეღვინეობის მთავარ ფაქტორს — ვაზის ჯიშს. უნდა

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II. გვ. 437, 441.

აღნიშნოს, რომ ამ გარემოებას იმერეთში სათანადო ყურადღება
ექცევა.

ამ შემთხვევაში შეცდომებს სჩადიოდა არა მარტო გლეხი-მევენახე, არამედ გამოცდილი აგრონომიც კი. „მაგალითად, ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღდგენის დროს საქარის სანერგე დიდ პროპაგანდას ეწეოდა კაბერნეს სასარგებლოდ. მართალია, ეს ჯიში შესაფერ პირობებში საუცხოო პროდუქტს იძლევა, მაგრამ მან იმერეთში ვერც ღირსებით და ვერც მოსავლის რაოდენობით თავი ვერ ისახელა“²⁹.

ამის გამო რამდენიმე წლის შემდეგ იმერეთის მევენახეები იძულებული გახდნენ ეს ჯიში მთლიანად აეჩეხათ და სხვა ვაზი გაეშენებინათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო მდიდარია ვაზის ჯიშებით, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საჭირო აღარ იყოს ზრუნვა ვაზის ახალი ქართული ჯიშების გამოყვანისათვის. მით უმეტეს ჰიბრიდიზაციით მიღებული ახალი ან გაუმჯობესებული ჯიშები უფრო ძლიერი იქნება ძველ ჯიშებთან შედარებით, უკეთ შეეგუება ადგილობრივ პირობებს, ახალ აგროტექნიკას, სასუქებს და სხვ.

იმერეთში საღვინე ვაზის საუკეთესო ჯიშად აღიარებულია ციცქა, მაგრამ მას ძვირფას თვისებებთან ერთად აქვს უარყოფითი თვისებებიც — გრძელი სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის და ნაწილობრივ თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მაღლობ სოფლებში დამწიფებასაც ვერ ასწრებს. ასე იყო 1959, 1962 და 1964 წლებში, როცა ყურძნის შაქრიანობა 14 — 15 პროცენტს არ აღემატებოდა.

მართალია, ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის მეტად სერიოზულად მუშაობს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მაგრამ იმერეთის პირობებისათვის ეს საკმარისი არ არის.

ახალი ვენახების გაშენების პერსპექტიულ გეგმაში ციცქასა და ცოლიკაურის ფართობის ზრდასთან ერთად მეტი რაოდენობით უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული ვაზის ჯიშების გაშენება.

29 კ. მო დ ე ბ ა ძ ე, მეღვინეობა, 1947, გვ. 218.

კრაუნას, ოცხანურის საფერეს და სხვა ზოგიერთი უნიკალური ჯიშების ვენახების გაშენების წახალისების მიზნით, სასარგებლო იქნებოდა აგრეთვე მათი შესასყიდი ფასების გადიდება კახური საფერავის დონემდე მაინც. იმერეთში მევენახეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა და წარმოადგენს ფილოქსერაგამძლე საღებდების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, ლერწის პროდუქციის გადიდება და ამის შესაბამისად ნამყენი ნერგის წარმოების ზრდა.

ფილოქსერაგამძლე ახალი საღებდების გაშენების გარეშე არსებული ფართობიდან კარგი მოვლის პირობებში შესაძლებელია საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა 35 — 40 ათასი ცალი ლერწის მიღება, რაც არამარტო იმერეთის რაიონებს დააკმაყოფილებს.

რამდენიმე სიტყვა ყურძნის მოსავლისა და ღვინის წარმოების შესახებ.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში მიწა წარმოების ძირითადი საშუალებაა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება და ხარისხის ამაღლება დამოკიდებულია პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურასა და მათი გამოყენების მდგომარეობაზე.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მცირემიწიანობა. საქართველოში ერთ სულ სოფლის მოსახლეზე მოდის საშუალოდ 1,15 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,19 დამუშავებაში მყოფი მიწა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში 4,89 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და დაახლოებით 2 ჰექტარი სახნავი, ე. ი. პირველი 4,2-ჯერ და მეორე 4-ჯერ მეტი.

ეს მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ტყეებით და დიდი დახრილობის გამო მისი გამოყენება მიწათმოქმედებაში დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში, კერძოდ, იმერეთში ვენახების ფართობის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალება შეზღუდულია. ამის გამო მევენახეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირითადი და მთავარი ამოცანაა ფართობის ერთეულზე დიდი რაოდენობის და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლის გადიდების გზით.



მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ წლებში, იგი ჯერ კიდევ დაბალია. 1970 წლის მონაცემებით კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 37,2 და საბჭოთა მურნეობებში 30,5 ცენტნერი.

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ყურძნის საჰექტარო მოსავალი ჯერ კიდევ დაბალია. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ვენახების სიმეჩხრე, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 20 პროცენტს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი 100 ძირი ვაზიდან ყოველწლიურად 20 ძირი ვაზის მოსავალი გვაკლდება.

რამდენიმე სიტყვა ნიადაგების შესახებ. „ვაზი, — წერს პროფ. კ. მოდებაძე, — თუმცა თითქმის ყოველგვარ ნიადაგზე ხარობს, მაგრამ ყველგან ერთსა და იმავე ხარისხის ღვინოს არ იძლევა.

ვაზი ადვილად იზრდება როგორც კუნძულ მადერის ვულკანურ ნიადაგზე, ისე ბურგუნდიის კირნარებზე. ნარიყავ მიწებზე მელოკში, თელიანში და ნაფარეულში, ანაპის წმინდა ზღვის სილაზე და იმერეთის მძიმე თიხნარებზე და ეწერ-გამოფიტულ მიწებზე, მაგრამ ერთი და იგივე ჯიშის ღვინო, თუგინდ პინოსი, საუკეთესო მხოლოდ კირნარზე დგება“³⁰.

მისივე აზრით, ყურძნის მოსავლისა და ღვინის ხარისხის თვალსაზრისით, ნიადაგები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მძიმე თიხნარი, ნოყიერი ნიადაგები, ხოლო მეორე ჯგუფს უფრო ხარისხოვანი, მაგრამ შედარებით ნაკლებმოსავლიანი ჩონჩხიანი, მჩატე, სილნარი მიწები. ამ ორ მთავარ ტიპს შორის არსებობს მრავალი გარდამავალი ფორმა.

იმერეთის რაიონების ნიადაგების სტრუქტურა სავსებით დამაკმაყოფილებელია მევენახეობის განვითარებისათვის. გამონაკლისია სამტრედიის, წულუკიძის და ნაწილობრივ წყალტუბოს რაიონის ზოგიერთი სოფელი, სადაც ნიადაგური პირობები, ჰავა, ტენიანობა და ხშირი ნალექები ხელს უშლიან ვაზის კულტურის ნორმალურ განვითარებას და, რაც მთავარია, ხარისხოვანი მეღვინეობის წარმოებას.

30 კ. მოდებაძე, მეღვინეობა, 1948, გვ. 221.

ცხრილი 5

გენაზების ფართობი და უურძნის მოსავალი (1970 წელი)

რაიონების დასახელება	კოლმეურნეობებში				საბჭოთა მეურნეობებში				ს უ ლ			
	ი/ცე იაზინიერად		ი/ცე იაზინიერად		ი/ცე იაზინიერად		ი/ცე იაზინიერად		-ათყინი იყიციეე	ივიას -ნიერადსნიყ	იციციეეეეეეეეეე	ი/ცე იაზინიერად
	იციციეეეეეეეეეეეეეე	ივიას -ნიერადსნიყ	იციციეეეეეეეეეეეეეე	ივიას -ნიერადსნიყ	იციციეეეეეეეეეეეეეე	ივიას -ნიერადსნიყ	იციციეეეეეეეეეეეეეე	ივიას -ნიერადსნიყ				
საზიერის	863	690	2810	40,7	304	272	774	28,5	1167	962	3585	37,3
ქიათურის	228	218	616	28,3	—	—	—	—	228	218	616	38,3
ორჯონიკიძის	841	643	2438	37,9	—	—	—	—	841	643	2438	37,9
ზეესტაფონის	1617	1203	5107	42,5	631	292	1199	39,0	2248	1495	6247	41,8
თერჯოლის	1368	884	3204	36,2	—	—	—	—	1368	884	3204	36,2
მაიაკოვსკის	1054	708	2159	30,5	423	295	547	18,5	2770	1003	2706	27,0
ტყუბულის	95	95	222	23,4	—	—	—	—	95	95	222	23,4
ვინის	840	424	1807	42,6	27	23	75	32,7	867	447	1882	42,1
წყალტუბოს	464	232	723	31,2	99	30	51	17,1	563	262	774	17,1
სამტრედიის	59	54	138	25,6	113	78	438	56,1	172	132	576	43,7
წულუკიის	36	34	51	14,9	—	—	—	—	36	34	51	14,9
ს უ ლ	7465	5185	19276	37,2	1597	990	3024	30,5	9062	6175	22300	36,1

პავა აქ რბილია, სუსხიანი ზამთარი იშვიათია, ამიტომ ური საშუალო ტემპერატურა იმერეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ცენტრში — ზესტაფონის რაიონში 14,3°-ია, ნალექების რაოდენობა 1180 მმ.

ნიადაგების სტრუქტურა და ნაყოფიერება ნაკვეთების მრავალგვარ ექსპოზიციას ქმნის.

პროფ. ვ. ქანთარია და პროფ. მ. რამიშვილმა თავიანთ წიგნში „მევენახეობა“, რომელიც 1965 წელს მეოთხედ გამოვიდა, იმერეთი მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით დაყვეს შემდეგ ძირითად ქვერაიონებად: 1. ძირულა-ორჯონიკიძის, 2. საჩხერის, 3. ტყიბულის, 4. ზესტაფონ-მაიაკოვსკის, 5. ვანის და 6. სამტრედია-წულუკიძის. ეს დაყოფა თითქმის მთლიანად ემთხვევა პროფ. კ. მოდებაძის მიერ მევენახეობის განვითარების კუთხით იმერეთის ტერიტორიის დანაწილებას.

ძირულა-ორჯონიკიძის ქვერაიონს უჭირავს იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც თითქმის ოთხივე მხრივ შემოფარგლულია მთებით. ამ ქვერაიონში შედის ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფელი, გარდა კიცხის ზონისა, აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სოფლები: ძირულა, საღვინე, წიფლავეაკე და შროშა. უნდა ითქვას, რომ მევენახეობა-მეღვინეობა ამ ქვერაიონის სოფლებში სოფლის მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგია.

ძირულა-ორჯონიკიძის რაიონი დასერილია საკმაოდ მაღალი მთებით, რომლებიც ალაგ-ალაგ ქმნიან მცირე სიდიდის პლატოს და ღრმა ხეობებს. მევენახეობის ცენტრი ამ მიკრორაიონში არის მდ. ყვირილასა და თბილის-ზესტაფონის რკინიგზის შუა მდებარე ტერიტორია დაბა ხარაგაულის ჩათვლით. აქ განლაგებულ სოფლებში საღვინეში, წვევაში, წიფლავეაკეში, შროშაში, უბისაში, ბორითში, ლარიხევში, ხარაგაულში, ფარცხნალში, ძირულაში მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარი წყაროა. მისგან მიღებული ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობების საერთო შემოსავლის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ქვერაიონის ნიადაგები საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ღარიბია ორგანული ნივთიერებებით. მდინარე ძირულას აუზში ძირითადად გვხვდება ქვეთიხნარები კალციუმიანი კარბონატის ღიდი შემცველობით, ხოლო მდ. ჩხერიმელას აუზში უფრო დიდი რაოდენობითაა მარილიანი ნიადაგები.



დენობითაა თიხნარი და კირნარი ნიადაგები, ამიტომ უბისაში, შაში, ძირულაში, ხუნევში, სარგვეში, ბაზალეთში და სხვაგან კირნარ, ჩონჩხიან ნიადაგებზე, მართალია, ყურძნის მაღალი მოსავალი არ მოდის, მაგრამ სამაგიეროდ აქ მზადდება მეტად ნაზი, ევროპული ტიპის ღვინოები — საუკეთესო მასალა შამპანურის წარმოებისათვის.

რაც შეეხება ძირულა-ხარაგაულის მიკრორაიონის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფლებს—საწაბლიას, გეზრულს, ჩხიროულას და სხვას, აქ, მართალია, მევენახეობა საკმაოდ განვითარებულია, მაგრამ აქაური ღვინოები შედარებით მდარე ხარისხისაა, ვიდრე ძირულას, ბაზალეთის და ხარაგაულისა.

ძირულა-ხარაგაულის ქვერაიონში ძირითადად გავრცელებულია ციციქა და ცოლიკაური. აქა-იქ გვხვდება კრახუნა და კაპისტონი. ამ ზონაში განსაკუთრებით საუკეთესო ღვინოს იძლევა ციციქა, ანუ შანთი. მის გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, როგორც ცნობილია, ამ ჯიშს ძლიერ აზიანებს ნაცარი, აქ კი, ალბათ ჰავის პირობების გავლენით, ეს ავადმყოფობა ციციქას არ უჩნდება.

ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო ამ რაიონში მინდვრის კულტურები ვაზთან შედარებით ნაკლებად ეფექტურია.

ამ მიკრორაიონში არსებული ვენახების მოვლის გაუმჯობესებით უნდა გაიზარდოს ძირითადად ყურძნის მოსავალი და შამპანური ღვინის წარმოება.

საჩხერის ქვერაიონში შედის საჩხერის რაიონი და ჭიათურის სოფლები. ამ რაიონს უკავია საკმაო სიდიდის ტალღისებური პლატო, რომელიც შეადგენს მდინარე ყვირილას აუზს. რაიონი სამი მხრიდან გარშემორტყმულია მაღალი მთებითა და ბორცვებით.

საჩხერის პლატოს, რომელიც ამ ტერიტორიის ძირითადი მასივია და ზღვის დონიდან 600 მეტრზეა, შუაში ჩაუდის მდინარე ყვირილა. ამ რაიონში მევენახეობა-მეღვინოებას შედარებით დიდი ზვედრითი წონა აქვს საჩხერის, ჩიხის, სავანის, დარკვეთის, სვერის, პერევის, პერევისის, კაციხის, ქვაციხისა და სხვა სოფლებში. მთის კალთებზე საჩხერის რაიონში, სადაც ამჟამად ვენახებია გაშენებული, ძირითადად მუქი წაბლა, საკმაოდ მჭიმე, ორგანული ნივთიერებებით ღარბი ნიადაგებია. მდ. ყვირილას ორივე ნაპირას, განსაკუთრებით ჭიათურის რაიონში, მარგანეცის აუზის ფარგლებ-



ში კაცხურას და მდ. ჩიხურას შუა ცალკე პატარა მასივებზე ბარეობს ქვიშნარი ყომრალი ნიადაგები. მისი ზედა ჰორიზონტი ძალიან ფხვიერია, ქვედა ჰორიზონტები კი უფრო თიხნარია და შეიცავს ქვიშაქვის ნატეხებს. ნიადაგის სისქე 50—60 სმ არ აღემატება, ზოგან ნაკლებიცაა.

რაც შეეხება მდ. ყვირილას, აგრეთვე მდინარეების ჯრუჭულას და ჩიხურას შუა წელზე მდებარე ნიადაგებს, თავისებური წითელი ფერისაა და ძლიერ ხირხიტიანი, სისქე 45—55 სმ არ აღემატება, რის გამო მათი სასოფლო-სამეურნეო ღირებულება მეტად დაბალია.

ამ ქვერაიონში მდებარეობს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფო მეურნეობად ითვლება დასავლეთ საქართველოში. მეურნეობის ვენახები ძირითადად გაშენებულია ალუვიურ თიხნარზე და უფრო მეტად ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე, რომელიც ხასიათდება ხირხატიანობით. ამჟამად მეურნეობის ვენახებს უჭირავს 319 ჰექტარი. მეცხრე ხუთწლედის ბოლოს ვენახების ფართობი გაიზრდება 339 ჰექტარამდე, ყურძნის საერთო წარმოება კი 1100 ტონას მიაღწევს.

მაღალი მდებარეობის გამო, მართალია, აქაური ღვინო ნაკლებსხეულიანია, მაგრამ ადგილობრივი საშამპანე ჯიში — ქვიშხური მეტად თავისებური ინდივიდუალური თვისებებით არის დაჯილდოებული და მნიშვნელოვნად განსხვავდება იმერეთის დანარჩენი რაიონების ღვინოებისაგან.

ვენახის ფართობი მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებში.

მევენახეობა-მეღვინეობას ზემო იმერეთში უფრო მეტად უნდა მიეცეს ხარისხოვანი ევროპული ტიპის სუფრის ღვინის და შამპანური ღვინომასალის მიმართულება. ეს კი თავისთავად მოითხოვს შამპანური ყურძნის ჯიშების ციკქასა და პინოს და სუფრის ღვინის საუკეთესო ჯიშის ცოლიკაურის ყურძნის წარმოების გაზრდას.

მევენახეობის გავრცელების ინტენსივობით და პროდუქციის ხარისხის მიხედვით არა მარტო იმერეთში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით პირველ ადგილზეა შუა იმერეთი, რომელსაც ხშირად ცენტრალურ იმერეთსაც უწოდებენ.

შუა იმერეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ზემო იმერეთი, ჩრდილოეთიდან — რაჭა და რაჭის ქედი, სამხრეთიდან — ახალციხე-



ხე-იმერეთის მთები და დასავლეთიდან—ქვემო იმერეთი. ეს ტერიტორია შედგება ბორცვებისა და მთის უტოებისაგან.

შუა იმერეთში ტერიტორიულად გაერთიანებულია ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის ადმინისტრაციული რაიონები.

ვენახებს უჭირავს 11 373 ჰექტარი, ანუ მთელი იმერეთის ვენახების 51 პროცენტზე მეტი.

მევენახეობის თვალსაზრისით და გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით შუა იმერეთი პროფ. კ. მოდებაძეს გაყოფილი აქვს ორ მხარედ: მდინარე ყვირილას გაღმა—მარცხენა მხარე და გამოღმა—მარჯვენა მხარე.


მდ. ყვირილას მარცხენა მხარე სვირული კრახუნას, ობჩური ცოლიკაურისა და კვალთური ციციქას სამშობლოა³¹ და იყოფა 5 მიკრორაიონად, რომლებიც ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ, მაგრამ მევენახეობის განვითარებით, ვაზის ჯიშების შედგენილობით და; რაც მთავარია, ღვინის ხარისხის მიხედვით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. ოზჩა-ღიმის მიკრორაიონი ძირითადად მოიცავს მაიაკოვსკის რაიონს და ამ რაიონის მევენახეობის ძირითად სოფლებს: ოზჩას, ღიმს, მაიაკოვსკს, ფერსათს, როკითს, ზეინდარს, ზეკარს და აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულს. აქ ძირითადად ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია, რომლებიც ხასიათდებიან ხირხატიანობით და მცირე სისქის არიან. ამ ნიადაგებს ჩვეულებრივ რუხი ან ღია რუხი ფერი აქვთ და მრავლად შეიცავენ კირქვების ნატეხებს.

მათი სისქე 50—60 სმ-ს არ აღემატება, ჰუმუსის შემცველობით კი უახლოვდებიან იმერეთის საშუალო მონაცემებს. საერთოდ ეს ნიადაგები ფრიად ხელსაყრელია მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ მიწებზე ძლიერ იზრდება ვაზი, რომელიც მაღალი მოსავლით ხასიათდება და იძლევა საკმაოდ ენერგიულ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ზედმეტად ძელგ იმერული ტიპის ღვინოებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენს მიკრორაიონის

31 კ. მოდებაძე, მეღვინეობა, 1948, გვ. 192.



სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუთხე, სადაც მდებარეობს ადგილებზე (ფერდობებზე) ცოცხალი, ზედმეტი მკვების მქონე, მზატე ღვინოები დგება. ასეთი სოფლებია: გორა, ზეინდარი, ზეკარი, ამაღლება, უხუთი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს მევენახეობის სხვა რაიონებთან შედარებით მაიაკოვსკის რაიონში უკეთესი ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებია უხვი და ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისათვის, ამიტომ იგი სამართლიანად ითვლება სუფრის ხარისხოვანი ღვინის წარმოების წამყვან რაიონად.

ამას ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელ წლებში მაიაკოვსკის რაიონში, განსაკუთრებით ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ არის, რომ მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობა გადამწყვეტ როლს ასრულებს, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ფულადი შემოსავლის 65 პროცენტზე მეტს იძლევა.


მიუხედავად ამისა, მოსავლიანობა მაინც დაბალია, რაც ძირითადად აგროტექნიკის დაბალი დონით უნდა აიხსნას.

რაიონში არსებობს ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობის ვენახებს 418 ჰექტარი უჭირავს და ძირითადად გაშენებულია ეწერ, ძლიერ ხირხატიან ნიადაგებზე, რომელიც შეიცავს ხრეშს, კენჭებს და რიყის ქვებს. მექანიკური შედგენილობით ეს ნიადაგები მძიმე თიხნარია და ხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი.

ამ მიკრორაიონის და საერთოდ მაიაკოვსკის რაიონის მევენახეობა ძირითადად უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე. 1975 წლისათვის ვენახის ფართობი კოლმეურნეობებში აყვანილი იქნება 1454 ჰექტარამდე, ნაცვლად 1054 ჰექტარისა 1970 წელს, ხოლო ყურძნის მოსავალი გადიდდება 45 ცენტნერამდე, ე. ი. 10 ცენტნერით.

2. სვირის მიკრორაიონი მდებარეობს როდინოულისა და კვალითს შორის. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მეტად პატარა მდინარე—ღელე აჩხეტა, ხოლო დასავლეთით მდინარე ლეხუტა.

ეს მიკრორაიონი სამხრეთით მთიანია და ჩრდილოეთით დაბლობი. სამხრეთის დიდი ნაწილი დასერილია ქედებით და მაღალი გორაკებით, რომელიც თითქმის ყველა მიმართულებით გამოყოფი-




ლია პატარა ხეობებით. ჩრდილოეთით მდ. ყვირილას გასწვრივ ვიწრო ზოლად მიჰყვება ალუვიური და ეწერი ნიადაგები. მიკრორაიონს კმაოდ დიდ ფართობზე გასდევს ზოლი ნეომოპალა-კარბონატული, თიხიანი და მძიმე თიხიანი ნიადაგებისა.

ეს პატარა კუთხე მევენახეობა-მელვინეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს ზესტაფონის რაიონში, როგორც საუკეთესო ვენახების მფლობელი და ასევე საუკეთესო სუფრის ღვინის მწარმოებელი.

უმთავრესად გავრცელებულია თეთრი ჯიშები: ცოლიკაური, ცი-ცქა, ვხვდებით კრახუნასაც. წითელი ჯიშებიდან უმნიშვნელო რაოდენობით არის ოცხანურის საფერე და ძელშავი, ანუ ძველშავი. ახალი ვენახები უმთავრესად უნდა გაშენდეს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. ყვირილას სანაპიროზე.

3. კვალითის მიკრორაიონში შედის სოფლები კვალითი, ცხრაწყარო და კლდეეთი. ეს არის ვრცელი ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ქ. ზესტაფონის ჩრდილო-დასავლეთით. აქ ძირითადად გვხვდება ვაზის კულტურისათვის ფრიად ხელსაყრელი ნეომოპალა-კარბონატული, თიხიანი და მძიმე თიხიანი ნიადაგები, რომლებსაც უჭირავს კვალითისა და ცხრაწყაროს დიდი მასივები. მიკრორაიონში ციციქასა და ცოლიკაურის ვენახების მასივებია, რომელიც იძლევა ევროპული და იმერული ტიპის სუფრის ღვინოებისათვის ხარისხოვან მასალას და სვირის მიკრორაიონისაგან იმით განსხვავდება, რომ აქაური ციციქას ჯიშის ყურძენი შამპანური ღვინის დასამზადებლად გამოიყენება. საქარის საცდელი სადგურის მასალების მიხედვით სოფელ ცხრაწყაროში ოცხანურის ჯიშის ყურძენისაგან მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო მიიღება. ახალი ვენახის გაშენებისათვის ამ სოფლებში შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვება სამექანიზაციო ფართობი.

4. ალავერდი-კიცხის მიკრორაიონში შედის სოფლები ალავერდი, ტაბაკინი ზესტაფონის რაიონიდან და კიცხი, ხონი და მისი მეზობელი სოფლები ორჯონიკიძის რაიონიდან. ეს სოფლები ძირითადად განლაგებული არიან მდინარე აჯამურას და მდინარე ბორიმელას შუა. აქ ნიადაგის ზედაპირი უსწორმასწოროა. ყველაზე მეტად გვხვდება სხვადასხვა სახის ქვიშნარები, მიკრორაიონის დიდი ტერიტორია უჭირავს ნეომოპალა-კარბონატულ, თიხიან და მძიმე თიხიან ნიადაგებს, რომელზეც კარგად ვითარდება ციციქა, ცო-



ლიკაური და მჭკნარა. ამ მიკრორაიონში საუკეთესო ვენახები
 სახელგანთქმულია ალავერდის კოლმეურნეობა, რომელიც ერთ-
 ერთი მოწინავეა საქართველოში.

5. ფუთი-ილემის მიკრორაიონი მოიცავს მევენახეობა-მეღ-
 ვინეობის ისეთ ცნობილ სოფლებს, როგორცაა: ფუთი, ილემი,
 მორაპანი და სხვა. ფუთი და ილემი მდებარეობს მდინარე ძირუ-
 ლას მარცხენა მხარეზე და მდინარე ბორიმელას ორივე მხარეზე.

აქ უმეტესად გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები,
 ხოლო მდინარე ძირულას გასწვრივ და მდინარე ბორიმელას აკრავს
 სუსტად გაეწრებული თიხნარი ნიადაგები. აქაც, როგორც ალა-
 ვერდი-კიცხის რაიონში, თეთრი ჯიშებიდან უმთავრესად გავრცე-
 ლებულია ციცქა და ცოლიკაური. ციცქასაგან მზადდება მაღალ-
 ხარისხოვანი ღვინომასალა შამპანურისათვის.

ამ მიკრორაიონში შედის სოფლები არგვეთა, ზედა და ქვედა
 მული ფუთის კოლმეურნეობა, რომელსაც 10 წელიწადზე მეტია სა-
 თავეში უდგას საკოლმეურნეო საქმის კარგი ორგანიზატორი ცილა
 გელაშვილი.

ამ მიკრორაიონის ყურძნის წარმოების ზრდა უმთავრესად
 ნავარაუდევია არსებული ვენახებიდან საშუალო საექტარო მო-
 მოსავლის ამადლების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფუთი-ილემის მიკრორაიონის მდგ-
 ბარეობა, ნიადაგების შედგენილობა, ვაზის ჯიშები მთლიანად
 ემთხვევა ალავერდი-კიცხის მიკრორაიონს, ამიტომ მისი ცალკე
 გამოყოფა არ უნდა იყოს გამართლებული. იგი სასურველია გაე-
 რთიანდეს ალავერდი-კიცხის მიკრორაიონში.

რაც შეეხება მდინარე ყვირილას მარჯვენა, ანუ გამოღმა მხა-
 რეს, პროფ. კ. მოდებაძეს იგი დაყოფილი აქვს სამ მიკრორაიო-
 ნად: 1. ჩხარი-საზანოს მიკრორაიონი, რომელიც მოთავსებუ-
 ლია მდინარეების ძვერულას, ჩოლაბურისა და ბუჯას შორის და
 აერთიანებს 18 დიდ სოფელს.

2. სიმონეთის მიკრორაიონი — აერთიანებს მდინარე ძვერუ-
 ლასა და მდინარე ჭიშურას შორის მდებარე სოფლებს — ძვერს,
 ეწერს, ზედა და ქვედა სიმონეთს, ბარდუბანს და ნახშირღელეს.

3. საქარის მიკრორაიონი — მდებარეობს მდინარე ყვირილასა
 და მდინარე ჩოლაბურს შუა და აერთიანებს ზედა და ქვედა სა-
 ქარას, არგვეთას და ჭალატყეს.

ჩვენი აზრით, ეს დაყოფა, ისე როგორც მდინარე მარცხენა მხარისა, პროფ. კ. მოდებაძის მიერ სწორად არის გადაწყვეტილი, მაგრამ უკეთესი იქნება ჩხარი-საზნოს მიკრორაიონის ორად გაყოფა (თერჯოლის და ჩხარი-საზნოს მიკრორაიონად), ვინაიდან ტერიტორიულად ეს რაიონი საკმაოდ დიდია და სოფლები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან მევენახეობა-მელვინეობის განვითარების პირობებით.

აქედან გამომდინარე, მდინარე ყვირილას მარჯვენა, ანუ გამოღმა მხარე ოთხ მიკრორაიონად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. საქარის მიკრორაიონი მდებარეობს ქ. ზესტაფონის ჩრდილოეთით, მდინარეების ყვირილასა და ჩოლაბურს შუა და უჭირავს ერთი მთლიანი გრძელი სერი, რომელიც იწყება სოფელ არგვეთიდან, აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან მალღდება და დილიკაურის პლატოს უერთდება.

ამ მიკრორაიონში შედის სოფლები არგვეთა ზედა და ქვედა საქარა და დილიკაური.

არგვეთსა და ქვედა საქარის ნიადაგების დიდი ნაწილი ალუვიურია. ფერდობებზე ნეშომპალა-კარბონატული თიხიანი ნიადაგებია.

ამ მიკრორაიონში მდებარეობს მევენახეობისა და მელვინეობის საქარის საცდელი სადგური. აქვეა არგვეთის მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი და მძლავრი საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 351 ჰექტარი ვენახი აქვს. საბჭოთა მეურნეობამ მერვე ხუთწლეულში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ვენახის ფართობის ზრდასთან ერთად გაიზარდა საჰექტარო მოსავალი და ყურძნის წარმოება.

მეცხრე ხუთწლეულში ვენახების ფართობი არგვეთაში აყვანილი იქნება 446 ჰექტარამდე, ხოლო ყურძნის წარმოება 1520 ტონამდე.

მიკრორაიონში გავრცელებულ ჯიშებში ყველაზე დიდ ფართობზეა ციცქა და ცოლიკაური, მცირე რაოდენობით არის კრახუნა, ოცხანურის საფერე და კახური საფერავი.

ამ მიკრორაიონში შემავალი ორი დიდი სოფელი დოლიკაური და ზედა საქარა მდებარეობს მდინარე ბუჯისა და მდინარე ყვირილას წყალგამყოფ ზეგანზე. გეოლოგიური თვალსაზრისით



აქ უფრო მეტად განვითარებულია მთის ჯიშები. ძირითადად თიხნარ-ნარი, თიხნარ-კირნარი და ქვიშიანი ნიადაგებია. დიდი ნაწილი რავს აგრეთვე ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს.

დანარჩენ ფართობზე სუსტად გაფრებული ყომრალი ნიადაგებია. აქაც ძირითადად ციცქა და ცოლიკაურია გავრცელებული, რომლებიც საკმაოდ მაღალი მოსავლით გამოირჩევიან.

მევენახეობის შემდგომი განვითარება აქ გათვალისწინებულია ფართობის ზრდის და ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლის გადიდებით.

2. თერჯოლის მიკრორაიონი აერთიანებს სიქთარვას, თერჯოლას და ღვანკითს.

მიკრორაიონში ძირითადად ნეშომპალა-კარბონატული თიხიანი, ალაგ-ალაგ მცირე სისქის ხირხატიანი ნიადაგებია. ძირითადი მასივი თერჯოლის რაიონის მდინარე ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და მოიცავს სოფელ ღვანკითს მთლიანად და სოფელ თერჯოლას და სოფელ სიქთარვის დიდ ნაწილს. ამ ნიადაგების ზედაპირი მურა-ჩალისფერია, სტრუქტურა კარგადაა გამოსახული, სისქე მცირეა და ორგანული ნივთიერება ცოტა.

მექანიკური შედგენილობით ეს ნიადაგები უმეტესად თიხები და თიხნარებია. სოფელ თერჯოლაში გვხვდება აგრეთვე ეწერი ნიადაგები. მევენახეობა აქ მძლავრად განვითარებულია და მიღებული პროდუქცია სუფრის თეთრი ევროპული ტიპის ღვინოებისათვის ხელსაყრელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მძიმე თიხნარ და ქვეთიხნარ ნიადაგებზე, მართალია, ყურძნის მოსავალი მაღალია, მაგრამ ღვინო შედარებით უხეში და არაპარმონიულია.

მევენახეობა თერჯოლის მიკრორაიონში კიდევ უფრო განვითარდება და გაიზრდება ახალ ხუთწლედში.

3. ჩხარო-საზანოს მიკრორაიონი მდებარეობს მდინარე ჩხარას და მდინარე ბუჯის შუა აღმართულ ორ წყალგამყოფ ქედზე. მევენახეობის განვითარებით გამოირჩევა შემდეგი სოფლები: ჩხარო, რუფოთი, ალისუბანი, ზედა და ქვედა საზანო, ზოვრეთი და თუზი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიკრორაიონის ტერიტორია მთაგორიანია. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით რელიეფი თანდათან დაბლდება. ძირითადად გვხვდება ჩონჩხიანი, შედარებით



მხატვ თიხა-კირნარები, ხოლო სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნიადაგები მძიმე თიხნარში გადადის.

მდინარე ძუსის ორივე მხარეზე სოფელ ზედა და ქვედა საზანოში უმეტესად გვხვდება მცირე სისქის ხირხატიანი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები კირქვებზე. მისი დიდი მასივებია აგრეთვე რუფოთის, ალისუბნის და საზანოს სერებსა და წყალგამყოფ ქედებზე.

ვენახები ამ რაიონებში მეტწილად ზეგნებზე და ფერდობებზეა გაშენებული. მიკრორაიონის აღმოსავლეთ ნაწილში უმეტესად გვხვდება ციცქა, შემდეგ ცოლიკაური. საზანოში გვხვდება ოცხანურის საფერე. ვენახები დიდი რაოდენობითაა ზედა და ქვედა საზანოში, რუფოთში და თუზში.

ყურძნის მოსავლიანობით გამოირჩევა სოფელი საზანო და სოფელი თუზი. ღვინის ღირსებით ჩხარი-საზანოს მიკრორაიონის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად განსხვავდება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისაგან. პირველი, მეტადრე სოფელი ჩხარი, მდინარე ძუსის ორივე ნაპირი, სადაც ჩონჩხიან-კირნარი ნიადაგები ჭარბობს, ცნობილია მაღალხარისხოვანი, თეთრი ღვინოებით. პირველი ადგილი ღვინის ღირსებით ძუსის მარცხენა ნაპირის ფერდობებს უჭირავს. მდინარის მარჯვნივ პლატოები მეტად მძიმე თიხნარ და ქვეთიხნარ ნიადაგებზე შედარებით უფრო უხემ ღვინოებს იძლევიან.

რაც შეეხება მიკრორაიონის უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სოფლებს, მუჯირეთს და განსაკუთრებით თუზს, აქ ძირითადად გვხვდება გამოტუტული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც მექანიკური შედგენილობით მძიმე თიხნარს და კირნარს წარმოადგენენ, ამიტომ აქაური ღვინოები უფრო ცოცხალი და მსუბუქია, საკმაოდ კარგ მასალად ითვლება შამპანური ღვინის წარმოებისათვის.

ჩხარი-საზანოს მიკრორაიონი მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის დამაკმაყოფილებელია ფართობის გაზრდის თვალსაზრისით.

4. სიმონეთის მიკრორაიონი, რომელიც მდებარეობს მდინარე ძვერულასა და მდინარე ჭიშურას შუა, მოიცავს სოფელ ქვედა და ზედა სიმონეთს, ძვერს, ეწერს, ბარდუხანს და სოფელ ნახშირდღღეს.



მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით გამოირჩევიან სოფელი ძვერი და სიმონეთი.

სიმონეთის მიკრორაიონის ნიადაგები მეტად მრავალფეროვანია. ვენახები უმთავრესად განლაგებულია მძიმე თიხნარებზე და თიხნარებზე. ვენახები სოფელ ბარდუბანში, ეწერში და ნაწილობრივ სიმონეთში გაშენებულია აგრეთვე მსუბუქ დანალექ ნიადაგებზე. საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს ეწერ ნიადაგებს, ხოლო მიკრორაიონის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ ძვერის ტერიტორიაზე კირიანი, საკმაოდ ჩონჩხიანი ნიადაგებია. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ნიადაგი მეტად ღარიბია ორგანული ნივთიერებებით.

ვენახების საკმაოდ ვრცელი ფართობი განლაგებულია უმეტესად მდინარე ძვერულას ნაპირას, აგრეთვე სოფელ სიმონეთის და ეწერის ფერდობებზე, რომელთა დაქანება ისე უმნიშვნელოა სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომ სრულებითაც არ უშლის ხელს მექანიზაციის გამოყენებას.

ვენახის ჯიშების მიხედვით სიმონეთის მიკრორაიონი შესაძლოა გაიყოს ორ ნაწილად: ჩრდილოეთის მხარე და სამხრეთის მხარე. ჩრდილოეთით შედარებით კარგად ხარობს ციციკა, ხოლო სამხრეთით უფრო მეტად მდ. ყვირილას დანალექ მიწებზე — ცოლიკაური, რომლისგანაც მზადდება ევროპული ტიპის, მაგრამ უხალისო, არაპარმონიული ღვინოები.

მევენახეობის შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივებია სოფელ ეწერში და სიმონეთში, ხოლო უფრო ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ სოფელ ძვერსა და ბარდუბანს.

რაც შეეხება ტყიბულის ქვერაიონს, რომელიც შუა იმერეთის ზონაში შედის, მევენახეობა-მეღვინეობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე სუსტად განვითარებული მიკრორაიონია შუა იმერეთის ქვერაიონებს შორის.

ტყიბულის ქვერაიონი მთებით შემოფარგლული ტაფობია, რომელიც მთლიანად დადარულია ამავე მთების განშტოებებით. შეიძლება ითქვას, რომ ვაკე ადგილები აქ თითქმის სრულებით არ არის.

წლიური ნალექების ჯამი უდრის 1590 მილიმეტრს, რაც ვაზის კულტურისათვის ჭარბად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ტერიტორია იმდენად მთიანია, რომ ნალექების ეს რაოდენობა არ იწვევს ნიადაგების ჭარბტენიანობას.

ნიადაგები აქ სხვადასხვაგვარია, მაგრამ ვენახები ძირითადად თიხნარ და თიხიან ნიადაგებზეა გაშენებული, შედარებით დიდი დაქანების მთის კალთებზე გვხვდება აგრეთვე მძიმე თიხნარიც.

მევენახეობის ძირითად სოფლებში კურსებში, ხრესილში, ორპირში და სხვაგან დიდი ფართობი უჭირავს იმერულ ჯიშებს ცოლიკაურს და ციცქას. აქა-იქ ერთეულ ნარგავებად გვხვდება კრახუნა და ოცხანურის საფერე. ამ კუთხეში უფრო მეტად დგება ორდინარული ღვინოები.

მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ეს რაიონი არაპერსპექტიულია, რადგან ვენახებისათვის ვარგისი მიწა თითქმის არ არის. ამიტომ მევენახეობა ტყიბულის რაიონში სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგად უნდა ჩაითვალოს.

ქვემო იმერეთს მევენახეობის გავრცელების ინტენსივობით და ღვინის პროდუქციის ხარისხის მიხედვით, იმერეთში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ქვემო იმერეთში შედის ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს და წულუკიძის ადმინისტრაციული რაიონები.

მართალია, ვაზის კულტურა ყველა ამ რაიონში გვხვდება, მაგრამ მევენახეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ვანისა და წყალტუბოს რაიონის ზოგიერთ სოფელში, რის გამოც ქვემო იმერეთი მევენახეობა-მეღვინეობის მიხედვით შეიძლება გაიყოს ორ ქვერაიონად: 1. ვანის ქვერაიონი და 2. წყალტუბოს ქვერაიონი.

1. ვანის ქვერაიონი მოიცავს ვანის ადმინისტრაციულ რაიონს, რომელიც სამი მხრიდან შემოფარგლულია მთის ქედებით, ხოლო ჩრდილოეთიდან გაშლილია მდ. რიონის დაბლობამდე.

ვანის რაიონი ძირითადად განლაგებულია აჭარა-ახალციხის მთის შტოებზე, რომლებიც არათანასწორი ბორცვებითა და ტერასებით ეშვებიან მდინარე რიონის მიმართულებით.

ვენახებისათვის ვანის რაიონში კარგი კლიმატურ-ნიადაგური პირობებია და ამიტომ ისეთ სოფლებში, როგორიცაა: ვანი, ტობანიერი, საპაიჭაო, ციხესულორი, დიხაშხო, სალხინო და სხვ. მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ჩრდილოეთი ნაწილი მდინარე რიონის დაბლობის კლიმატის გავლენის ზონაშია და ამდენად სუბტროპიკებს უახლოვდება, ხოლო სამ-



ხრეთით აჭარა-ახალციხის მთებისაკენ ზომიერი მთების კალთებზე გადადის.

ვენახები აქ გაშენებულია უმთავრესად მთების კალთებზე — ორგანული ნივთიერებებით ღარიბ მიძიმე თიხნარ და თიხნარ-კირიან ნიადაგებზე.

ვანის რაიონში ძირითადად გაშენებულია ცოლიკაური, რომელიც იძლევა ორდინარულ სუფრის თეთრ ღვინოებს. შედარებით უფრო ხალისიანი სასიამოვნო ღვინოები დგება ზემო ვანში, სალხინოში, რაიონის უკიდურეს სამხრეთ მხარეს ღვინოები შედარებით მჩატეა და დაბალი ღირსებისაა.

მევენახეობის განვითარებას ვანის რაიონის კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უკანასკნელ წლებში, ვენახების დიდი ფართობი გაშენდა დაბლობ ადგილებში, რამაც ხელი შეუწყო მექანიზაციის გამოყენებას, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ვენახების ფართობი და, რაც მთავარია, ყურძნის წარმოება.

რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობის განვითარების უფრო დიდი გეგმებია დასახული მეცხრე ხუთწლედში.

2. წყალტუბოს ქვერაიონში გაერთიანებულია წყალტუბოს, სამტრედიისა და წულუკიძის ადმინისტრაციული რაიონები.

მევენახეობა-მეღვინეობას სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს წყალტუბოს რაიონის სოფლებში: ზარათში, ოფურჩხეთში, გეგუთში, ცუცხვათში, მალლაკში და სხვაგან. აქაური ნიადაგები მრავალფეროვანია და უმეტეს შემთხვევაში ჩაის კულტურისათვის არის გამოსადეგი. ვენახები უმთავრესად გვხვდება მიძიმე თიხნარზე და თიხნარებზე.

რაიონში ძირითადად გაშენებულია ცოლიკაური, რომლისგანაც მზადდება საკმაოდ ენერგიული სუფრის თეთრი ღვინოები.

სამტრედიისა და წულუკიძის ადმინისტრაციული რაიონები მდებარეობს მდინარე რიონის, ცხენისწყლის და გუბის ველზე, სადაც ალაგ-ალაგ მისდევენ ვაზის კულტურას, მაგრამ არაინტენსიურად, რადგან ნიადაგი და ჰავა ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ამ რაიონებში მევენახეობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ძალიან სუსტადაა განვითარებული და მისი ხვედრითი წონა ფულად შემოსავალში უმნიშვნელოა.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა წყალტუბოს

რაიონში — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო ფულად შემოსავალში მევენახეობას ჩაის კულტურის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ ყურძნის მოსავალი აქ დაბალია და იგი ჩაის ფოთლის საშუალო საპექტარო მოსავალს პროცენტულად თითქმის ორჯერ ჩამორჩება.

მეცხრე ხუთწლედში რაიონში ახალი ვენახები 225 ჰექტარამდე გაიზრდება. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და ყურძნის საშუალო მოსავლის ამაღლებისათვის.

მევენახეობის შემდგომი განვითარება პირველ რიგში დამოკიდებულია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონეზე. მიუხედავად ტექნიკური ბაზის ამაღლებისა, სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებში და პირველ რიგში მევენახეობაში ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალია, რის გამო სამუშაოთა დიდი ნაწილი ხელით სრულდება.

მართალია, არსებული ტექნიკა მოითხოვს სერიოზულ კონსტრუქციულ დახვეწას, ზოგჯერ მთლიანად შეცვლასაც კი, მაგრამ მისი გამოყენება მაინც საგრძნობლად მოიკოჭლებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ოპერაციებზე, ვენახების რიგთაშორის ხენა და კულტივაცია იმერეთის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ გამოწვევი ძალით სრულდება.

ბევრგან მექანიზაციის გამოყენებას ხელს უშლის შედარებით ადრე გაშენებული ვენახები, რომელთა ნაწილი ვიწრომწკრივიანია, ხოლო ნაწილში ნიადაგის დიდი დახრილობის გამო ტრაქტორებს მუშაობა უჭირს. ხშირად ვიწროგაბარიტიან ტრაქტორს ტ-54-ვე, რომელიც 1,5 მ მწკრივთაშორისებიანი ვენახებისათვისაა განკუთვნილი, ძალიან უჭირს მუშაობა ვენახების არასწორად გაშენების გამო. ამას ემატება აგრეთვე არაკვალიფიციური ტრაქტორისტების მიერ დაშვებული შეცდომებიც, რაც იწვევს ვაზის ძირების დაზიანებას, ყურძნის დაბალ მოსავალს, თვითღირებულების გადიდებას და ფულადი შემოსავლის შემცირებას.

ვაზის მოვლა-პატრონობა დაკავშირებულია შრომის დიდ დანახარჯებთან. ცნობილია, რომ ერთი ჰექტარი ვენახის ხელით მოვლა-დამუშავებას 4000—5000 კაცსაათი სჭირდება, ხოლო მანქანარიალის გამოყენებით 1500—1600 კაცსაათი. ამიტომ მევენახე-

ობის განვითარების ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანაა მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლება.

მევენახეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის საბჭოთა სპეციალისტების მიერ შექმნილია რამდენიმე მანქანა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. განსაკუთრებით საჭიროა ისეთი მანქანები, რომლებიც დიდი დაქანების ფერდობებზე იმუშავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფთ ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლის ამაღლებას, ყურძნის წარმოების ზრდას და ამის შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ყურძნის მაღალი მოსავლის მიღება, ვაზის ექსპლუატაციის ვადის გადიდება და მაღალი რენტაბელობა შესაძლებელია აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულყოფილი გამოყენებით, ვენახის გაშენების, დამუშავებისა და მოვლის საქმეში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით.

მევენახეობის აგროტექნიკა მიმართულია სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის წინააღმდეგ და უშუალო კავშირშია უკანასკნელ წლებში მექანიზაციის დანერგვასთან. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვენახების მაღლარი ფორმიდან დაბლარ ფორმაზე გადასვლამ, რომელმაც მოითხოვა აგროტექნიკის ახალი ხერხების გამოყენების აუცილებლობა. ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის დანერგვამ გამოიწვია რიგთაშორისებში ტრაქტორის გასავლელი მანძილისა და კვების არის გადიდება და აგრეთვე ვაზის გასხვლისა და ფორმირების ხერხების შეცვლა.

ამჟამად, როგორც წესი, ვენახის გასაშენებლად კეთდება პლანტაჟი 55—60 სმ სიღრმეზე. იმ ნაკვეთებში, სადაც მექანიზაციის გამოყენება შეიძლება, რიგთაშორის მანძილი უნდა იყოს 2 მეტრი, ხოლო რიგებში ვაზებს შორის, ვაზის ჯიშის მიხედვით — 1,25 — 2 მეტრამდე. არასწორი რელიეფისა და დიდი დაქანების ფერდობებზე, სადაც შეუძლებელია ტრაქტორის გამოყენება (ასეთი რელიეფის ნიადაგები იმერეთში დიდი რაოდენობით გვხვდება), ვენახები უმჯობესია გავაშენოთ კვადრატული წესით ან რიგთაშორის და რიგებში მცენარეთა შორის 1,5 მ დაცილებით.

ამჟამად იმერეთის რაიონის კოლმეურნეობებში ვენახების 50 პროცენტზე მეტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში მთელი ფართობი გადაყვანილია მავთულის შპალერზე, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კი-

დეგ არის ნაკლოვანებანი: 3—4 იარუსის ნაცვლად ხშირად
დება 2 იარუსი, ხოლო საყრდენად გამოყენებული ბოძები ერთ-
მანეთისაგან დიდი მანძილით არიან დაცილებული, მწკრივების
თავში უფრო დიდი დიამეტრის მქონე ბოძები არ არის და სსვ.

ბევრგან ვენახის დარგვის წინ ნიადაგს არასაკმაო სიღრმეზე
ამუშავენ. არასრულყოფილად წარმოებს სარგავი მასალის და-
ხარისხებაც, ირღვევა დარგვის წესები. მართალია, აგროტექნიკით
დაშვებულია ვენახის პალოთი გაშენება, მაგრამ იმერეთის პირო-
ბებში აღნიშნული არ არის მიზანშეწონილი. ნიადაგების თვისებ-
რივი შედგენილობის გამო უკეთესია ვაზი დავრგოთ გადამწვარი
ნაკელით განოციერებულ ორმოებში, რაც შეიძლება ნერგის გრძე-
ლი ფესვების დატოვებით.

ყურძნის დაბალი მოსავლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია
ვენახების სიმეჩხრე, რომელიც ბევრგან 20—25 პროცენტს და
უფრო მეტს აღწევს.

სიმეჩხრის გამომწვევი პირველი მიზეზია ახალი ვენახების
გაშენებისას აგროწესების დარღვევა და მოვლითი სამუშაოების
დროულად და სრულყოფილად ჩაუტარებლობა.


ამიტომ ვაზის სიმეჩხრესთან ბრძოლის დროს მთავარი ყუ-
რადღება უნდა მიექცეს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ყურძნის
მოსავლიანობის გადიდების აგროლონისძიებათა კომპლექსში დიდი
როლი ენიჭება ნიადაგის დამუშავების სწორ სისტემას, უმთავრესად
ნიადაგის ფხვიერ მდგომარეობაში ყოფნას.

ვენახების დამუშავების სისტემა უნდა შეიცავდეს შემდეგ
ელემენტებს: ა. საშემოდგომო ხვნა, გადაბარვა, კულტივატორით
გაფხვიერება;

ბ. გაზაფხულზე და ზაფხულში ნიადაგის კულტივატორით
გაფხვიერება, რიგებში თოხნა;

გ. ნიადაგის პერიოდულად ღრმად გაფხვიერება.

დაკვირვებებიდან გამომდინარე, საშემოდგომო ხვნის სიღრმე აქ
დაყვანილი უნდა იქნეს 20 სმ-მდე, ხოლო ძლიერ დაქანებულ ფერ-
დობებზე საშემოდგომო-საზამთრო დამუშავება უფრო მიზან-
შეწონილი იქნება რიგგამოშვებით. გარდა ამისა, ყოველ 3—4 წე-
ლიწადში ერთხელ საჭიროა რიგების 25 სმ სიღრმეზე გადაბარვა
და ყოველწლიურად ღრმად თოხნა.



საგაზაფხულო ხენა უნდა ჩატარდეს 12—15 სმ-ზე. შემთავალი გომის ხენის დროს გუთანი რიგებში ქმნის ნახურგს, რომელიც საგაზაფხულო ხენისას უნდა დაიშალოს და გადმოტანილ იქნეს რიგთაშორის.

ნიადაგში ტენის შენარჩუნებისა და სარეველებთან ბრძოლის მიზნით მთელი ზაფხულის განმავლობაში აუცილებელია რიგთაშორის სისტემატური გაფხვიერება-კულტივაცია და რიგების გამოთოხნა. ნიადაგის შავად ხნულ მდგომარეობაში შენახვის მიზნით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში რიგებში თოხნა უნდა წარმოებდეს საჭიროების მიხედვით, ხოლო სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა — სისტემატურად.

ცნობილია, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება. მინერალური სასუქებიდან საქართველოს თითქმის ყველა რაიონისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აზოტიან, ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს.


საქარის საცდელი სადგურის მიერ დადგენილია ძირითადი საკვები ნივთიერებების ეფექტურობა ეწერ ნიადაგებზე. ამიტომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც დიდი რაოდენობის ვენახები გაშენებულია ეწერ ნიადაგებზე, მინერალური სასუქები უნდა გამოიყენონ როგორც ყურძნის მაღალი მოსავლის კარგი საშუალება.

ეწერ მიწებზე საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე ნაკელის შეტანა.

საქარის საცდელი სადგურის უკანასკნელი წლების ცდებით დამტკიცებულია ორგანულ-მინერალური სასუქების ერთობლივად შეტანისა და ვეგეტაციის პერიოდში აზოტით გამოკვების ეფექტურობა. ეს წესი მოითხოვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახებში მასობრივად დანერგვას ცალკეული ტიპის ნიადაგების ნაყოფიერების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ სასუქების გამოყენება სხვადასხვა პირობებში ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ზუსტად უნდა დავიცვათ ცალკეული რაიონებისათვის შედგენილი სასუქების შეტანის სანიმუშო ნორმები.

ვაზის გასხვლა და ფორმირება ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა მაღალი და ხარისხოვანი მოსავლის მიღების საქმეში, ხელს



უწყობს აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, სიტბოს სინათლისა და ჰაერის რეგულირებას.

ვენახებში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებამ, ორგანული და მინერალური სასუქების სრულყოფილად გამოყენებამ, ვაზის კვების არის გადიდებამ დღის წესრიგში დააყენა ვაზის ფორმირებისა და გასხვლის ძველი წესის შეცვლა, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ვაზის მთელი პოტენციური შესაძლებლობის გამოყენებას, ხელოვნურად სუსტდებოდა ვაზის ზრდა და მცირდებოდა მოსავალი.

დიდ კვების არეზე გაშენებული ნარგაობის მაღალი დატვირთვის ფორმაზე გადაყვანა, როცა საშუალოდ ჰექტარზე არანაკლებ 120 ათასი კვირტია, ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, მაგრამ ვაზის დატვირთვა უნდა მოხდეს არა ხელაღებით, არამედ ვაზის ჯიშის ბიოლოგიური თვისებების, ასაკისა და ბუჩქის მდგომარეობის მიხედვით. მსხმოიარე ვენახებში დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს ვაზის კვების არეს. 3 კვ. მ და უფრო მეტი კვების არის პირობებში გამოყენებული უნდა იქნეს მაღალი დატვირთვის ფორმები. ამ ფორმებმა კარგი შედეგები გამოიღო საქარის საცდელი სადგურის საცდელ და საწარმოო ნაკვეთებზე.

გასხვლა-ფორმირებასთან ერთად ვაზის ზრდისა და მსხმოიარობის რეგულირებისათვის საჭიროა მწვანე ოპერაციების სწორად და გულმოდგინედ ჩატარება, პირველ რიგში ყლორტების შეცლა, რომლის დროს ვაზის ძირს ეცლება მიწიდან წამოსული ყველა ამონაყარი, აგრეთვე შტამბზე გადმოტანილი ყლორტები, რომლებიც საჭირო არ არის შტამბის შესაცვლელად ან გადასაწვენად, შემდეგ საჭიროა ზედმეტი ყლორტების შეცლა და გამოხშირვა.

დადებით შედეგს იძლევა ძლიერ ყვავილმცვენ ჯიშებზე (ცოლიკაური, ოცხანურის საფერე) ყლორტების წვეროების წაწყვეტა, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ვაზის ყვავილობის ნორმალურად ჩატარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენახებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა იმერეთის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ცუდად და არასრულყოფილად სრულდება, რაც იწვევს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუარესებას, სარეველების განვითარებას და მოსავლიანობის შემცირებას.



ცნობილია, რომ შამპანური ღვინის სამშობლოდ საფრანგეთი ითვლება. პირველად იგი შამპანის რაიონში დამზადდა 1670 წელს, ამიტომ სახელწოდება „შამპანური“ სწორედ აქედან არის წარმომდგარი.

ისტორიული წყაროების მიხედვით ცქრიალა ღვინოების წარმოებას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. პროფ. გ. ბერიძე, ეხება რა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიას, აღნიშნავს, რომ ჰომეროსის გადმოცემით ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველები ამზადებდნენ არომატულსა და ცქრიალა ღვინოებს, რისთვისაც იყენებდნენ იმერულ ჯიშს თეთრ კაპისტონს და გურიაში გავრცელებულ ჩხავერს.

აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის შრომაში მოხსენიებულთ ჰყავს ფრანგი მკვლევარის დიუბუას მოგზაურობა საქართველოში, სადაც აღნიშნულია, რომ ჯრუჭის მონასტერში ყოფნის დროს დიუბუას-თვის მიუერთმევიათ თეთრი ცქრიალა ღვინო, რომელიც თავისი თვისებებით შამპანურს უახლოვდება.


ასე რომ, ძველთაგანვე როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ცქრიალა ღვინოები საკმაოდ გავრცელებული და ცნობილი ყოფილა.

შამპანურის წარმოება სრულყოფილი გახდა XVII საუკუნეში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მეღვინეობის საქმის განთქმულმა ოსტატმა, მონასტრის ბერმა დომ-პერინიონმა საფრანგეთის ქ. შამპანში.

თავდაპირველად ეს აღმოჩენა მონასტრის საიდუმლოება ყოფილა, მაგრამ შემდგომ ქ. შამპანში მალე გაჩნდა რამდენიმე ფირმა შამპანური ღვინის წარმოებისა.

ბერი დომ-პერინიონი პირველი დეგუსტატორიც იყო, რომელმაც გაიგო კუბაყების როლი ხარისხოვანი შამპანური ღვინის მიღების საქმეში და შექმნა მსოფლიოში ცნობილი შამპანური ღვინო. მართალია, შამპანური ღვინის წარმოება თანდათან ყალიბდებოდა, მაგრამ მისი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ 1850 წლიდან დაიწყო.

XIX საუკუნის 20-იან წლებში გერმანიაშიც იწყება შამპანური მრეწველობის განვითარება მცირე მასშტაბით. ამის შემდეგ შამპა-



ნურის წარმოებას შეუდგნენ იტალიაში, ესპანეთში და ავსტრიაში.

რაც შეეხება რუსეთს, აქ შამპანური 1799 წელს პირველად დაუმზადებიათ ყირიმში. შამპანურის დამზადებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო 1890-იანი წლებიდან, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ამ საქმის დიდი პატრიოტი, ცნობილი მეღვინე ლ. გალიცინი, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსულ შამპანურს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ფრანგულ შამპანურს და შეცვალოს იგი. მასვე ეკუთვნის შამპანური ჯიშის ვაზის გაშენების პირველი ცდა. მან თავის მამულში პირველად გააშენა ცნობილი ჯიშები პინო-ფრანი და პინო-გრი. ცდები აწარმოვა სხვა ჯიშებზეც და ამ ექსპერიმენტებით მიიღო კუბაყებისათვის საუკეთესო მასალა პინოს, ალიგატეს, შარდონეს და სხვა ჯიშებისაგან. მაგრამ ცარიზმის პირობებში რუსეთში შამპანური ღვინის წარმოებამ ფართო განვითარება ვერ პოვა.

საქართველოში შამპანური ღვინის წარმოების პირველი ცდა გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩატარებია გერმანიიდან ჩამოსახლებულ ვინმე გ. ლენცს, რომელსაც კახეთში — სოფელ რუისპირში ადგილობრივი ყურძნის ჯიშებიდან (რქაწითელი, მწვანე და ანანური) 1842 წელს დაუმზადებია შამპანური ღვინო. როგორც პროფ. დ. ტაბიძე აღნიშნავს, ლენცის შემდეგ სოფ. საბუეში შამპანური ღვინო დაუმზადებია ზ. ჯორჯაძეს, ხოლო სოფ. შრომაში ვ. ჯანდიერს.

1876 წელს ქ. ქუთაისში ფრანგ მეღვინე შოტეს აუშენებია პატარა სარდაფი და იმერული ჯიშის ყურძნიდან (ციცქა, ცოლიკაური, ძველშავი) დაუწყია შამპანური ღვინის დაყენება.

1884 წელს შოტეს მიერ აგებული სარდაფი პრინც ოლდენბურგსკის შეუსყიდა, რომელსაც საქმის გასაძლიერად მოუწვევია ფრანგი სპეციალისტი ტიებო. შამპანურისათვის ყურძენს ძირითადად იძენდნენ სოფ. კიკნაველეთში, ზეგანში და ზემო დიშში. ამავე წლებში ტიებომ იმერეთში, ქუთაისის მახლობლად თავის მამულში გააშენა ვაზის სხვადასხვა ჯიშის და წლების მანძილზე აწარმოებდა ცდებს მალახარისხოვანი შამპანური ჯიშის ყურძნის გამოსაყვანად და ღვინის მისაღებად. 1900 წელს გამოფენაზე საფრანგეთში ტიებოს მიერ წარდგენილმა შამპანურმა ღვინის ნიმუშმა უმაღლესი ჯილდო მიიღო. გოლიცინის აზრით, ცქრიალა ღვინოები



კარგი თვისებებით ხასიათდებოდა და ხარისხით ყირიმის ლეგიონებზე უკეთესი იყო.

1880 წლიდან შამშანურის ქარხანა ცნობილია აგრეთვე ქუთაისის მახლობლად სოფ. ვარციხეში ანანოვის მამულში, სადაც იმერული ჯიშებიდან—ციცქადან და ძველშავიდან—მზადდებოდა მაღალხარისხოვანი შამშანური ღვინო.

ვარციხის ქარხანა მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა შამშანური ღვინის წარმოების დიდი მოთავე, ვანთქმული ვაჭარი და კომერსანტი მიხრან ანანოვი, რომელმაც მსოფლიო ომის დაწყებამდე შამშანური ღვინის წარმოება წლიურად 55 ათას ბოთლამდე გაზარდა. მ. ანანოვი თავის პროდუქციას ძირითადად პეტერბურგში და მოსკოვში აგზავნიდა. ვარციხის შამშანური ღვინის წარმოების აღვილზე შემოწმების შემდეგ შამშანისტმა ტიებომ ასეთი აზრი გამოთქვა: „რუსეთში არსად არ შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი კარგი ღვინოები, როგორც იმერეთში“, ხოლო პროფ. ზოვრენკომ, რომელიც მოსკოვიდან იმერეთში ჩამოვიდა, აღნიშნა იმერეთში მეღვინეობის ბრწყინვალე მომავალი. მისი თქმით, მას არსად არ დაუღევია უფრო ჰარმონიული და სასიამოვნო ღვინოები³².

მაგრამ საბჭოთა კავშირში შამშანური ღვინის დამზადებას და შესაბამისი ჯიშის ვენახების გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ხოლო საქართველოში — მენშევიკების ბატონობის დამხობის შემდეგ. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

გაითვალისწინა რა შამშანური ღვინის წარმოების ფართო შესაძლებლობა და მისი განვითარების დიდი პერსპექტივები, პარტიამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება პირველ რიგში შამშანური ჯიშის ვენახების ფართობის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ.

ამ საქმის წარმატებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ზემდგომი ორგანოების დადგენილებამ საქართველოს სს რესპუბ-

³² ვ. კინწურაშვილი და დ. კვიციანი, „დასავლეთ საქართველოს საწარმოო და პერსპექტიული ვაზის ჯიშები შამშანურის წარმოებისათვის“.



ნილებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ.

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა უახლოეს წლებში შამპანური ჯიშების გაშენებას 2600 ჰექტარ ფართობზე. წახალისების მიზნით კოლმეურნეობას თითოეულ ჰექტარზე მიეცემოდა 3500 მან. კრედიტი, თუ ნიადაგის პლანტაჟს ტრაქტორი შეასრულებდა და 4000 მან. ხელით მომზადების დროს. მეორე წელს გათვალისწინებულ იქნა 600 მან., ხოლო მესამე წელს 300 მან.

ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო აგრეთვე შამპანური ჯიშის ყურძენზე დამზადების ფასების მნიშვნელოვნად გადიდება. მაგალითად, პინოს ფასი თითქმის ორჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივ სუფრის ჯიშს, რამაც მეტად დიდი როლი შეასრულა შამპანური ღვინის წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში.

შამპანური ღვინის წარმოების წამყვან რაიონად საქართველოში ითვლებოდა და ითვლება იმერეთი და ქართლი. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის მასალას იძლევა ზემო იმერეთის, აგრეთვე ზესტაფონის და თერჯოლის რაიონების აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული სოფლები.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე 1936 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა შამპანური ღვინის წარმოების კომბინატი, რომლის განკარგულებაში გადავიდა ვაჭევის საბჭოთა მეურნეობა ზესტაფონში და მთელი ყურძნის დამზადება თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში.

შამპანკომბინატის დაარსებისთანავე დაიწყო მძლავრი შამპანური ქარხნის მშენებლობა თბილისში და მთელი რიგი პირველადი მეღვინეობის ქარხნებისა—იმერეთში. ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხნები აიგო ზესტაფონში, ვაჭევში, სახანოში, ძირულაში, ბორითში, ხარაგაულში, ხუნევში და საჩხერეში.

1938 წლიდან შამპანკომბინატი იწყებს არა მარტო პროდუქციის გამოშვებას, არამედ ღვინომასალის დამუშავებას და დაქველებას.

მაგრამ მთავარი მაინც იყო ადგილობრივი და უცხოური ვაზის ჯიშების შესწავლა შამპანურისათვის ნედლეული ბაზის შექმნისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების მიზნით, ვინაიდან ასეთი ღვინის დამზადების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ღვინომასალები წარმოადგენდა.



სწორედ ამ საქმით დაიწყო იმერეთის ცენტრში საქართველოს ნახეობა-მეღვინეობის საცდელმა სადგურმა მუშაობა და მიზნად დაისახა შეესწავლა შამპანური წარმოების კუთხით ვაზის რამდენიმე ჯიში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში.

საქარის საცდელი სადგური 1937 წლიდან შეუდგა ამ მუშაობას. 1938 წელს დამზადდა საცდელი ღვინომასალები პინო შავის, ქვიშხურის, ციცქას, ობჩური ძველშავის, კუნძის და თეთრი კაპისტონის ყურძნიდან, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ვ. დემეტრაძე ხელმძღვანელობდა. 1939 წლიდან საქარის სადგურმა ამ მიმართულებით ფართოდ გაშალა მუშაობა.

საცდელად აღებული იყო ადგილობრივი ჯიშები (ციცქა, ძველშავი, თეთრი კაპისტონი, ბაზალეთური, კუნძა, ქვიშხური და სხვ.), რომლებსაც შამპანური ღვინის დასამზადებლად იყენებდნენ ჯერ კიდევ 70 წლის წინათ.

ადგილობრივი ჯიშების გვერდით საცდელად დამზადებული იყო ღვინომასალები ცნობილი ფრანგული შამპანური ჯიშებიდან, როგორცაა პინო შავი, შარდონე და ალიგოტე.

ამ ჯიშების შესწავლას საფუძვლად დაედო ეკონომიური პირობების გავლენა პროდუქციის ხარისხზე, ცდები წარმოებდა სხვადასხვა სოფელში.

ცდებით დამტკიცდა, რომ ვაზის ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა განსაკუთრებული კლიმატური პირობები. პროფ. გ. ნეგრულის მონაცემებით, რაც მეტია ტემპერატურა 10 — 35°-ის ფარგლებში, ყურძნის მარცვალში მით მეტი შაქარი გროვდება, ხოლო მუავიანობა იკლებს. ამ შემთხვევაში გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ჩრდილოეთი მხარე და სიმაღლე ზღვის დონიდან. მაგალითად, ზომიერპავიან განედებში ყოველ 100 მეტრ სიმაღლეზე ტემპერატურა 0,5°-ით კლებულობს, ამიტომ ყურძენი დაბლობზე უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე მაღლობზე. როგორც პროფ. ს. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, განსაკუთრებით მაღალხარისხოვან ღვინოებს იძლევა მხოლოდ ის რაიონები, სადაც თაკარა სიცხე და ჰაერის ზედმეტი სიმშრალე არ იცის. ასეთად მას მიაჩნდა იმერეთის რაიონები, სადაც ვენახები გვხვდება ზღვის დონიდან 900 მეტრ სიმაღლეზეც კი, მაგრამ უკეთეს ღვინოებს იძლევა ვენახები 150 — 500 მეტრ სიმაღლეზე.



პროფ. ნეგრულის მიხედვით შამპანური ყურძნის ჯიშების კულტივაცია ივლისში საშუალო ტემპერატურა უნდა იყოს 18,3—22,7°, ხოლო ხალქების რაოდენობა წელიწადში 500-დან 1160 მმ-მდე.

აქ წარმოდგენილი კლიმატური პირობები მთლიანად როდი ემთხვევა საქართველოს და, კერძოდ, იმერეთის კლიმატს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტემპერატურას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დადებითი გავლენა ღვინის ხარისხზე, როცა ვაზი რეპროდუქციის პერიოდში უზრუნველყოფილია ტენის საკმაო ოდენობით. გადაჭარბებული ტენიანობა ღვინის ხარისხს აუარესებს. იმერეთის რაიონებში კი ტენის ბალანსი მეტად მცირეა ამ დროს და სწორედ ეს არის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი მაღალი ღირსების ევროპული და იმერული ტიპის სუფრისა და შამპანური ღვინოების მიღებისათვის. იმის თქმა, რომ იმერეთის ნიადაგურ-კლიმატური პირობები მთლიანად ემთხვევა საფრანგეთის შამპანური ღვინის წარმოების წამყვანი რაიონების კლიმატს, არ შეიძლება, რადგან ზომიერ-ჰავიან ზონაში საუკეთესო ვენახები განლაგებულია 150 — 200 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან შამპანში და 150 — 300 მეტრ სიმაღლეზე რაინში. იმერეთში კი ამ მხრივ შედარებით სხვა პირობებია. მით უმეტეს შამპანურისათვის ადგილობრივი და უცხოური ვაზის ჯიშები გაშენებულია საკმაოდ დიდ ფართობზე, სადაც ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, რელიეფისა და კლიმატური პირობების მხრივ დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი. ამიტომ შამპანური წარმოების თვალსაზრისით მოკლედ განვიხილავთ იმერეთის ზოგიერთ რაიონს.

1. ზესტაფონის რაიონში შამპანური ღვინის წარმოებისათვის შედარებით კარგ მასალას იძლევა კლდეეთის, ალავერდის, ფუთის, ილემის, ძირულის, შროშის, წიფლაგაკის, ბოსლევის, დილიკაურის და საზანოს ციკქას ჯიშის ვენახები. ეს სოფლები ზღვის დონიდან 150—400 მ მდებარეობენ. ზაფხული გვალვიანი იცის და ვაზის სარეპროდუქციო პერიოდში საგრძნობლად მცირდება ჰაერის ტენიანობა, რაც დადებით გავლენას ახდენს ყურძნის მოსავალზე, ღვინომასალის ხარისხზე და მის შინაარსზე.

ამ ზონაში ძირითადად ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კირს და საუკეთესოა განსაკუთრებით შამპანური ჯიშებისათვის.

წლიური ნალექების ჯამი 1160 მმ უდრის და თვეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: იანვარში — 110 მმ, თებერვალში — 120, მარტში — 88, აპრილში — 88, მაისში — 71, ივნისში — 88, ივლისში — 66, აგვისტოში — 62, სექტემბერში — 82, ოქტომბერში — 105, ნოემბერში — 132 და დეკემბერში — 131 მმ.

როგორც ჩანს, ზაფხულის თვეებში შედარებით ნაკლები ნალექები მოდის, მაგრამ მისი საერთო ჯამი საკმარისი იქნებოდა ვაზისათვის ზაფხულის ცხელი ქარები რომ არ იცოდეს, რომლებიც იწვევენ მიწების გამოშრობას. ამის თავიდან აცილება კი შეიძლება ნიადაგის დროული და შესაფერისი დამუშავებით.


ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა დღე-ღამეში 13,9°-ს უდრის, რაც სრულიად საკმარისია სამივე პერიოდის ყურძნის ჯიშების დასამწიფებლად.

არც ატმოსფერული ნალექები მოდის ზომიერად, რის გამო რაიონი გვალვიანია, მაგრამ გვალვა სწორედ რეპროდუქციის პერიოდშია, როცა ვაზი ძალიან ცოტა წყალს საჭიროებს.

მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, ზესტაფონის რაიონში შამპანური ჯიშის ვენახები მხოლოდ 1659 ჰექტარზეა გაშენებული, აქედან ციკვა 1556 და პინო 103. ცხადია, შესაძლებლობა გაცილებით მეტია, რაც გათვალისწინებულია მეცხრე ხუთწლიან გეგმაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1971 — 1975 წწ. შამპანური ჯიშის 385 ჰექტარზე გაშენდება.

2. თერჯოლის რაიონში უმეტესად ნეომომპალა-კარბონატული ნიადაგებია, რომლებიც მექანიკური შედგენილობით მძიმე თიხნარებს უახლოვდებიან, რაც ხელს უწყობს შამპანური ჯიშების განვითარებას. რაიონის სოფლები ზღვის დონიდან 140 — 550 მეტრზეა. ზაფხული, ისე როგორც ზესტაფონში, გვალვიანია. ზოგჯერ გვალვა იწყება ადრე გაზაფხულზე და ზაფხულამდე გრძელდება. მართალია, ის გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენს ვაზის კულტურაზე, მაგრამ საგრძნობლად აზიანებს ერთწლიანი კულტურის ნათესებს.

რაიონში ყველაზე ცივი თვე იანვარია, ხოლო ყველაზე თბილი აგვისტო. დღე-ღამის საშუალო ტემპერატურა 10° ზევით მარტის ბოლოს იწყება და ნოემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება, ე. ი. 235 დღეს. წლიურ ნალექთა საშუალო რაოდენობა აქ თითქმის ყოველთვის მაღალია (1170 მმ) და ჰაერის ტენიანობაც საშუალოდ ზომიერი.



ამ პირობებმა განსაზღვრა ზონაში შამპანური ჯიშის ვენახები ფართობის ზრდა. 2500 ჰექტარამდე. აქედან 2425 ჰექტარი უჭირავს. გვემის მიხედვით 1975 წ. თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 550 ჰექტარი ვენახი, აქედან შამპანური ჯიშები—250 ჰექტარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თერჯოლის რაიონის სოფლები: თუზი, საზანო, ალისუბანი, თავასა და ჩხარის აღმოსავლეთი მხარე 1938 წლიდან შამპანური წარმოების ზონაში შედიოდნენ. შამპანური ყურძნის ფასი მაშინ საკმაოდ მაღალი იყო სხვა ჯიშებთან შედარებით, ამიტომ კოლმეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე დიდი რაოდენობით გაშენდა ციცქა და მნიშვნელოვნად გადიდდა შამპანური წარმოებისათვის ღვინომასალის დამზადება, მაგრამ ახლა შამპანურისათვის შესაფერისი ღვინომასალის შერჩევა ამ წესით აღარ წარმოებს.

ცხადია იმის მტკიცება, რომ ეს დაყოფა ყოველგვარი წინასწარი შემოწმების გარეშე მოხდა, არავის არ შეუძლია, მაგრამ ამ საქმეში ერთგვარი უსწორობაც რომ იყო დაშვებული, ეს კი შეინიშნებოდა.

მართალია, შამპანური ღვინომასალების ანალიზის მონაცემები სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში სხვადასხვაა. მაგალითად, შედარებით კარგ მასალას იძლევიან ზემო იმერეთის ნეშომპალა-კარბონატული ნიდაგებიდან მიღებული ნიმუშები და ციცქას შამპანურად გადამუშავება შუა იმერეთის ყველა პუნქტში არ იძლევა ისეთ შედეგს, როგორც ზემო იმერეთში, მაგრამ ლიტერატურული წყაროებიდან და დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე ციცქას ის ნიმუშებია შეფასებული მაღალხარისხოვნად, რომლისგანაც შამპანური მასალა არ მზადდებოდა და არც ახლა მზადდება. მაგალითად, 1948 წლის აგვისტოს ამიერკავკასიის მაგარაჩის ინსტიტუტის ფილიალში შამპანური წარმოების საკითხებზე მოწვეულ სპეციალურ საკავშირო თათბირზე ციცქასაგან მიღებული ღვინომასალა შეფასებულ იქნა 7,1 ნიშნით; ხოლო ციცქა სოფ. თერჯოლიდან 7,6 მიშნით. ამავე თათბირის ოქმში ჩაწერილია, რომ ჩატარებული ცდების მიხედვით ცალკეული მიკრორაიონებიდან ციცქა სავსებით დამაკმაყოფილებელ მასალას იძლევა შამპანური ღვინის წარმოებისათვის. საქარის საცდელი სადგურის შამპანური ღვინოების შემოწმებით დადგინდა, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ სი-

ქათარვიდან აღებული ნიმუში „ჩალისფერია, სუფთა ნაზარდული ტისა და ხალისიანი, ცქრიალა, ხარისხოვანი შამპანური ღვინო“, ხოლო თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოდან აღებული ნიმუშის დასკვნაში წერია: სასინჯი მასალა არის „მოყვითალო ცქრიალა და კარგი შამპანური ღვინო“³³.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლა და სიქართავა არ შედიოდა შამპანურის ზონაში, ხოლო სოფელი საზანო ადრე იყო ამ ზონაში. ახლა კი აღარც მას ეძლევა შამპანური ყურძნის დამზადების გეგმა.

ასეთი მასალის მოტანა კიდევ შეიძლებოდა ზესტაფონის რაიონის მაგალითებიდან, მაგრამ აღნიშნული ცხადყოფს, რომ თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებში არის რამდენიმე სოფელი, რომელთა ნიადაგური და კლიმატური პირობები ხელშემწყობ პირობებს ქმნის ხარისხოვანი შამპანურის წარმოებისათვის ღვინომასალის დასამზადებლად და თუ კიდევ დადგება საკითხი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებში სოფლების გამოყოფის შესახებ შამპანური ყურძნის დამზადების შესახებ, მაშინ საჭირო იქნება ერთხელ კიდევ გულდასმით შემოწმდეს ყველა ის სოფელი, სადაც დიდი რაოდენობითაა ციცქას ვენახები და დადგინდეს რამდენად ვარგისია იქაური ციცქას ყურძენი შამპანური ღვინის დასამზადებლად.

3. ორჯონიკიძის რაიონი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 300—700 მეტრზეა, ნიადაგურ-კლიმატური პირობების შედეგად იძლევა მეტად ხალისიან, ნაზ და ფაქიზ ღვინოებს მაღალხარისხოვანი ტიპის სუფრისა და შამპანური ღვინოებისათვის.

ამ მიკრორაიონის მაღალხარისხოვანი მეღვინეობის ხელშემწყობი პირობებია: ჰაერის ზომიერი ტენიანობა, ტემპერატურული რეჟიმი და მისი თანაბარი განაწილება ვაზის სავეგეტაციო პერიოდში. აგრეთვე ნალექების მცირე რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიკრორაიონი საკმაოდ მაღალია, პერიოდი 10⁰ ტემპერატურით მაინც საგრძნობლად ხანგრძლივია. აქ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3082°-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მევენახეობის საწარმოო სპეციალიზაცია, სახელდობრ შამპა-

³³ ვ. კინწურაშვილი დ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოს საწარმოო და პერსპექტიული ვაზის ჯიშები შამპანური წარმოებისათვის, 1953.



ნური მასალისა, ამ მიკრორაიონისათვის ტემპერატურული პირობებით სავსებით უზრუნველყოფილია.

მართალია, ზოგიერთ წლებში სოფელ მოლითში, ლელვანში, მარელისში, დეისში და სხვაგან, სავეგეტაციო პერიოდში შედარებით დაბალი ტემპერატურული რეჟიმის გამო, შაქარი ყურძენში უფრო ნაკლები რაოდენობით გროვდება, ვიდრე ეს საჭიროა, მაგრამ მაინც სრულიად დამაკმაყოფილებელია ხარისხოვანი შამპანური ღვინის დასამზადებლად.

შამპანური ჯიშებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორჯონიკიძის რაიონში ციკქა, ბაზალეთური, თეთრი კაპისტონი, ქვიშხური, პინო, რომლის ფართობსაც ამჟამად 722 ჰექტარი უჭირავს. მართალია, ორჯონიკიძის რაიონის გეოგრაფიული პირობები მიწის ძლიერი სიმციროს გამო არ იძლევა საშუალებას ვენახების ფართობის შემდგომი გადიდებისათვის, მაგრამ ვენახების გაშენების ის რაოდენობა (200 ჰექტარი), რომელიც გათვალისწინებულია 1971—1975 წლებში, სასურველია მთლიანად დაიკავოს დასახელებულმა შამპანურმა ჯიშებმა.

4. საჩხერის რაიონის ტერიტორია, რომელიც მევენახეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ნიადაგური პირობებით ხასიათდება, ძირითადად მოიცავს ტალღისებურ პლატოს, რომელიც მდ. ყვირილას ორივე მხარეზეა განლაგებული. რაიონი ზღვის დონიდან 500—670 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ვენახებისათვის ხელსაყრელი ტემპერატურული რეჟიმი მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეზეა. აქ მდებარეობს სოფლები ჩისა, ორდული, სხვიტორი, საჩხერე, სარეკი და სხვ., სადაც ნიადაგურ-კლიმატური პირობები სავსებით უზრუნველყოფს ხარისხოვანი სუფრის, განსაკუთრებით შამპანური ღვინოების მიღებას.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამის მიხედვით საჩხერის პლატო ზემოთ დასახელებული სოფლებით ზომიერად თბილ თერმულ ზონად ითვლება, ან ამ ზონათა მიჯნაზეა. ჰიდროთერმული კოეფიციენტის საშუალო სიდიდე, რაც მრავალწლოვანი გაანგარიშებით და დაკვირვებით არის მიღებული, ვაზის სარეპროდუქციო პერიოდში ხელს უწყობს ადგილობრივად გავრცელებული ვაზის ჯიშების ღვინომასალისაგან კარგი ღირსების შამპანური ღვინოების დაყენებას.



ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან რაიონში გავრცელებულია ქვიშხური, მაჩანოური, საფერავი, ციცქა და სხვ. აქედან შამპანური ღვინისათვის საუკეთესო მასალას იძლევა ციცქა და ქვიშხური. მიუხედავად ამისა, ვენახების საერთო ფართობიდან, რომელიც 1970 წლის აღწერით 2446 ჰექტარს შეადგენს, ამ ჯიშებს დაახლოებით 400 ჰექტარი უჭირავს.

აღბათ ამანაც განაპირობა, რომ ხუთწლედში საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გეგმით გათვალისწინებულ 190 ჰექტარზე თითქმის მთლიანად შამპანური ჯიშები უნდა გაშენდეს.

5. ჭიათურის უმეტეს სოფლებში მევენახეობა-მელღვინეობას სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ნაკლები ხვედრითი წონა აქვს. მაღალი მდებარეობის გამო ვენახები მცირე ფართობზეა გაშენებული, ხოლო ღვინო ნაკლები სხეულის მქონე დგება.

შამპანური ჯიშებიდან ყურადღებას იმსახურებს ციცქა, განსაკუთრებით ქვიშხური, რომლის ფართობი რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მცირეა.

ვენახები ძირითადად განლაგებულია ზოდში, წირქვალში, სვერში, კაცხში, ვაჭევეში, ქვაცხეში და ბილაში. აქ ძირითადად მთის კალთების საკმაოდ მძიმე ორგანული ნივთიერებებით ღარიბი ნიადაგებია. კაცხი-ქვაცხის ზონა კი კირნარი ნიადაგებითაა დაფარული, რომელიც ნაკელით განოყიერების შემთხვევაში მაღალ მოსავალს იძლევა და, რაც მთავარია, ღვინომასალაც შესანიშნავია მაღალხარისხოვანი შამპანურის დასამზადებლად.

იმერეთის რაიონებს შორის ჭიათურის სოფლებში მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობაა მიწის უქონლობის გამო. რომ არაფერი ვთქვათ მექანიზაციის გამოყენებაზე, აქ იშვიათად მოიძებნება თუნდაც 3—5 ჰექტარი მიწა ერთად აღებული ვენახების გასაშენებლად. ხუთწლიანი გეგმით ჭიათურის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მთლიანად შამპანური ჯიშის ვენახები გაშენდება 40 ჰექტარზე.

თუ ანალიზს გავუკეთებთ იმერეთის პირობებში შამპანური ღვინის მისაღებად ადგილობრივი ვაზის ჯიშების შერჩევის შესწავლისა და გამოვლინებისათვის ჩატარებულ მუშაობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქარის მევენახეობა-მელღვინეობის საცდელმა სადგურმა.



ამის შედეგად იმერეთის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით დადგინდა, რომ ადგილობრივი ჯიშებიდან — ციცქა, თეთრი კაპისტონი, ქვიშხური და ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული სხვა ჯიშები წარმოადგენენ ვაზის საუკეთესო ჯიშებს მაღალი ხარისხის შამპანური ღვინოებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, საცდელი ჯიშების დიდი უმრავლესობა შესწავლილი იყო ზემო და შუა იმერეთში, ამ ზონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში აგროკლიმატისა და ნიადაგურ პირობებში აღნიშნული ჯიშების შესწავლით გამოვლინდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიშები და მათთვის შესაფერი მიკრორაიონები, რომელთა შორის მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ ციცქას, ქვიშხურს და თეთრ კაპისტონს.

ციცქა თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებში უნიკალურ ჯიშად ითვლება, რომლის გავრცელების არე მხოლოდ შუა და ზემო იმერეთია, ამდენად ეს ჯიში წმინდა იმერული ვაზის ჯიშია.

ვარაუდობენ, რომ სახელწოდება ამ ჯიშმა მიიღო სოფელ ციციურიდან, რომელიც ხარაგაულის რაიონში, მდინარე ძირულას ხეობაში მდებარეობს.

იმერეთში ციცქას 9000 ჰექტარზე მეტი უჭირავს. აქედან 90 პროცენტზე მეტი შუა და ზემო იმერეთზე მოდის. ეს ჯიში სოკოვან დაავადებათა მიმართ ნაკლებად გამძლეა, სამაგიეროდ კარგად უძლებს ფილოქსერას. დადგენილია, რომ ზემო იმერეთის კარგი სტრუქტურის ნიადაგებში შეუძლია ფილოქსერას გაუძლოს 20 — 25 წელზე მეტხანს.

ვაზი საშუალო ზრდისაა, მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ნიადაგის პირობებისა და ვაზის დატვირთვის მიხედვით მოსავალი ჰექტარზე 90—130 ცენტნერია, იგი საგვიანო ჯიშია და სიმწიფის დროის მიხედვით მესამე პერიოდს მიეკუთვნება. დიდ მოსავლიანობასთან ერთად ტკბილის დიდი გამოსავლიანობითაც ხასიათდება.

იმერეთში შამპანურისათვის შესაფერ კონდიციას—17—19 პროცენტ შაქრიანობას—15—30 სექტემბერს აღწევს. სუფრის ღვინოსათვის ყურძნის კრეფა შეიძლება გავრძელდეს ნოემბრის პირველ რიცხვებამდეც კი.

საქარის საცდელი სადგურის დაკვირვებებით მტევანი იწონის 42 გრამიდან 316 გრამამდე.



შემოწმდა ყურძნის დამწიფების დინამიკა და გამოირკვეა, რომ ციცქა შაქარს ინტენსიურად აგროვებს სექტემბერში. ეს ჯიში ყველაზე მეტ შაქარს აგროვებს ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში. აქ ზოგიერთ წელიწადს შაქრიანობამ 26 პროცენტსაც კი მიაღწია. სულ სხვა სურათია ორჯონიკიძის, საჩხერის, ჭიათურის რაიონებში და აგრეთვე ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ზედა ზონის სოფლებში, სადაც ციცქას შაქრიანობა მაქსიმალურია 22 პროცენტი, ხოლო, რაც მთავარია, მკვავიანობა 12 პროცენტამდე აღწევს.

ციცქა ზემო იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის ფერდობებზე, ნეშომპალა-კარბონატულ და სუსტ ეწერიან ნიადაგებზე განსაკუთრებულ მაღალხარისხოვან ღვინომასალას იძლევა შამპანური წარმოებისათვის.


ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების მაღალ სოფლებში მძიმე თიხნარ და სუსტ ეწერ ნიადაგებზე ღვინო დგება უფრო მძიმე, ენერგიული და შამპანურისათვის არადაამაკმაყოფილებელი სინაზისა, ამიტომ ასეთი ღვინოები გამოიყენება როგორც სუფრის ევროპული, ისე იმერული ტიპის ღვინოებად.

ამრიგად, ციცქადან მიღებული შამპანური ღვინოები სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: ნაზია, ხალისიანი და ცქრილა. სიძველეში მეტად ნაზ ბუკეტს ივითარებს და არაფრით არ ჩამოუვარდება ფრანგულ ჯიშებს.

ქვიშხურს, რომელიც წმინდა ქართული ჯიშია, მხოლოდ იმერეთში ეძახიან. რაჭაში მას „რაჭულ მწვანეს“ უწოდებენ, ხოლო ქართლში „გორულ მწვანეს“.

ამ ჯიშის სამშობლოა გორი, სადაც ფერის მიხედვით ხალხმა მას „მწვანე“ შეარქვა. აქედან მთელ ქართლში გავრცელდა, შემდეგ ხაშურის რაიონში — ქვიშხეთში, აქედან კი იმერეთში — ხარაგაულისა და ჭიათურის რაიონებში და რადგან იმერეთში პირველად ქვიშხეთიდან მოხვდა, მას იმერლებმა „ქვიშხური“ უწოდეს.

ქვიშხური მეტად ღონიერი ზრდის ვაზია და ბუჩქიც საკმაოდ ძლიერი აქვს. მოსავლიანია განსაკუთრებით ჭიათურისა და საჩხერის საკმაოდ მაღალ სოფლებში. კლიმატური პირობების მიხედვით საშუალოდ ჰექტარზე 80—100 ცენტნერ ყურძენს იძლევა, ამიტომ საწარმოო ჯიშად არის მიჩნეული და ვაზის საერთო ნარგავებში



12 პროცენტი უჭირავს. ქვიშხური ადრე მწიფდება, შამპანური ღვინოებისათვის კონდიციას 15—20 სექტემბერს აღწევს და ამდენად სხვა ჯიშებთან შედარებით მეტად ხელსაყრელია.

საქარის საცდელი სადგურის მონაცემებით მტევნის წონა მერყეობს 71 გრამიდან 497 გრამამდე. შაქრიანობა ყურძენში ზოგჯერ 25 პროცენტამდეა, მჟავიანობა კი 5,5 პროცენტიდან 6 პროცენტამდე, მაგრამ სიმწიფის სხვადასხვა სტადიაში ტკბილის შემადგენლობა ისეთია, როგორსაც ხარისხოვანი შამპანური საჭიროებს. მისგან მალალი ხარისხის შამპანური ღვინომასალა მზადდება.

მართალია, ქვიშხურისაგან მიღებული შამპანური ღვინომასალა წმინდა ჯიშური ხარისხით ჩამორჩება ციკქასა და თეთრ კაპისტონს, მაგრამ, როგორც საკუპაჟე მასალა, სავსებით დამაკმაყოფილებელია.

განსაკუთრებით ხარისხოვან პროდუქტს იძლევა ეს ჯიში ნეშომპალა-კარბონატულ და სუსტ ეწერ ნიადაგებზე. კარგად ხარობს აგრეთვე შუა იმერეთშიც, მაგრამ აქაური მასალა შამპანური წარმოებისათვის იშვიათად გამოიყენება. თანაც შუა იმერეთის სოფლებში ძლიერ ზიანდება ჭრაქით, განსაკუთრებით კი ნაცრით და ამიტომ ხშირად დაბალ და უხარისხო მოსავალს იძლევა.

ამრიგად, ეს ჯიში როგორც მოსავლიანობით, ისე პროდუქციის ხარისხით ზემო იმერეთის პირობებისათვის მეტად კარგი სამრეწველო ჯიშია და ახალი ვენახების გაშენებისათვის ნამყენის გამოყენა საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტმა უნდა ითავოს.

თეთრი კაპისტონი საქართველოში მეტად მცირე რაოდენობით შემორჩა. შედარებით მეტია იმერეთში. გვხვდება აგრეთვე რაჭაში, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ასკვნიან, მათი ნარგავები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ბიოლოგიური, ისე მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით.

ცნობილი აგრონომის ვ. სტაროსელსკის აღწერით კაპისტონი ადგილობრივი ჯიშია, იგი უმნიშვნელო რაოდენობით არის ორჯონიკიძის რაიონის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში, ერთეული ნარგავების სახით გვხვდება აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სოფლებში—საქარაში და ფუთში.

საქარის საცდელი სადგურის მონაცემებით თეთრი კაპისტონი თიხიან და ცარციან ნიადაგებზე საქართველოს ვაზის ჯიშებიდან ყვე-



ლაზე უკეთეს და მაღალი ღირსების შამპანურ ღვინომასალას
 ლევა.

ეს ჯიში, ისე როგორც ქვიშური, საადრეოა და მწიფდება მეორე პერიოდში, ამიტომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფლებში, სადაც ციკქა და ცოლიკაური ზოგჯერ ვერ ასწრებს დამწიფებას. ბუნებრივი პირობების მიხედვით საქრიანობა 26 პროცენტამდეა, რაც მის მნიშვნელოვან ღირსებად უნდა ჩაითვალოს, მჟავიანობა კი 6,5—12 პროცენტამდეა.

აი რას წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ჯიშის შესახებ: „ისეთი შეკრული მტევანი იცის, რომ გადაადგო, მარცვლი არ გამოვარდება“³⁴.

თეთრი კაპისტონისაგან დამზადებული შამპანური ღვინო სასიამოვნო ნაზი ბუკეტითა და გემოთი ხასიათდება.


„შამპანური ღვინოების დიდი მცოდნე პროფ. ფროლოვ-ბაგრაევი საქართველოს ვაზის ჯიშებიდან განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს თეთრ კაპისტონს“³⁵. ამიტომ შამპანური წარმოებისათვის უცხოურ ჯიშებთან — პინოსთან და ალიგოტესთან — ერთად ამ ჯიშის ვენახების გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებში.

ამრიგად, იმერეთის პირობებში აუცილებელია ევროპულ ჯიშებთან ერთად სერიოზული ყურადღება მიექცეს ადგილობრივი ჯიშის ვენახების ფართობის ზრდას, რადგან იმერეთის აგროკლიმატურ-ნიადაგური პირობები სავსებით უზრუნველყოფს მაღალმოსავლიანი ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან მაღალხარისხოვანი შამპანურის მიღებას.

როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მევენახეობა, ამიტომ ქართველი ხალხის ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს და მისგან მიღებული შემოსავალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

34 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 444.

35 ე. კინწურაშვილი, დ. კვიციანი, დასავლეთ საქართველოს საწარმოო და პერსპექტიული ვაზის ჯიშები შამპანური წარმოებისათვის, გვ. 127.



ღვინის წარმოების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად ამარტივდა მისი ხარისხი. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 8—9 წლის განმავლობაში ქართულმა ღვინოებმა მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესზე, დეგუსტაციებზე და გამოფენებზე მიიღეს 146 მედალი, აქედან 64 ოქროს, 76 ვერცხლის და 6 ბრინჯაოსი.

მარტო 1965 წლის კონგრესზე, რომელიც ქ. თბილისში ჩატარდა მსოფლიოს 26 ქვეყნის მონაწილეობით, ჩვენმა რესპუბლიკამ წარადგინა 65 ღვინის ნიმუში. საამაყოა, რომ ყველა ეს ნიმუში ჟიურის მიერ დაჯილდოებულ იქნა, მათ შორის ოქროს მედლით 34 ღვინო, ვერცხლის მედლით 29 და ბრინჯაოს მედლით 2.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა იალტის მეორე საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1971 წლის ბოლოს ჩატარდა. მასში მონაწილეობდა საზღვარგარეთის 22 ქვეყანა და საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ კონგრესზე უკრაინამ 156 ნიმუში წარადგინა და 55 ოქროს მედალი მიიღო. საქართველომ 41 ნიმუში წარადგინა და 29 ოქროს მედალი მიიღო, რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და მოლდავეთმა 26—26, სომხეთმა 20.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სუფრის ღვინოები მეტ ყურადღებას მოითხოვს და მისი ხარისხის ამაღლება ქართველი მევენახეების და ღვინის მრეწველობის მუშაკების საბრძოლო ამოცანაა.

ამასთან დაკავშირებით გვსურს ერთ მეტად საჭირობოროტო საკითხზე შევჩერდეთ.

ქართველმა კაცმა რომ კარგად იცოდა ვენახის მოვლა, ყურძნის მოყვანა და ღვინის დაყენება, ამიტომ იყო, რომ უხსოვარი დროიდან ქართულ ღვინოს კარგად იცნობდნენ და დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ძველ რომში, კონსტანტინეპოლში, კაიროში, ალექსანდრიაში და სხვაგან.

მრავალ ცნობილ ისტორიულ პირს უმოგზაურია საქართველოში, დასწრებია ქართულ ღვინოსა და ქორწილს, შეუსვამს აქაური ღვინო და მოხიბლულა არა მარტო ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ ქართული ღვინითაც.



ამჟამად ჩვენში ყურძნის ღვინის დაყენების, დაძველებისა და შენახვის წესები დადგენილია მთავრობის მიერ. ამ წესების მიხედვით ნია საბჭოთა კავშირში ყურძნის ღვინის მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის მომარაგება საღი, ღიეტური და კარგი სასმელი ღვინით. აქვე დადგენილია ღვინოების კატეგორიები სიმაგრისა და შაქრიანობის მიხედვით, გათვალისწინებულია ღვინის გაყიდვის წესი, აკრძალულია დაავადებული და მანკიერი ღვინის გაყიდვა და სხვ.

როგორც ცნობილია, საქართველოში ყურძნის სახელმწიფო დამზადების ერთ მესამედზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთიდანაა მიღებული. მართალია, მოსახლეობა საკარმიდამო ვენახებიდან მიღებული ყურძნის დიდ ნაწილს სახელმწიფოს აბარებს, მაგრამ გარკვეულ ნაწილს ღვინოდ აყენებს.

მართალია, რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებზე გატანილი ღვინის რაოდენობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ქართველი გლეხი საკუთარი ვენახიდან მიღებულ მოსავალს მთლიანად სახელმწიფოს აბარებდეს და იგი ღვინის დაყენებაზე უარს ამბობდეს.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ერთგვარად გახშირდა საქართველოში ღვინის ფალსიფიკაციის შემთხვევები. ბევრ რაიონში უღირსმა ადამიანებმა ხელი მოჰკიდეს ხელოვნური ღვინის დამზადების საქმეს და ჩირქს სცხებენ ქართული ღვინოების ღირსებას.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ღვინის „მკეთებელთა“ დიდი პროცენტი „საქმოსნები“ არიან, რომლებსაც გამდიდრების წყაროდ ასეთი ხელობა აურჩევიათ. და თუ ამათში სოფლის გლეხობაც გამოეჩევა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი უდიდესი ნაწილი ამ შემთხვევაში ასეთ ღვინოს საკუთარი მოხმარებისათვის აკეთებს, რომელსაც იმერეთში „სახარჯო ღვინოს“, ანუ „ნაქახს“ ეძახიან. ასეთი ღვინო ჩვენში ხომ ოდითვე კეთდებოდა.


აი რას ამბობს ასეთი ღვინის კეთებაზე ილია ჭავჭავაძე: „ღვინის გაბევრებისათვის დღეს-აქამომდე ევროპაში ცნობილია ერთადერთი ღონე, ერთად-ერთი სისტემა, რომელსაც პეტოტიზაციას ეძახიან. ეს სისტემა, ანუ ღონე, მოიგონა და პირველად იხმარა ბურგუნდიაში 1854 წელს ერთმა ფრანგმა სახელად პეტომ. ეს საკვირ-

ველი აღმოჩენილი, რომლის გამო ბატონმა პეტომ სახელი გაიტეკა. მით უფრო საკვირველია, რომ ათაღამ-ბაბაღამდე თურმე აღმოჩენილი ნილი ყოფილა და არის. მერე სადა, ვისგან? თურმე ნუ იტყვით. საქართველოში და ქართველთაგან. მაგრამ ყური არავის უთხოვებია. პეტომ კი აღმოჩენილის აღმოჩენითა მსოფლიოში სახელი მოიპოვა. ჩვენ ამით — იმის თქმა არ გვინდა, რომ პეტომ ჩვენი რამ მითვისა და თავისი სახელით გამოამქდაგნა. ჩვენ გვწამს, რომ იგი თავისთავად მიხვდა, მან თავისთავად მიაგნო იმას, რაც ჩვენში დიდი ხანია მიგნებული იყო და არის დღესაც, და იქნება ჩვენი მიგნებული რამდენისამე საუკუნის ხნისაც იყოს და ევროპამ კი მარტო 1854 წელს მიაგნო.

რაზედ არის დაფუძნებული პეტოს აღმოჩენა? იმაზედ, რომ ჭაჭაში იმოდენა ღვინის ნაწვევები რჩება კიდევ, რომ შესაძლოა ღვინოსათვის წვენი კიდევ გამოიწუროს წურვით კი არა, წყლის დასხმით, და თუ წყალს შაქრითაც შევსაზავებთ და ცალიერი წყლის მაგიერ შაქარ-წყალს დავასხამთ, უფრო კარგი იქნება. რასაკვირველია, ყველა ეს ზომითა და საწყაოთი უნდა. წყლის დასხმა ჭაჭაზე ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, ზომაც ვიცით რამდენიც უნდა, ისიც ვიცით, რომ წყალდასხმული ჭაჭა დუღილსაც დაიწყებს, თუმცა ძალიან სუსტად. ბაღსაც ვერ იპოვით ჩვენში, რომ ამ გზით ღვინის გაბეგრება არ იცოდეს და ამასთან ღვინის სახელი არ გითხრას, ამას ჩვენში „შამანს“ ეძახიან და მდაბიო ხალხი, მუშა სვამს.

პეტო მარტო ცარიელ წყალს არ სჯერდებოდა. იგი შაქარსაც უმატებს და იმდენად ატკბილებს წყალსა, რამოდენათაც ტკბილია მართალი წვენი ყურძნისა. ამ გზით ერთსა და იმავე ჭაჭისაგან სამჯერ, ოთხჯერ გამოხდის ხოლმე იმ წვენს, რომელსაც საფრანგეთში „პიკეტს“ ეძახიან და ჩვენში კი „შამანსა“. პეტომ ხელახლა აღმოჩენა რომ არ დაგვასწოროს, უკვე ჩვენში აღმოჩენილის. აქ საჭიროა ვთქვათ, რომ იგი მარტო შავი ყურძნის ჭაჭისაგან ხდის თავის „პიკეტს“, სჯობია ჩვენ დავასწოროთ და გამოვაცხადოთ, რომ ჩვენში თეთრი ყურძნის ჭაჭისაგანაც „შამანს“ აკეთებენ და ამას იქით თუ აღმოჩენა უნდა ჩვენს მეცნიერებს, ესეც აღმოაჩინონ³⁶.

ისიც ხომ ცნობილია, რომ გასული საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში ზესტაფონში მცხოვრებმა ცნობილმა აგრო-



ნომმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ გუნცაძემ, რომელსაც დაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ფილოქსერისაგან ქართული ვაზის გადარჩენის საქმეში, სოფელ კვალითში დამზადებული ღვინოების ნიმუშით არაერთხელ დაიმსახურა საყოველთაო მოწონება საფრანგეთში ჩატარებულ დეგუსტაციაზე.

სოფელ ფუთის მცხოვრებმა ცნობილმა მეღვინემ გიგო თუთბერიძემ 1910 წელს თავისი დამზადებული ღვინო საკუთარი ხარჯებით წარადგინა იტალიაში ღვინოების საერთაშორისო დეგუსტაციაზე, რომელმაც სპეციალისტების მიერ მაღალი შეფასება მიიღო, სპეციალური სიგელი და გამოფენის მთავარი კომიტეტის მედალი დაიმსახურა. საუკეთესო მევენახედ და მეღვინედ ითვლებოდა თერჯოლაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გრიგოლ მხეიძე, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის წინ ქ. ბაქოში გამართულ გამოფენაზე წარუდგენია სუფრის ყურძენი და ევროპული წესით დაყენებული სუფრის ღვინის ნიმუშები, რისთვისაც სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დიდი ვერცხლის მედალი მიუღია.

მაღალხარისხოვანი ღვინოების მიღების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ყურძენს, მის ჯიშობრივ თვისებებს და აგრეთვე დაზიანებული ყურძნის მინიმუმამდე დაყვანას.

ყურძნის ხარისხზე სხვა ფაქტორებთან ერთად სერიოზულ გავლენას ახდენს მოსავლიანობა, ვაზის დატვირთვა. იმერეთში ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავალი კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში 50 ცენტნერს არ აღემატება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მევენახეობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგროტექნიკა, გაიზარდა სარწყავი ფართობი, უკეთ მოეწყო მინერალური და ორგანული სასუქების მომარაგება, ამდლდა მექანიზაციის დონე, ეს მოსავალი, ცხადია, დაბალია. ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავალი უახლოეს წლებში უნდა გაიზარდოს 65—70 ცენტნერამდე. ამის შესაძლებლობა არის.

მაღალი მოსავლის მიღებით გაიზრდება მისი წარმოება, ფულადი შემოსავალი და, რაც მთავარია, ეს ღვინის ხარისხზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვენახის ძირების ცალკეულ შემთხვევაში მაქსიმალური დატვირთვა და ამ გზით ჰექტარზე საშუალოდ 150—200 ცენტნერი ყურძნის მიღება არ მოგვეცემა მაღალი ხარი-


სხის ღვინოს. ხშირად ამ საკითხზე საუბრის დროს მიუთითებენ კოლმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთებზე, საიდანაც მაღალმახარობის ვალს ღებულობენ, ზოგჯერ ჰექტარზე გადაანგარიშებით 200—300 ცენტნერსაც კი.

მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ შემთხვევაში საკარმიდამო მამულში ჰექტარზე გაანგარიშებით საშუალოდ არის 8000-დან 10 000 მდე ძირი ვაზი, ხოლო ზოგჯერ 12 000 ძირიც კი. მაშინ, როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე მაქსიმალურად უნდა ვიანგარიშოთ 3300 ძირი ვაზი. მართალია, აქ დატვირთვა მეტი უნდა იყოს, რადგან კვების არე ბევრად მეტია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაზის ძირი მაინც ერთია და მის დატვირთვას კანონზომიერება უდევს საფუძვლად. ამ შემთხვევაში 100 ცენტნერი ყურძნის მისაღებად თითო ძირი ვაზიდან ერთი კილოგრამი ყურძნის მიღება სავსებით საკმარისია, მაშინ, როცა საზოგადოებრივ მეურნეობაში საშუალოდ ერთი ჰექტარიდან 100 ცენტნერი ყურძნის მისაღებად ერთმა ძირმა ვენახმა სულ მცირე 3,5 კილოგრამი ყურძენი უნდა მოგვცეს, ხოლო თუ ჰექტარზე 150 ცენტნერს მივიღებთ, თითო ძირის დატვირთვამ უნდა შეადგინოს სულ მცირე 5 კილოგრამი მაინც.

ამიტომ ვენახების ცალკეულ ნაკვეთებში ასეთი მაღალი მოსავლის დროს ხშირად ყურძენი უხარისხოა, შექარს ვერ აგროვებს და მწვანედ გამოიყურება, მისგან დაყენებული ღვინო, ცხადია, არ იქნება მაღალხარისხოვანი.

მევენახეთა პირველი რიგის ამოცანაა არა ცალკეული ნაკვეთებიდან ან ცალკეული კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მაღალი მოსავლის მიღება, როცა ვაზის ძირების ზედმეტი დატვირთვის გამო ყურძენი მეტად დაბალი ხარისხისაა, არამედ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა მიიღოს მაღალი მოსავალი, სულ მცირე 60—70 ცენტნერი ჰექტარზე. ამით ყურძნის საერთო მოსავალი 25—30 პროცენტით გაიზრდება 1970 1971 წლებში მიღებულ მოსავალთან შედარებით.

ბევრი ქვეყანა და მისი ხალხი, განსაკუთრებით ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, პორტუგალიელები, უნგრელები, ბულგარელები, რომელთა ეროვნული შემოსავლის ძირითადი წყარო ღვინოა, მას სამკურნალო თვისებებსაც მიაწერენ. მაგალითად, საფრანგეთში,



რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ წიგნზე, რომელიც მევენახეობასა და მეღვინეობას შეეხება. ასეთი პლაკატებიც კი ყოფილა გამოკრულნი: „ვინც ღვინოს სვამს, იგი თავის სახლში ვერასოდეს ვერ ნახავს ექიმს“, „ღვინო ღვთაებრივი სასმელია“ და სხვ., ხოლო იტალიაში იქაური ღვინოების სამკურნალო თვისებებზე წიგნიც კი გამოუციათ, სადაც აღწერილი ყოფილა, თუ რომელი მარკის ღვინოს რომელი ავადმყოფობის განკურნება შეუძლია.

მართალია, ასეთი რეკლამა მიმართულია მომხმარებლის მიზიდვისათვის, მაგრამ ისიც სწორია, რომ ნატურალურ ღვინოს ძველი საბერძნეთის დიდი მოაზროვნე და მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ავადმყოფის სამკურნალოდ იყენებდა.


ღვინის ზომიერად სმა, ჰიპოკრატეს აზრით, აჩერებს ქოლერისტიტის განვითარებას სისხლში, ათეროსკლეროზს და ღვიძლის კენჭოვან დაავადებას.

„ზღვაში ღელვის დროს,—წერს ილია ჭავჭავაძე,—ორი გემი მომწყვდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა. ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს და უფრო გაძლიერებულ, ვგონებთ, ელქანს ეძახიან, და მკურნალობაში „სკორბუტი“ ჰქვიათ. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო რა, ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ... საფრანგეთის ერთი მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, სადაც ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილ-გონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, სადაც სასმელად ლუღსა ჰხმარობენ“³⁷.

ჩვენში ბევრი გამოცდილი ექიმი ავადმყოფს სისხლნაკლებობის შემთხვევაში ურჩევს სვას წითელი ღვინო, განსაკუთრებით ოცხანურის საფერე და ქინძმარაული.

„რა ზღის ღვინოს ესოდენ მარგებლად, ესოდენ სასარგებლოდ?— სვამს კითხვას ილია ჭავჭავაძე და თვითონ პასუხობს,—მარტო ერთი ყოვლად შემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვია, მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესეოდენი სიკეთე, ესეოდენი მაღლი...“

³⁷ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 62.



ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) ჯანის შესახებ კეთილმოქმედება დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებებზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არის. გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვია, რაც მარტო ყურძნის წვეწვინსაგან კეთდება და სხვა არა-რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს რაო³⁸.

ილია ჭავჭავაძე ამასთან მკაცრად აკრიტიკებს ევროპაში ეგრეთ წოდებულ „ღვინის მკეთებლებს“ და მათ ადამიანთა ჯანმრთელობის მტრებად მოიხსენიებს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილმა სენატის კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა, თუ როგორ მოქმედებდა ადამიანის ჯანმრთელობაზე „გაკეთებული ღვინო“, შემდეგი დასკვნა გააკეთა: „რომ ევროპის ღვინოები, რომელშიაც კი ურევენ გადაწმენდილ არაყს (სპირტსა), იმდენად მაწყინარია, იმ სნეულებასვე უჩენს კაცს, რასაც ცუდი, დაბალი გაუწმენდავი არაყი, იმიტომ, რომ არაყი აფუჭებს ღვინოში იმას, რაც კი ძლიერ სასარგებლო არის აგებულებისათვის. მთელი საფრანგეთის, იტალიის, ესპანიის და ვენგრიის ღვინოები სულ გაფუჭებულია ღვინის მკეთებელთაგან და იმიტომ მაწყინარიაო. ეს არის მიზეზი, რომ ის კაციც, რომელიც ცუდს, გაუწმენდავს არაყსა სვამს, და ისიც, რომელიც ამ ევროპის ღვინოებსაც ხმარობს სასმელად, ერთსა და იმავე სენით სნეულდებაინაო“.

„არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება“³⁹, — დაასკვნის დიდი ილია და ამით ჩვენს დღევანდელობას, ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას ეხმიანება.

ქართული ღვინის ავკარგიანობაზე მეტად საინტერესო ფაქტი აქვს მოყვანილი მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიის მკვლევარს ვ. სიჭინავას. „ქართული ღვინოების შეფასებაზე ერთ საყურადღებო ცნობას იძლევა ელიოტ რუზველტი, მისი მამის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის — ფრანკლინ რუზველტის 1945 წელს იალტაში ყოფნის პერიოდიდან. ელიოტის სიტყვით: „ერთხელ სტალინთან სადილობისას მამაჩემმა დიპლომატიურად, მაგრამ სრული გულწრფელობით ხოტბა შეასხა საბჭოთა შამპანურს. მასპინძელ-

38 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 189.

39 იქვე, გვ. 98.



მა სიამაყით უბასუხა, რომ ეს შამპანური კეთდება მის სამშობლოში, საქართველოში. სტალინს გაეცინა, როდესაც მამაჩემმა თქვა, რომ ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ის უკვე არ იქნება პრეზიდენტი, მას სურდა გამდიდრებულიყო ამერიკაში ამ შამპანურის გაყიდვაზე კომისიონერის როლში გამოსვლით“⁴⁰.

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა როგორც დიდი მასპინძლის, ისე მისი საპატიო სტუმრის მაღალი შეხედულება ქართულ ღვინოებზე. ამავე დროს პრეზიდენტის სიტყვებიდან ჩანს, რომ ის მოხიბლულია ქართული ღვინით. მისი აზრით, ასეთი ღვინო ამერიკაში მოიპოვებდა ფართო ბაზარს და, ამრიგად, იგი გახდებოდა „კომისიონერის“ გამდიდრების წყარო. საპატიო სტუმარი დაუსაჩუქრებიათ ქართული შამპანურით, რაც მას სიამოვნებით თან წაუღია და მისი შვილიც აღნიშნავს ამ ეპიზოდს“⁴¹.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ერთ საკითხს. ზემოთ ითქვა, რომ როცა ილია ჭავჭავაძემ დასვა კითხვა, თუ რა არის ღვინო, იქვე უბასუხა, რომ „ღვინო იგივე ბუნების ნამოქმედარი წვენია ყურძნისა... როცა კაცი ამბობს: ეს ღვინო ბუნებრივია, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყურძნის წვენის მეტი სხვა არა არის რა“⁴².

სუფრის ღვინოს, როგორც ჯანსაღსა და სასარგებლო სასმელს, ხალხი ყოველთვის დიდად აფასებდა. ამიტომ არის, რომ მეღვინეობის რაიონებში უწინაც და ახლაც შემავრებულ ღვინოებს იშვიათად ყიდულობდნენ და სადაც სუფრის ღვინო აქვთ, შემავრებული ღვინოების დაღვეას ერიდებიან.

სუფრის ღვინოების „ტექნიკური პირობებიდან ჩანს, — წერს კ. ჩარკვიანი,—რომ სუფრის ღვინის ყველა კომპონენტი ყურძნის ტკბილის ბუნებრივი დუდილის პროდუქტია. დანარჩენი კატეგორიის ღვინოებს კი გამოუჟკლებლივ ყველას ემატება სპირტი, ყურძნის კონცენტრირებული ტკბილი, ხოლო ზოგიერთ მათგანს შაქარიც. ამასთან დამატებული სპირტი სავალდებულო არ არის ყურძნის პროდუქტი იყოს.

40. ტ. ს. ი. შ. ნ. ა. ვ. ა. მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 126.

41 ი ქ ვ ე.

42 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თზ., ტ. 4, გვ. 98,

ხედმეტია იმის მტკიცება, რომ ორგანიზმისათვის ყველაზე უკეთესი ნებელი, ხოლო ზომიერი მოხმარებისას — ყველაზე სასარგებლო არის სუფრის ღვინო⁴³.

სუფრის ღვინოების დიდი უპირატესობის შესახებ აღნიშნავდა აგრეთვე დიდი ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი, რომელიც თურმე წინადადებას იძლეოდა, რომ მხოლოდ წმინდა ყურძნის წვენისაგან დამზადებულ მასალას უნდა ერქვას ღვინო, სხვა დანარჩენს კი ნახევრად ღვინო.

„სამწუხაროდ, საბჭოთა ენოლოგების მეცნიერულ ნაშრომებში და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებში, თითქმის უკვე აღარ ტარდება თვისებრივი განსხვავება ბუნებრივი სუფრის ღვინოებსა და სპირტით, კონცენტრირებული ყურძნის წვენით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შაქრით შეზავებულ, შემაგრებულ ღვინოებს შორის. ჩვენი მეცნიერი მეღვინეების ამ ხაზმა, ალბათ, დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ საბჭოთა ქვეყნის ბევრ რაიონში ღვინის მრეწველობა მრავალი ტიპის და სახელწოდების შემაგრებულ ღვინოებს უშვებს. ამასთან იგი ანგარიშს არ უწევს ბუნებრივ პირობებს, ვაზის ჯიშებს და ყურძნის ხარისხს.

ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ. ა. გერასიმოვი წიგნში „ღვინის წარმოების ტექნოლოგია“, მაგრამ იგი ვერც კი ამჩნევს თავისი კოლეგების ბრალს ამ საქმეში“⁴⁴.

ამხ. კ. ჩარკვიანის ამ დროულსა და საქმიან შენიშვნას ჩაფიქრება და საქმიანი გადაწყვეტა უნდა.

„ღვინო ყურძნის ნაწურია“, — აღნიშნულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. გაუგებარია, მამ რატომ უწოდებენ ხილისა და სხვა წვენისაგან გაკეთებულ სასმელს ღვინოს ან რატომ არსებობს ხილის წვენისა და ხილკენკროვანი ღვინის დამამზადებელი ორგანიზაციები. ხომ არ აჯობებდა „ხილეულის მეღვინეობისათვის“ „ხილეული ალკოპილიანი სასმელი“ გვეწოდებინა. ცხადია, ეს არა მარტო აუცილებელი, არამედ სასარგებლო ნაბიჯიც იქნებოდა.

სუფრის ღვინოს რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველა სასმელთა შორის, ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ამ სას-

43 კ. ჩარკვიანი. მევენახეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 166.

44 კ. ჩარკვიანი, მითითებული ნაშრომი, გვ. 167.



მელს შერჩევა და ზომიერად სმა უნდა, თორემ მას დიდი და გამოყენებული ზიანის მოტანაც შეუძლია.

ამბობენ, ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად თვით ღვინის გამოყენება შეიძლებაო. სუფრის მშრალი ღვინოები გზადაგზა მთლიანად განდევნიან მაგარ სასმელებს, ხოლო თვით სუფრის ღვინო შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ასუსტებს ალკოჰოლის მავნე გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

ამას ადასტურებს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ალკოჰოლიზმს გაცილებით ნაკლები გავრცელება აქვს მეღვინეობის ქვეყნებში.

ღვინის გამოყენება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ნამდვილად შესაძლებელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მეღვინეობის რაიონებში საჭირო არ იყოს ლოთობასთან ბრძოლა. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ღვინის არაზომიერი მოხმარებაც მავნებელია ჯანმრთელობისათვის და იწვევს ანტისაზოგადოებრივ ქცევას. ზოგიერთი ჩვეულება, რომელიც დაკავშირებულია ღვინის სმასთან, ნამდვილად ჩრდილს აყენებს ჩვენი ხალხის მაღალ კულტურას. ეს პირველ რიგში თამადის მიერ, პირდაპირ მომაბეზრებელი ღვინის დაძალებზე უნდა ითქვას, როცა ანგარიში არ ეწევა სტუმრის არც სურვილს და არც მის შესაძლებლობას. ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ ეს ეგრეთ წოდებული „იძულებითი ლოთობა“ არა მარტო ლახავს ქართული მაგიდის სილამაზეს, არამედ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და, სამწუხაროდ, ზოგჯერ უბედურ შემთხვევებსაც იწვევს⁴⁵.

ეს საკითხი მეტად სერიოზულად დგას ამჟამად და, ცხადია, სერიოზულ ყურადღებასაც მოითხოვს საზოგადოებრიობისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერული სელექციის შედეგად საქართველოში გამოვლინებულია ვახის 500-ზე მეტი ადგილობრივი სამრეწველო ჯიში, ზოგი მათგანი ფართოდაა გავრცელებული ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. მაგალითად, რქაწითელი თითქმის მევენახეობის ყველა რაიონში გვხვდება და, როგორც ჯიშს, გავრცელების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს.

⁴⁵ კ. ჩარკვიანი, მევენახეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 169.

საქართველოს ვენახებში მრავალჯიშისა და დაბალხარისხიანი ყურძნის ჯიშების გავრცელების თავიდან აცილებისა და აგრეთვე საუკეთესო მარკის ქართული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი წარმოების გადიდების მიზნით, მოხდა ყურძნის ჯიშების გადასინჯვა. ფართოდ გავრცელებული 50 სამრეწველო ჯიშიდან შეირჩა საუკეთესონი — 13 ადგილობრივი და 3 უცხოური, სულ 16 ჯიშის ვაზი: რქაწითელი, ცოლიკაური, ციცქა, საფერავი, მწვანე, ჩინური, გორული მწვანე, ალექსანდროული, ალიგოტე, კაბერნე, შავი პინო, ოჯალეში, ჩხავერი, კრახუნა, უსახელაური და ხიხვი. როგორც ჩანს, იმერული ყურძნის ჯიშებიდან ამ სტანდარტში შედის ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა და გორული მწვანე, რომელიც იმერეთში ცნობილია როგორც ქვიშხური. იმერეთის ჯიშებიდან ყურძნის სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თეთრი კაპისტონი და ოცხანურის საფერე.


ამჟამად იმერეთის ვენახებში ჯიშებს შორის ფართობის შეფარდება მეტად არადაამაკმაყოფილებელია. მარტო ორ ჯიშს ციცქასა და ცოლიკაურს უჭირავთ ვენახების მთელი ფართობის 80 პროცენტზე მეტი. უძვირფასეს ჯიშს — კრახუნას — კი მეტად მცირე ფართობი უკავია, თუმცა საუკეთესო ხარისხის ღვინოს იძლევა.

კიდევ უფრო ნაკლებადაა გავრცელებული შესანიშნავი ჯიში ოცხანურის საფერე, ხოლო შამპანურისათვის მაღალხარისხოვანი ჯიში — თეთრი კაპისტონი — ერთეული ძირების სახით გვხვდება.

ამ საკითხს იმიტომ დავუბრუნდით, რომ თუ დროულად არ მივიღეთ გადაწყვეტი ზომები, იმერეთში უახლოეს მომავალში მხოლოდ ორ-სამი ჯიში დაიკავებს ვენახების მთელ ფართობს, დანარჩენი ძვირფასი ჯიშები კი გადაშენდება.

მიზანშეწონილი იქნებოდა კრახუნას, ოცხანურის საფერეს, თეთრი კაპისტონის და სხვა ძვირფასი ჯიშების გაშენების გეგმები კონკრეტულად დაწესდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მოეთხოვოთ მათ ვენახების გაშენება ჯიშების მიხედვით.

ამასთან უნდა ამალდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება, განსაკუთრებით ოცხანურის საფერეზე შესასყიდი ფასის გადიდებით.



საკვირველია, რომ იმერეთში კახური საფერავი 52 კაპიტალიზაცია
 დება სახელმწიფოს, ხოლო ოცხანურის საფერე 40 კაპიტალიზაცია მაშინ
 როცა სპეციალისტების აზრით, ოცხანურის საფერეს ღვინო თავისი
 ღირსებით არ ჩამორჩება კახური საფერავის ღვინოს.

ამ ძვირფასი ჯიშის ვენახების ფართობის გადიდება მნიშვნე-
 ლოვნად შეუწყობს ხელს ყურძნის შესასყიდი ფასის აყვანა კახუ-
 რი საფერავის ფასის დონემდე მაინც.


ასეთია მოკლედ ვენახების თანამედროვე მდგომარეობა იმე-
 რეთში. მიუხედავად იმისა, რომ განვლილი ხუთწლეულების მანძილზე
 არის მნიშვნელოვანი წარმატებები, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს
 გაზრდილ მოთხოვნილებას. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები
 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975
 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საღვინე მასა-
 ლების მნიშვნელოვნად გადიდებას, პირველ ყოვლისა მეღვინეო-
 ბის ნედლეული ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას და განვითარე-
 ბას.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმით 1971—1975 წლებში 20 ათას ჰექ-
 ტარზე გაშენდება ახალი ვენახები. კოლმეურნეობებში — 12 ათასი
 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში — 8 ათასი ჰექტარი.

იმერეთში უნდა გაშენდეს 2602 ჰექტარი ახალი ვენა-
 ხი: კოლმეურნეობებში 2255 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში
 — 347 ჰექტარი. 1975 წლის ბოლოს ვენახების ფართობი იმერეთში
 მიაღწევს 24 535 ჰექტარს, კოლმეურნეობებში—9720, საბჭოთა მე-
 ურნეობებში—2178, დაახლოებით 12 637 ჰექტარი დაეთმობა სა-
 კარმიდამო ნაკვეთების ვენახებს.

თუ გვიარაუდებთ, რომ ერთი ჰექტარი მსხმოიარე ვენახის სა-
 შუალო მოსავლიანობა 60 ცენტნერს მაინც მიაღწევს, ყურძნის
 მთლიანმა მოსავალმა 1975 წელს იმერეთში 131 500 ტონას უნდა
 გადააჭარბოს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელ-
 მწიფოს მიჰყიდნიან 55 800 ტონას, ნაცვლად 23 267 ტონისა 1970
 წელს.

ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება მევენახეობაში უაღრე-
 სად დიდი ნაბიჯი იქნება წინ ამ დარგის განვითარების საქმეში. მნი-
 შვნელოვნად გაიზრდება ვენახების ფართობი და, რაც მთავარია,
 ყურძნის მოსავალი და ღვინის წარმოება.



იმერეთის რაიონებში გავრცელებული ყველა ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობის პირველი ადგილი უკავია, ხოლო ისეთ რაიონებში, როგორცაა: ზესტაფონი, თერჯოლა, მაიაკოვსკი, ორჯონიკიძე და ვანი, მემკვიდრეობა-მემკვიდრეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის ხვედრითი წონა საერთო ფულად შემოსავალში 65 — 75 პროცენტს შეადგენს.

ახალი ვენახების გაშენების საქმეში მთავარია სავენახე ფართობის შერჩევის საკითხი. როგორც ცნობილია, საქართველო და უფრო მეტად იმერეთი, მცირემიწიანია. საშუალოდ ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდის 2 ჰექტარზე ცოტა მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის 1 ჰექტარი დამუშავებაში მყოფი სახნავი.

სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია მთებისა და ბორცვების ციცაბო ფერდობებზე. ამის გამო მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად მიწის გამონახვა მეტად ძნელია. ახალი სავენახე მიწების ათვისებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ მიწების სწორად გამოყოფას.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმერეთში მიწების დიდი ნაწილი განლაგებულია ზღვის დონიდან 900 მეტრის ზევით, თითქმის მთელი ვენახების 90 პროცენტზე მეტი კი გაშენებულია ზღვის დონიდან 400—600 მეტრზე.

ბუნებრივი პირობებისა და მემკვიდრეობის მიმართულების შესაბამისად იმერეთში გამოყოფენ ოთხ ვერტიკალურ ზონას, რომლებიც ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობენ.

პირველი ზონა 120—200 მეტრზეა; მოიცავს სამტრედიის, წყალტუბოს, წულუკიძის და თერჯოლის რაიონის ნაწილს. აქაური ნიადაგურ-კლიმატური პირობების წყალობით ვაზი კარგად ვითარდება და საკმაოდ ძლიერი ზრდით ხასიათდება. ვაზის სავეგეტაციო პერიოდში ჭარბი ატმოსფერული ნალექები მოდის, მაგრამ იგი არ არის დამღუპველი ვაზის კულტურისათვის, რადგან ხშირი ძლიერი ქარები სავარძლობლად აშრობენ არა მარტო ჰაერს, არამედ ნიადაგებსაც. აქ ვენახების ფართობი არ არის დიდი რაოდენობით. მიღებული ღვინო კი ხარისხით ჩამოუვარდება შუა და ზემო იმერეთის ზონას.

მეორე ზონა მდებარეობს 200—600 მეტრ სიმაღლეზე და მემკვიდრეობის განვითარებისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოებისათვის საუკეთესოა. იმერეთის ტიპური ღვინოები ძირითადად

ამ ზონაში მზადდება. აქ შედის ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის რაიონი თითქმის მთლიანად და ორჯონიკიძის, ჭიათურის, საჩხერის და ტყიბულის რაიონების მცირე ნაწილი. ამიტომ ამ ზონაზე მოდის იმერეთის მთელი ვენახების 80 პროცენტზე მეტი.

მესამე ზონაში (601—900 მ) შედის ზემო იმერეთის უმეტესი სოფლები და ტყიბულის სოფლების დიდი ნაწილი. ეს ზონა იძლევა შამპანური წარმოებისათვის მაღალი ხარისხის ღვინომასალას. სავეგეტაციო პერიოდი 170—190 დღეს შეადგენს. ეს ზონა შედარებით მცირეა და ათვისებული, მაგრამ საკმაოდ პერსპექტიულია შამპანური და მსუბუქი, ხალისიანი სუფრის ღვინოების წარმოებისათვის.

მეოთხე ზონა მდებარეობს ზღვის დონიდან 900 მეტრზე მაღლა. ამ ზონაში შედის ორჯონიკიძის, ჭიათურის, საჩხერის, მაიაკოვსკის და ტყიბულის რაიონების არცთუ ისე დიდი ფართობი.

აქ ვენახები მცირე მოცულობით გვხვდება, მაგრამ იძლევა მსუბუქ, ხალისიან ღვინოებს, ხარისხოვან ღვინომასალებს შამპანურისათვის და საკონიაკე სპირტს. ამ ზონაში რეკომენდებულია დაინერგოს ძლიერ საადრეო ჯიშები: პინო საადრეო, პინო შავი, ალიგოტე, და თეთრი კაპისტონი.

დასახელებულ ზონაში ვენახების გაშენებამდე საჭირო იქნება დეტალურად იქნეს შესწავლილი სავენახედ გამოყოფილი მიკრორაიონების კლიმატური პირობები, რადგან ზამთრის ყინვები და განსაკუთრებით გაზაფხულ-შემოდგომის წაყინვები დიდ საშიშროებას უქმნის ვაზის კულტურას. რაც შეეხება დახრილ ფერდობებს, რომელთა დიდ ნაწილს მთები ეფარება და წაყინვების საშიშროება შედარებით შემცირებულია, მიკროკლიმატის სათანადო შესწავლის შემდეგ წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვენახების გასაშენებლად.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. დ. ტაბიძის მიერ შემუშავებული ვენახების გაადგილების ვერტიკალური ზონების მიხედვით დადგენილია, რომ ვაზის ჯიშების სათანადო შერჩევით სამრეწველო მევენახეობის გავრცელების ახლანდელი საზღვარი შეიძლება გადიდდეს ზემოთ 1200 მეტრ სიმაღლეზე⁴⁶.

46 კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, მევენახეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, გვ. 185.

ახალი ვენახების გაშენებისათვის წარმატებით უნდა გამოვიყენოთ მთის თავისუფალი ფერდობები და გორაკები, როგორც ხარისხოვანი მეღვინეობისათვის ყველაზე ძვირფასი ადგილები, რომლებიც პლანტაჟის მექანიზაციის სიძნელებთან დაკავშირებით დიდი ხანი არ არის, რაც მიტოვებულია. ამჟამად კი, უახლესი ტექნიკის გამოყენებით, შეიძლება წარმატებით იქნეს ათვისებული.

„ცნობილია, რომ ღირსებით უკეთესი ღვინო ჩვეულებრივ იმ ვენახებიდან დგება, რომლებიც ფერდობებზე არის გაშენებული. ვაკე ადგილებზე მოსავალი რაოდენობით მეტი მოდის, მაგრამ ხარისხით შედარებით დაბალია....

ფერდობის დადებითი გავლენა ჯერ ერთი ბუნებრივ დრენაჟში გამოიხატება და მეორე იმაში, რომ მზის სხივები დაფენებულ ადგილებზე უფრო პერპენდიკულარულად აშუქებს ვენახს, ვიდრე ვაკეზე“⁴⁷.

სავენახე მიწების ეს რეზერვი ახალი ვენახების გაშენებისათვის პირველ რიგში უნდა გამოიყენოს იმერეთის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

იმერეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შრომითი რესურსებით დამატებით რამდენიმე ათასი ჰა ახალი ვენახების გაშენებისა და მოვლის საშუალება აქვთ. ამის განხორციელება შეიძლება სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც სავენახე ნიადაგის მომზადება, ნარგავების რიგთაშორის დამუშავება, შეწამვლა და მთელი რიგი სხვა სამუშაოები მთლიანად მექანიზაციით შეიძლება ჩატარდეს.

ამჟამად იმერეთის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის დიდ ნაწილში მექანიზაციის დონე მევენახეობაში მეტად დაბალია. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არსებული მანქანები მაქსიმალურად არ არის გამოყენებული. უამისოდ მევენახეობის შემდგომი განვითარება და მისი რენტაბელობა შეუძლებელია.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის გაღრმავ-

47 კ. მ. დ. ბ. ა. ე, მეღვინეობა, გვ. 224.



გებისა და წარმოების კონცენტრაციის გაძლიერების მიმართულ ცნობილია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით რთულია ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ, განსაკუთრებით იმერეთის ზონის რაიონებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნებრივი და ეკონომიური პირობების დიდი სიჭრელე, განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სს რესპუბლიკა დაყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონად და 3 ქვეზონად.

ზესტაფონი, თერჯოლა, ორჯონიკიძე, საჩხერე, ჭიათურა, მაიაკოვსკი და ვანი მოქცეულია მევენახეობის მე-8 ზონაში. ამ ზონაში შედის აგრეთვე ამბროლაურის და ცაგერის რაიონები.

იმერეთის დანარჩენი ოთხი რაიონი — სამტრედია, წულუკიძე, წყალტუბო და ტყიბული, სადაც შედარებით მცირეა ვენახების ფართობი, გაერთიანებულია მე-10 ზონაში, რომელსაც სუბტროპიკული კულტურების, ანუ კოლხეთის ზონა ეწოდება.

ამჟამად მთავარია ამ რეკომენდაციების მიხედვით თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოფიქრებულად შედგეს ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმა, რომლის ნაწილიც იქნება მეურნეობათა პერსპექტიული გეგმა მეცხრე ხუთწლედისათვის.

ამ გეგმების შედგენისას განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა მეურნეობათა შორის სპეციალიზაციის საკითხის გადაწყვეტა. იმერეთის რაიონის კოლმეურნეობებისათვის მიზანშეწონილი იქნება მოეწყოს მცირე მოცულობის დამატებითი და დამხმარე დარგების კონცენტრაცია წარმოების პირობების გათვალისწინებით მეურნეობათა ცალკეულ ჯგუფში. ამ შემთხვევაში ეს ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს მევენახეობაში, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს თანდათანობით და არა აჩქარებით. ამ პროცესს უმჯობესია წინ უძღოდეს თითოეულ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში დარგებისა და კულტურების მიზანშეწონილი გაადგილება, ანუ შიგასამეურნეო სპეციალიზაციის გაფართოება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის კონკრეტული გეგმის შედგენა მოითხოვს, პირველ ყოვლისა, განისაზღვროს მეურნეობის საწარმოო მი-



მართულება, მისი დარგების შემადგენლობა. საჭიროა გამოიყოს ძირითადი, აგრეთვე დამატებითი და დამხმარე დარგები. გეგმაში დამაჯერებლად უნდა იქნეს დასაბუთებული ამა თუ იმ პროცესის ეკონომიური მაჩვენებლები და შემუშავებული ამ გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა მთელი სისტემა; რომელიც უზრუნველყოფს ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებას, ისე რომ სისტემატურად ამაღლდეს შრომისნაყოფიერება და შესაბამისად შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

იმერეთის მევენახეობა რევოლუციამდე	3
მევენახეობა აღმავლობის გზით	22
მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტი- ვები	32
შამპანურის წარმოების ზოგიერთი საკითხი	62

რედაქტორი თ. ჯინჯიბაშვილი
მხატვარი ვ. გაბელია
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ო. ცინცაძე
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 16/II 72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/I 73 წ.
ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5.58.

სააღრ.-საგამომც. თაბახი..
უე. 00412, ტირაჟი 2000, შეკვ. № 1524,
ფასი 14 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



55660

Павел Прамонович Сахечидзе
Вопросы развития виноградарства
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1973

1998/195

